მერაბ თხელიძე

# ადამიანი რომელმაც ჭადრაკში სამი მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხა



თბილისი

2022

**რეცენზენტები:**

**ჰამლეტ მელაძე** - ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ევროპის მეცნიერებთა აკადემიის წევრი, საქართველოს განათლების ეროვნული აკადემიის წევრი.

**ქეთევან ნანობაშვილი –** პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**რედაქტორი; მხატვრობა და კომპიუტერული უზრუნველყოფა:**

**გიორგი სიბაშვილი** - სპორტის მაგისტრი, საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში.

**ISBN 978-9941-**

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
„საზოგადოება ცოდნა“

# წინასიტყვაობა

ამ წიგნში მოთხრობილია იმ ქართველი კაცის შესახებ, რომელიც დაიბადა XX საუკუნეში, 1939 წლის 18 ივლისს და აგრძელებს ცხოვრებას XXI საუკუნეში, რომელმაც შეძლო ჭადრაკის დაფასთან დაემარცხებინა მსოფლიოს სამი ჩემპიონი ჭადრაკში: მიხელ ბოტვინიკი, VI ჩემპიონი, მიხელ ტალი VIII ჩემპიონი და ბორის სპასკი X ჩემპიონი. მის უნიკალურ შედეგს მსოფლიოში ბადალი არ აქვს. მის შედეგს არა თუ ვერ გააუმჯობესებენ, არამედ ვერც კი გაიმეორებენ. წაიკითხეთ ეს წიგნი.







**მიხეილ ბოტვინიკი** **მიხეილ ტალი** **ბორის სპასკი**

## შესავალი

*„რადგან არ შეგიძლია გარეგნულად გახდე*
*ისეთი როგორიც გინდა, სულიერად გახდი*
*ისეთი როგორიც უნდა იყო“.*
**პეტრარკა**

მე, მერაბ თხელიძე, დაბადებული თბილისში 1939 წლის 18 ივლისს, ვთვლი, რომ ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ვგულისხმობ სკოლამდელ ასაკს და პირველ ექვს კლასს სკოლაში. ზაფხულობით მივყავდით მამის მშობლიურ სოფელში, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე ობჩაში, მამაჩემის ძმის, დიმიტრი ბიძიას ოჯახში: ბაბუა ალექსი, ბებია მინადორა, დიმიტრი, მისი მეუღლე შურა, ჩემი ასაკის შვილები ანზორი, რეზო, ლამარა და რუსიკო, მამიდები კატუშა და ნინო (დუტა). გასაგებია რომ მთელი დღეები ვერთობოდი სოფლის ბავშვებთან ერთად.

თბილისში პატარობიდან დედასთან ერთად მამიდები მზრდიდნენ, ჯერ თამარა მამიდა, შემდეგ კატუშა მამიდა. დედას ძალიან ვუყვარდი, პირდაპირ გიჟდებოდა ჩემზე. მამა-სამხედრო კომისარი - მონაწილეობდა ომში 1939 წლიდან, ჯერ ფინეთის წინააღმდეგ შემდეგ მეორე სამამულო ომში, ჩავარდა ტყვედ და ჩამოვიდა საქართველოში

1946 წელს. მაშინ ვნახე ის პირველად. ვთვლი ჩემი ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობდა და მხოლოდ გვიან 2001 წლის ზაფხულში, როდესაც ჩემს ოჯახთან და სიძესთან ერთად ქობულეთში ვისვენებდი და იქ შევიტყვე, რომ სკოლის ყველაზე ახლობელი მეგობარი, რომელთანაც ერთ მერხზე ვიჯექი მესამე კლასიდან, გარდაიცვალა, რაღაც მომივიდა, გადავხედე ჩემს გავლილ ცხოვრებას და უეცრად მივხვდი, რომ რაღაც ვერ არის ჩემს თავს. თურმე არავინ მყვარებია, არავისკენ და არაფრისკენ არ მიმიწევდა გული, არც რომელიმე საგანი მიყვარდა სკოლაში, არც სპორტი მიტაცებდა თურმე, არაფრის ნიჭი არა მაქვს, სულ ვიღაცის მითითებით ვცხოვრობ. რა უნდა ქნას ადამიანმა ამ შემთხვევაში, როგორ იცხოვროს? ამის შესახებ მინდა გიამბოთ და თქვენთვის მომინდია ჩემი განსჯა.

## §1. მოკლე მონაცემები ჩემს შესახებ

მე - მერაბ გრიგოლის ძე თხელიძე, დავიბადე 1939 წლის 18 ივლისს, თბილისში, მოსამსახურეების ოჯახში. მაშინ ჩვენი ბინის მისამართი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ათარბეგოვის (დღეს ზუბიტაშვილების) კუთხის სახლი 8/35, მეხუთე სართული, პირველი სადარბაზო. ერთ ბინაში, რომელშიც 3 ოთახი იყო, თითო ოთახში თითო ოჯახი ვცხოვრობდით: ჩვენ, დუნაევსკები (დედა, მამა, ორი გოგონა) და კლოსეკები (ცოლ-ქმარი).



მამაჩემი, გრიგოლ ალექსის ძე თხელიძე (14.01.1906-09.12.1989), დაიბადა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ობჩაში ალექსი ეფრემის ძე თხელიძისა და მინადორა ენდელაძის ოჯახში. მამამ სამხედრო განათლება მიიღო ოზურგეთში, მუშაობდა ჩხარში, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, იყო კომუნისტური პარტიის წევრი. ფაკულტეტის დაუმთავრებლად 1939 წლიდან მონაწილეობდა ფინეთის წინააღმდეგ ომში, მეორე მსოფლიო ომში, იყო კომისარი. ქერჩში ჩავარდა ტყვედ. განთავისუფლდა ომის დამთავრების შემდეგ და სამშობლოში დაბრუნდებდა 1946 წელს. აღადგინეს პარტიაში და შეუნარჩუნეს ყველა რეგალიები.




მამა ჯერ მსახურობდა სამნეო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ბიბლიოთეკის გამგედ სპირტის ქარხანაში. გარდაიცვალა 83 წლის ასაკში პროსტატის კიბოთი.

დედაჩემი - თამარ ალექსანდრეს ასული სამსონია (1908-07.09.1959), დაიბადა ოზურგეთში, ალექსანდრე ოთარის ძე სამსონიას ოჯახში. დედამისი მართა გარდაიცვალა მისი ძმის გიორგი (ჟორას) დაბადების დროს 1912 წელს.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ დაამთავრა პარტიული სკოლა ჩხარში, სადაც მისი პედაგოგი იყო მისი მომავალი ქმარი - მამაჩემი.

1935 წლიდან გარდაცვალებამდე დედა მუშაობდა თბილისის განათლების განყოფილების (ტონო) უპატრონო ბავშვთა საქმეთა ინსპექტორად.

მახსოვს ერთ ოთახში ისხდნენ ოთხი ინსპექტორი, მათი უფროსი ნინო სოხაძე კი ცალკე კაბინეტში. მისი სამსახური მდებარეობდა დღევანდელი თავისუფლების მოედანის იქითა კიდეში მდგარი შენობის ბოლო სართულზე.


ქორწინების მოწმობა
СВИДЕТЕЛЬСТВО О БРАКЕ
РЭ № 070470
1906 წ.
1908 წ.
1946 წ. 19/4
1946 4 19
№ 248
Дата выдачи 23 XI 1951

1936 წელს გრიგოლ თხელიძე და თამარ სამსონია დაქორწინდნენ. მათ ხელი ოფიციალურად მოაწერეს 1946 წლის 19 მაისს. მათი ქორწინების საბუთი გასცეს 1951 წლის 23 ნოემბერს. მე მათი მესამე შვილი ვიყავი. პირველი ორი შვილი უდღეურები აღმოჩნდნენ. დედა-ჩემს ვიცნობდი როგორც საშუალო სიმაღლის, გამხდარ, სახეზე დაყრილი წერტილებით (ნაყვავილარი), ჭაღარა-თმიან, ნერვიულ ქალს, რომელიც გარდაიცვალა 51 წლის ასაკში და მე მქონდა ბედნიერება მის გვერდით ყოფნისა მხოლოდ 20 წელი.

სანამ განვაგრძობ თხრობას ჩემი ცხოვრების შესახებ ჩემს თავს ვუსვამ კითხვას: რა ჩამრჩა მეხსიერებაში ბავშვობის ყველაზე ნაადრევი მოგონებებიდან?







ვიხსენებ შემდეგ ამბებს, რომელიც შემორჩა მეხსიერებაში. პირველი - საბავშვრო ბაღი, გოგონა ნესტანი, რომელიც ძალიან მომწონდა, თუმცა ის მე ზედაც არ მიყურებდა. მახსოვს ბაღში თამაშობისას ვიყავი გემის კაპიტანი, ვიდექი ვახტაზე, მაგიდაზე დადგმულ სკამზე, ვიძირებოდით და მე გადმოვხტი ზღვაში - იატაკზე და ხელი მოვიტეხე. ტკივილი ისე არ მაწუხებდა როგორც დედაჩემთან შეხვედრის შიში.

მეორე - დედაჩემის სამსახურში საღამოს წითელ დარბაზში სხდომა გაიმართა. მე სკოლიდან დედასთან მივდიოდი ხოლმე და მერე ერთად ვბრუნდებოდით სახლში. ამიტომ სხდომაზე მეც ვიჯექი და ყურადღებით ვუსმენდი მომხსენებლებს, თუმცა საქმე რას შეეხებბოდა ვერ ვხვდებოდი, მივადებდი დედას თავს და ტკბილად ჩამეძინებოდა ხოლმე.

ძილბურანში გამეღვიძებოდა და ვხედავდი დედას ვყავარ ჩახუტებული ქუჩაში და სახლში მივყავარ.

მესამე - სახლში მარტო ვარ ხოლმე დედის სამსახურიდან მოსვლამდე. ვთამაშობ ჩემთვის, მარტოობის არ მეშინია, თანაც მეზობლებიც აქვე არიან. გადავწყვიტე დედის გახარება: მივალაგ-მოვალაგე ოთახი, ახლა ვაპირებ გრაფინში ახალი წყლის ჩასხმას. გავდივარ საერთო სამზარეულოში, ვდგები ფეხის წვერებზე, ვდგამ გრაფინს რკინის ჩასადებში, ვაღებ ონკანს, ვავსებ გრაფინს და უკან გადმოღებისას მას ვეღარ ვერევი, გრაფინის ბოლო მივალეწე რკინის ჩასადებს. მთელი იატაკი წყლითა და შუშის ნამსხვრევებით გაივსო.

მე, დედაჩემის შიშის გამო ისტერიკაში ჩავვარდი, საშინლად ვტირი. ამ დროს სამზარეულოში შემოდის დუნაევსკის ცოლი, ვეცოდები, ასუფთავებს იატაკს, ურეკავს დედაჩემს სამსახურში, უყვება რაც მოხდა და დედაჩემი ტელეფონიდან მეფერება და მამშვიდებს.

## §2. დედა, ბაბუა და მათი ნათესავები



დედა ჩემს მეხსიერებაში დარჩა ჭაღარაშერეულ, გამხდარ და ნერვიულ ქალად, სახენაყვავილარ, მაგრამ ჩემთვის არაჩვეულებრივი სილამაზის ქალად, რომელსაც მთელი სახე გაუცისკარდებოდა ხოლმე, როდესაც ჩემს მიღწევებზე რამეს შეიტყობდა. ის და მისი უმცროსი ძმა გიორგი (ჟორა), ერთი და ოთხი წლის ასაკში უდედოთ დარჩნენ, რომელიც მშობიარობას გადაყვა.

სიკვდილის წინ მართამ უთხრა მეუღლეს, ბაბუაჩემს, ალექსანდრე ოთარის ძე სამსონიას: შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ცოლს მოიყვან და დამიფიცე ბავშვებს არ დამიჩაგრავო. ბაბუაჩემს დაუჩოქია, ფიცი მიუცია და შეასრულა კიდეც: ცოლი არ მოუყვანია. მან, ოზურგეთის მსხვილი ვაჭრის შვილმა, გაზარდა, ფეხზე დააყენა და განათლება მისცა თავის შვილებს. ისინი ორივე რევოლუციონერები და ნამდვილი კომუნისტები გახდნენ ამ სიტყვის კარგი გაგებით, რომლებსაც სჯეროდათ ნათელი მომავლის, ვერ იტანდნენ მექრთამეებს, კარიერისტებს და ორპირებს.

ბაბუამ მოგვიანებით 1946 წელს გაყიდა თავისი კარ-მიდამო ოზურგეთში და მთელი ფული 25 ათასი მანეთი სამ პროცენტიან ობლიგაციებში ჩამოუტანა დედაჩემს და დარჩა ჩვენს ოჯახში საცხოვრებლად გარდაცვალებამდე 1956 წლის 3 ივნისამდე. ვიდრე გავაგრძელებ თხრობას მინდა მოვიყვანო ჩემი ორი ლექსი.

## დედას

დაკოჟრილ ხელებს თავზე მისვამდი,
გიყვარდი როგორც პეპელს სინათლე,
რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო,
გამოვისყიდო ძველი სიგლახე?
რა ვქნა მითხარი, კვლავ მოვისმინო
,,ჩემო ბიჭიკო, ჩემო მერაბი,
მე არ ვიქნები, მაგრამ ღრმადა მწამს,
შენა ხარ ჩემი თეთრი მერანი.
მჯერა გახდები დიდი სწავლული,
ვერას დაგაკლებს ბედი ვერაგი,
გახსოვდეს მუდამ, გიცავს ფარული
დედის დალოცვა და სიყვარული“.



რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო,
ფიქრებმა გზები გადამირაზეს,
როგორ მეგონა სულ იქნებოდი
დედიკო, შენ და შენი სინაზე.
როგორ მეგონა ძილში ჩასმენილ
ყველა შენს ნატვრას აგისრულებდი,
სკოლის მედალთან ერთად ამ ქვეყნის
მთელ ოქროს ფერხთით დაგიყუდებდი.
საბედისწერო დილას თუ ღამეს,
როცა ორგულად დაგარტყა წნევამ,
თურმე მეფერე უკანასკნელად,
თურმე სადა გაქვს დრო მოქარგულად.
წავიბუტბუტე ძილში ,,მაცალე“,
ხვალაც ხომ მქონდა ნახვის იმედი,
მერე გეტყოდი, როგორ მიყვარდი,
ჩემთვის დედა და ღმერთი იყავი.
ვერ მოვასწარი, ველარ გითხარი,
როგორ მიყვარდი, როგორ გინატრე,
რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო?
გამოვისყიდო ძველი სიგლახე.



## ბაბუას

ჩემს კლასში ვიყავ ყველაზე გლახა,
შეუძლებელი და გალეული,
მაგრამ ამ გულში რა ცეცხლიც ენთო
ამას თუ გეტყვის თერგდალეული.
დედაჩემს კაბა არ ღირსებია,
რომ დასწრებოდა მშობელთა კრებას
და მაინც მისი შვილი მერაბი,
მიუტანს ოქროს ერთადერთ მედალს.
და ამ საქმეში ბაბუა ჩემო
მეხმარებოდი ცხადად, მალულად,
რამდენჯერ გირტყი, როგორ გაწვალე,
არ დაგცდენია ძვირი კაცურად.
ერთხელ არ გითქვამს დედაჩემისთვის,
მეფარებოდი ხმალზე ვით ფარი,
მე კი სიყრმიდან უგუნურობის
დღეს გულზე მაწევს ო, დიდი ვალი.
ერთხელ არ გითქვამს დედაჩემისთვის
ჩემზე ცუდი და გიკრავს ნაღარა,
მე კი ბავშვობის უგუნურობის
მწვავს სინანულის ცეცხლი თაკარა.
ჩემთვის სწავლა და თამაში იყო,
სხვა არაფერი ჩამესმებოდა,
სიკვდილ–სიცოცხლე თუ არსებობდა
მეტად ბუნდოვნად გამეგებოდა.
როცა შეიქენ შენ უქეიფოდ,
სავადმყოფოში ამოჰყავ თავი,
ვერ მოვიცალე შენს სანახავად,
წამოვყოლოდი დედაჩემს ღამით.
ჩემთვის ვამბობდი მერე ვნახავ–თქო
და ჰა საწუთრომ დამიგო მახე,
შენ ველარ შესძელ გეცადა ჩემთვის,
ისე აღსრულდი, ვეღარა გნახე.
გავიდა წლები, დავკარგე დედა,
მე თვითონ გავხდი ეხლა ბაბუა
და შვილიშვილი ჩემი მიშუტკა
სულ მეჩხუბება, ჩემი ღაბუა.
სულ მეჩხუბება, მიგებს ოინებს,
შემდეგ კი თვითონ მიხვევს იარებს,
მითხარი ბაბუ, თუ მომიტევე,
ბაბუის ხვედრიც გავიზიარე

და ვინანიებ რომ ვიყავ შენთან
მეგად უგულო, თავქარიანი,
ისე აღსრულდი, ვეღარა გნახე,
ვერ მოგიტანე სიტყვა ფხიანი
და მე სიყრმიდან უგუნურობის
ისევ მომძახის, მწვავს შენი ვალი,
ვეღარ მოგისწარ, ვერ გნახე მეთქვა
რომ მინდა ვიყო მე შენი დარი.
მითხარი, ბაბუ, მაძლევ შენდობას,
თუ ამ ჩემს კვნესას წაიღებს ქარი?



ბაბუა ჩემს მეხსიერებაში დარჩა ტკბილმოუბარ სიმპატიური გარეგნობის მოხუცად, ძველებური სათვალეებით, ყველაზე მეტად გაზეთების კითხვის მოყვარული.

მე ძალიან მომწონდა თავი ბაბუაჩემით კლასელებთან მისი ნაკითხობით და იმითაც კი, თუ როგორ სვამდა არხეინად მდუმარე ჩაის როგორც წყალს. თუმცა სახლში ათასნაირად ვაწვალებდი უბოროტოდ, ბავშვურად: ხან კარებს ზემთ შემოვდებდი წიგნს და ოთახში შემოსვლისას წიგნი მოხვდებოდა გაკვირვებულს თავში, ხან მაგიდის ქვემოთ მივაბამდი თოკს მის სკამს და უკვირდა რატომ ვერ გამოსწევდა სკამს დასაჯდომად და რა ვიცი კიდევ რა ოინს მივმართავდი მე სულელი, მაგრამ ახლა რაღას შევცვლი.

მახსოვს ერთი ასეთი შემთხვევა: მაგიდას ვუსხედვართ მე, დედა და ბაბუა-ვსაუზმობთ. დედა მუდამ მიწყრებოდა - ბაბუას ნუ აწვალებო და მისი თანდასწრებით ეშმაკობებისაგან თავს ვიკავებდი. უცებ ბაბუა წამოხტა და ფეხზე იტაცა ხელი. დედაჩემმა მაშინვე წამითაქა თავში - შე საძაგელო, რა უქენი ბაბუასო. ამასობაში ბაბუამ შარვლის ტოტიდან გამოაძვრინა პატარა თაგუნა, რომელიც შემძვრალიყო მის შარვალში. მე კი ტყუილად მომხვდა.

განვაგრნობ ამბავს დედაჩემის ძმაზე. ის მუშაობდა პარტიული ხაზით და მაღალ თანამდებობამდეც მიაღწია - ლავრენტი ბერიას ერთ-ერთი მოადგილე იყო. ის ძალიან წესიერი და პრინციპული მუშაკი იყო. მათ ორგანიზაციაში რაღაც ცუდი ამბავი მოხდა და ბერიამ მას დაავალა გამოძიება. მან გამოიძია და ბერია დაადანაშაულა. ცხადია, თვითონ მოხვდა ხალხის მტრების სიაში, დაიჭირეს, გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს.



**თამარა და ჟორა სამსონიები**

ამ დროს ის დაოჯახებული იყო ნინა ყაისახის ასულ ჭანუკვაძეზე (1903-1986), ყავდათ ორი შვილი, მირცა (1926-2019) და გივი (1933-2017), ცხოვრობდნენ ოროთახიან ბინაში პირველ სართულზე სოლოლაკში დავითაშვილის ქუჩა ნომერ 54-ში და დედაჩემიც ბინის მღებამდე მათთან ცხოვრობდა.



დედაჩემი გიჟი მამიდა იყო. ყოველ კვირას ან მისი ძმიშვილები და რძალი იყვნენ ჩვენთან სტუმრად ან მე და დედა მოვდიოდით მათთან. 1957 წლის 5 თებერვალს დედამ მიიღო ცნობა გიორგი სამსონიას რეაბილიტაციის შესახებ, მაგრამ ის ვერ იპოვეს. მერე გაირკვა, რომ ის კი არ გადაუსახლებიათ, არამედ დაუხ-ვრეტიათ თბილისის მახლობლად. არ ვიცი რა ცოდვა მიუძღვის ნინა ჭანუკაძის მისი ძმის წინაშე, მაგრამ ჟორას სიკვდილის ამბის გაგების შემდეგ, დედამ გული აიყატრა მათზე და მათთან ურთიერთობა გაწყვიტა. დღემდე მაწუხებს და არ ვიცი ამის მიზეზი.







გივი, ნინა და მირცა სამსონიები

გივი სამსონია

მირცა სამსონია



დინამოს სტადიონის შემდეგ მუშტაიდის ბაღისა და სტადიონმს შორის ქუჩაზე ცხოვრობდა დედაჩემის დეიდა სონია თავის ქალიშვილთან, სამ შვილიშვილთან - მანოლა, ლორენა და მანანა თოფურიებთან ერთად.

დედას დავყავდი მათთან ხოლმე, და მერეც მქონდა ურთიერთობა მანანა თოფურიასთან, რომელიც საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მასწავლებლობდა. დედა ერთ დროს ცხოვრობდა სონია დეიდასთან. სწორედ იქ ნახულობდა მას მამაჩემი. სონია დეიდას ძალიან უნდოდა მათი შეუღლება და ასეც მოხდა. დედაჩემს ყავდა გარეშე ბიძაშვილი ავთანდილ სამსონია, რომელიც თავის ოჯახთან ერთად - მეუღლე ელენე, დედაჩემთან ერთად სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და ორ შვილთან ოფელიასთან (ქუსულა), რომელიც მომავალში ჩემი ნათლია გახდა (სამი ნათლიიდან ერთ-ერთი, მეორე პავლე გუმბერიძე, მესამე დიმიტრი თხელიძის ცოლი შურა ბიცოლა) და შოთასთან. ცხოვრობდნენ კერძო ბინაში პირველ სართულზე კარ-მიდამოთი, იქ სადაც დღეს სასტრუმრო „ივერიაა“ წამოჭიმული. ავთანდილი ცნობილი ქიმიკოსი იყო, სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათერის გამგე. შოთა სამსონია მის გზას გაყვა და მომავალში იმავე კათედრის გამგე გახდა. სამწუხაროდ, შოთა სამსონია 2021 წელს გარდაიცვალა.



## §3. მამა და მისი ნათესავები

მამაჩემი გრიგოლ ალექსის ძე თხელიძე (14.01.1906 – 09.12.1989), დაიბადა მაიაკოვსკის რაიონის სოფელ მეორე ობჩაში, ალექსი ეფრემის ძე თხელიძისა და მინადორა ენდელაძის ოჯახში, რომელსაც შვიდი შვილი ჰყავდათ: გრიგოლი, დიმიტრი, ოლია, თამარა, კოლია, კატუშა და ნინო (დუტა).

მამაჩემის ბაბუა ანუ ჩემი დიდი ბაბუა იყო ეფრემი, ბებია კესარია. მათ ჰყავდათ შვიდი შვილი. ქალები ყველანი გათხოვილები იყვნენ, ბიჭები დაქორწინებულნი და ყველანი დასახლებული იყვნენ მათ ახლო-მახლო. მამაჩემი ამბობდა: „ყველა ჩვენი ახლობლები რომ მოვიყრიდით თავს, ქორწილში მეტი ხალხი არც კი იყო საჭირო. დღესასწაულის დღეებში ეზოში გვიყვარდა შეკრება. მაგალითად აღდგომის დღესასწაულის დღეს სასაფლაოებს რომ მოვივლიდით, შემდეგ ვსხდებოდით სახლის დიდ ბალკონში და ვთამაშობდით კარტს, ნარდს, დომინოს და ვმხიარულობდით გვიანობამდე“.

ახლა ვისაუბროთ მამაჩემის და-ძმების შესახებ. მამამ, რაც თბილისში დასახლდა, თავისი წილი სოფლის კარ-მიდამო დაუთმო თავის ძმას დიმიტრის, რომელიც სამამულო ომიდან ფეხში დაჭრილი დაბრუნდა და კოჭლობდა. ის დასახლდა ობჩაში, მისი მიწის ტერიტორია დიდი იყო და ყველაფერი განლაგებული იყო ძველებური ორსართულიანი ოდის ირგვლივ. ორღობეები და ღობეები გვყოფდა ორი მეზობლის ოჯახებისაგან: მარცხნივ გალაქტო თხელიძის და ქვემოთ სამეულ მაჩიტიძის ოჯახისაგან. ჩვენგან მარცხნივ მიწა დამრეცად ეშვებოდა და თავდებოდა პატარა ღელეთი, რომელშიც წყალი მუხლებამდე გვწვდებოდა, ხოლო ზედა მარჯვენა კიდე დიდი მინდორის ბოლოს თავდებოდა გივი (გუჯუნა) თხელიძის ვენახით. გუჯუნა ბიძია - გივი ნიკიფორეს ძე თხელიძე (20.09.1924-1987). გივის და მამაჩემის მამები ძმები იყვნენ. გივის მეუღლე იყო შურა ნანეიშვილი (22.02.1929-2013) ფოთიდან. მათ ჰყავდათ სამი შვილი ნოდარი (13.12.1950), ნუნუ და ლალი. გივი, მე რომ მიჭირდა, გვერდში მედგა და ყველანაირად მეხმარებოდა. სამწუხაროდ მან 1987 წელს და მისმა მეუღლემ შურამ 2013 წელს სიცოცხლე ერთნაირად თვითმკვლელობით დაამთავრეს, თავი ჩამოიხრჩეს. რატომ? არ ვიცი.

დიმიტრის და შურა ბიცოლას, რომელიც მოგვიანებით ჩემი მესამე ნათლია გახდა, ეყოლათ ოთხი შვილი: ანზორი, რეზო, ლამარა და რუსიკო.



**შურა, დიმიტრი, მერაბი და რუსიკო თხელიძეები.**



**ანზორ თხელიძე შვილთან ერთად**

ობჩაში დიმიტრის ოჯახში ცხოვრობდნენ მამამისი ალექსი და დედამისი, ბებიაჩემი მინადორა: ალექსი ჩემს ბავშვობაში, ადრე გარდაიცვალა, ბებია კი დიდხანს ცხოვრობდა და კარგადაც მახსოვს, ძალიან ვუყვარდი, მეფერებოდა და ათას სასუსნავს მაძლევდა ჩუმად სხვებს რომ არ დაენახათ.



რეზო თხელიძე, მერაბი და მერაბის დისშვილი, ლევან თხელიძე.



ლამარა, რუსიკო, თამრიკო, თინიკო, მერაბი და დიანა თხელიძეები.



ოლია მამიდა



თამარა მამიდა და მერაბი

გრიშასა და დიმიტრის მომდევნო ოლია მამიდაა, რომელიც გათხოვილი იყო მეორე სვირში ილია გიგოს ძე ჯუღელზე, 15 წლით მასზე უფროსზე. მათ შვილი არ ჰყავდათ. იშვილეს ილიას ძმისშვილი ამირანი, რომლის ოჯახი ილიას სახლის მოპირდაპირედ ქუჩის მეორე მხარეს მდებარეობდა. შემდეგ იყო თამარა მამიდა, რომელიც გარკვეული ხნით თბილისში ცხოვრობდა და დედაჩემს ეხმარებოდა ჩემს გაზრდა-მოვლაში. შემდეგ გათხოვდა ბაღდათის რაიონის სოფელ დიდველაში მინაგო ლაბაძეზე და ეყოლათ ოთხი შვილი: მერაბი (ჩემი სიყვარულით დაარქვა ეს სახელი), ზურაბი და ორი ტყუპი გოგო ნათელა და იზოლდა. მამაჩემის და-ძმებში შემდეგ მოდის კატუშა მამიდა, რომელსაც ჩემს ცხოვრებაში ყველაზეი დიდი ადგილი უკავია დედაჩემის შემდეგ

მამიდა გათხოვდა ქვედა  ზეგანში პავლე გუმბერიძეზე, რომელიც ჩემი ნათლიაც გახდა.



**პავლე გუმბერიძე**



**ეკატერინე (ცაკელო) თხელიძე**

კატუშა მამიდამ შეცვალა თამარა მამიდა ჩემს მოვლა-აღზრდაში, შემდეგ მოეწყო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულ-ტეტზე. მან ჩემდა სასიხარულოდ დიდხანს იცოცხლა: (22.02.1923-19.09.2019) და ყველგან დამაპროწიალებდა თბილისში თავის სტუდენტ ამხანაგებში.





**კატუშა და პატარა მერაბი.** **კატუშა, დედაჩემი და მერაბი.**





სტუდენტი, მერაბი და კატუშა. თამარ სამსონია და ეკატერინე თხელიძე



ქვედა ზეგანი. პირველ რიგში შამილი, მერაბი, კატუშა, მერაბის დისშვილი ლევან თხეიძე, მეორე რიგში რეზო გუმბერიძე, მერაბის და მარინა და თინა გუმბერიძე, კატუშას ქმრის ძმის, ჟუტას მეუღლე.



კატუშა მამიდა და მერაბ თხელიძე.

მამაჩემის და-ძმებიდან შემდეგი კოლია ბიძიაა. ის მათ შორის, როგორც ამბობენ ყველაზე ნიჭიერი და ფიცხი კაცი იყო. მუშაობდა მილიციაში, დამნაშავე შემოაკვდა, წასულა ჯარში, იქიდან სამამულო ომში, რომელშიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა.





## ეკატერინე მამიდას

პატარობიდან მზრუნველობდი, მზრდიდი, მტუქსავდი,
თბილის ქალაქში უთანხმებდი სწავლას დედობას,
როცა გათხოვდი და ზეგანში იწყე ცხოვრება,
თან გამიყოლე საქორწილო როგორც ბედობა.
დალოცა ღმერთმა პავლე, კაცი, მეუღლე შენი,
ისე მიმიღო როგორც შვილი, შენი ნაშენი,
მას უხაროდა ჩემი ყველა წინსვლა, დიდება,
მომნათლა კიდეც, ზეცაში აქვს სასუფეველი.
მას შემდეგ წყლებმა საკრაულის ბევჯერ იდინა,
მაგრამ ზეგანმა ჩემი თავი ვერ აიცილა
და თავს როგორც კი თავისუფლად დავიგულებდი
ზეგანი იყო სასურველი ჩემთვის კურორტი.

მასწავლებლობდი, ასწავლიდი, ზრდიდი სხვის შვილებს
და ღმერთმა შვილი, საკუთარი შვილი არ მოგცა,
იქნებ იმიტომ, შეალიე ძმიშვილს ძალები
და ამოწურე დედობისთვის ყველა დალოცვა!

სოფელი ქვედა ზეგანი 2010 წ.



მამაჩემის და-ძმებში ნაბოლარა იყო ნინო (დუტა), რომელიც ძალიან მიყვარდა. ის იყო ჩვენი ძირითადი მომმარაგებელი სურსათით სოფლიდან თბილისში, რისთვისაც ხშირად უხდებოდა მატარებლში  დამდგარს მგზავრობა. ვინ იცის რამდენი გაჭირვება გადახდა მას. დუტა მამიდა გათხოვდა ქუთაისში. მისი მეუღლე გიგლა ლოსაბერიძე მძღოლი იყო, არეული ცხოვრება ჰქონდა და მალე გარდაიცვალა. ეყო-ლა ერთი ქალიშვილი - ნათელა, რომელსაც ცხოვრება ვერ აეწყო, მას ეყოლა ორი შვილი, რამაზ (12.04.1971) და ნატო სილაგაძეები (11.04.1973)

ნინო თხელიძე შვილთან ერთად



მერაბი, რამაზის ცოლი ინგა და შვილი ნინო, რამაზი, ნატო და დუტა (ნინო).

მინდა ვისაუბრო ნემნოსი ზირაქაძეზე, რომელიც ბებიაჩემის მხრიდან იყო მამაჩემის ნათესავი, მისი მეუღლე თინა, ჰყავდათ სამი ქალიშვილი. ცხოვრობდნენ ფალიაშვილის ქუჩა-ზე პირველ სართულზე. მისი ქალიშვილები იყვნენ ლედი, ნარგული და დარეჯანი.ნემნოსი ბიძია იყო სამამულო ომგამოვლილი, დაჭრილი ფეხში და კოჭლობდა. მუშაობდა საავთიაქო სფეროში, ბოლოს იყო უნივერსიტეტის საავთიაქო სამმართველოს გამგე, რომელიც მდება-რეობდა ვაკეში სტუდქალაქის ერთ-ერთ კორპუსში. იმ დროინდელი გაჭირვების დროს მუდამ გვერდით მედგა-მამარაგებდა წამლებით, ფულით, ხშირად მივყავდი თავის ბინაში, კარგად ვიცნობდი მის შინაურებს.

# §4. სკოლა, პირველი რვა კლასი

1946 წელს, დედამ შემიყვანა თბილისის სტალინის სახელობის, ვაჟთა პირველ საშუალო სკოლის, I[2] კლასში. ისე მოხდა, რომ ამ კლასში თავი მოიყარა ელიტარული მოქალაქეების შვილებმა: გელა ჩარკვიანმა, ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ, დემნა ცხაკაიამ, აკაკი ვასაძემ, თენგიზ მაჩალაძემ, თემურ შავიშვილმა, გურამ დოჩანაშვილმა, ოთარ წერეთელმა, ვლადიმერ სიხარულიძემ და სხვებმა. დედაჩემის ხათრით ვცდილობდი სწავლაში არა მარტო თავი გამომეჩინა, არამედ ვყოფილიყავი ყველაზე უკეთესი. სკოლაში სწავლის განმავლობაში ხშირად მომისმენია მასწავლებ-ლებისაგან: ეს ფრიადოსანია, ის წარმატებული მოსწავლეა, მაგრამ თხელიძე თხელიძეა.


წარმატების შეფასება

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| I მეოთხედისა | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | — | — | — | | |
| II მეოთხედისა | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 29 | — | — | | |
| III მეოთხედისა | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | — | — | — | | |
| IV მეოთხედისა | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | — | — | — | | |
| საგამოცდო | | | | | | | | | | | | | | | | |
| დასკვნითი | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 5 | 29 | — | — | | |
| საშემოდგომო გამოცდისა | | | | | | | | | | | | | | | | |
| პედსაბჭოს დადგენილება | | | | | | | | | | | | | | | | |

დირექტორის ხელისმოწერა: ბ. ა. კლასის ხელმძღვანელის ხელისმოწერა:

შენიშვნა 1. ყოველი მეოთხედის დასრულებისას წარმატების შეფასებას ხელის მოწერით ადასტურებს კლასის ხელმძღვანელი.
2. მშობელი ეცნობა წარმატების შეფასებას და ყოველ მეოთხედში აწერს ხელს.
3. სასწავლო წლის დასრულებისას, ან მოსწავლის ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადასვლის შემთხვევაში წარმატებისა და ყოფაქცევის შეფასებას ხელისმოწერით, ბეჭდისა და თარიღის დასმით ადასტურებს დირექტორი (გამგე), რის შემდეგ ეს მოწმობა—საბუთია.





პირველი საშუალო ვაჟთა სკოლის მესამე კლასი
პირველ რიგში მარცხნიდან პირველი ჯემალ ფიცხელაური. მეორე რიგში მარცხნიდან მეორე როდამ ჭელიძე, მერვე-მერაბ თხელიძე. მესამე რიგში მარცხნიდან მეხუთე ოთარ წერეთელი, მეცხრე-გურამ დოჩანაშვილი. ბოლო რიგში მარცხნიდან მეცხრე - ალექსი ჟორდანია.

კლასში 45 მოსწავლე ვიყავით. მე ყველას მიმართ ნორმალურად ვიყავი განწყობილი არ მახსოვს რომ რომელიმესთან არა თუ მეჩხუბა, არამედ უხეშად მესაუბრა. ვმეგობრობდი ოთარ ბასილაშვილთან, თამაზ ბერიძესთან, ზვიად გამსახურდიასთან, თამაზ გუნჯუასთან, ლევან თვაურთან, თენგიზ მაჩალაძესთან, ზურაბ მაძღუასთან, რუსლან რუხაძესთან, თამაზ სანებლიძესთან დიმიტრი საჯაიასთან, გურჯი ფხალაძესთან, ოთარ ქიზიყელაშვილთან, ნუგზარ ჩანტლაძესთან, ზაზა ჩაჩანიძესთან, თამაზ ბუღაძესთან. განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებდა დემნა ცხაკაიასთან (19.04.1939-28.08.2001), რომელთანაც ვიყოფდი ერთ მერხს, მესამე კლასიდან სკოლის დამთავრებამდე. ისე მოხდა, რომ დემნა კლასში ყველაზე დინჯი, მშვიდი და მოწესრიგებული მოსწავლე, ყველა საგანს კარგად სწავლობდა, უჭირდა მხოლოდ მათემატიკა.

სკოლის 3² კლასის მოსწავლეთა სია ასეთი იყო:

1) ახვლედიანი ნუგზარი
2) ბასილაშვილი ოთარი
3) ბერიძე თამაზი
4) ბუღაძე თამაზი
5) გაბუნია მორისი
6) გამსახურდია ზვიადი
7) გალუსტოვი როლანდი
8) გიორგობიანი ოთარი
9) დუნდუა არჩილი
10) ვასაძე აკაკი
11) თვაური ლევანი
12) თხელიძე მერაბი
13) კალანდაძე ლევანი
14) კიკუაშვილი ნიკოლოზი
15) კოსტავა მერაბი
16) ლორთქიფანიძე გივი
17) მარგველაშვილი მერაბი
18) მაჩალაძე თენგიზი
19) მაძაღუა ზურაბი
20) რუხაძე რუსლანი
21) სადუნიშვილი გივი
22) სანებლიძე თამაზი
23) საჯაია დიმიტრი
24) სიხარულიძე ვლადიმერი
25) უნაფქოშვილი მურაზი
26) უროტაძე ჯემალი
27) ფიცხელაური ჯემალი
28) ფხალაძე გურჯი
29) ჟორდანია ალექსი
30) დოჩანაშვილი გურამი
31) ლაღიძე ჯუანშერი
32) ქიზიყელაშვილი ოთარი
33) ქურდიანი თენგიზი
34) შავიშვილი თემური
35) შანიძე თენგიზი
36) შაუთიძე ზურაბი
37) ჩარკვიანი გელა
38) ჩანტლაძე ნუგზარი
39) ჩაჩანიძე ზაზა
40) ჩაჩხიანი ნუგზარი
41) ჩუბინიძე ჯემალი
42) ცხაკაია დემნა
43) ძიგველაშვილი გურამი
44) წერეთელი ოთარი
45) ჭელიძე როდამი

მე მისი ანტიპოდი ვიყავი, ხმაურიანი, მოუსვენარი, ხშირად ვარღვევდი წესრიგს და ბევრჯერ დავუყენებივართ კუთხეში. კლასის დამრიგებელმა ნადია სიხარულიძემ იხელმძღვანელა ანდაზით „ხარი ხართან რომ დააბა...“ და დაგვსვა ერთ მერხზე. მისმა ექსპერიმენტმა სრულად გაამართლა.



2000 წლის 11 - 17 დეკემბერი № 50 (331)

# ზვიადისა და მერაბის კლასი

რუბრიკის პრემიერა

ლევან კალანდაძე (დგას და გაზეთი უჭირავს). სხედან — მარცხნიდან მარჯვნივ: მერაბ მარგველა-

ჯერ ერთი დემნა გავაცელქე და ხშირად უწევდა კუთხეში დგომა. იქიდან ჩუმად მემახდა „თხელო“ და მუშტს მიღერდა. მე ხელებს ვშილი, რა შუაში ვარ მეთქი.

მეორე, ჩემი დახმარებით ისე წამოიწია მათემატიკაში, რომ ერთ-ერთი მოწინავე მოსწავლე გახდა. ის ცხოვრობდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ბოლოში, მარჯვნივ სამრეცხაოს ქუჩის დასაწყისში. მისი ოჯახი შედგებოდა: მამა ნიკოზი, „იმელის“ დირექტორი, დედა შურა - პოეტი და პატარა და თამრიკო (30.08.1940). დემნა დილით ჩამოდიოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩით, შემოუხვევდა ათარბეგოვის ქუჩაზე ჩემს სახლთან, დამიძახებდა და ერთად მივდიოდით სკოლაში. ხოლო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, სახლში ვბრუნდებოდით რუსთაველის პროსპექტით ალ. ჭავჭავაძის ქუჩამდე და შემდეგ ზევით. ერთმანეთისგან თითქმის არაფერი გვქონდა დაფარული. ხშირად მე ვსტუმრობდი მას ოჯახში, ხან ის მოდიოდა ჩემთან. დედამისს მე ძალიან მოვწონდი, მთვლიდა ჭკვიან, ნიჭიერ და დაკვირვებულ ადამიანად და თუ ჩვენი კლასი რამე ღონისძიებაზე მიდიოდა, მუდამ მე მაბარებდა დემნას, შენ როცა მასთან ხარ მე მშვიდად ვარო. რაც შეეხება დედაჩემს, მასაც ძალიან მოსწონდა დემნა, უხაროდა ჩვენი მეგობრობა დ თუ რამე ღონისძიება იყო სკოლაში, ყოველთვის აბარებდა დემნას ჩემს თავს.



მეხუთე კლასელებმა ზვიად გამსახურდიამ, ნუგზარ ჩანტლაძემ, გურჯი ფხალაძემ, თენგიზ მაჩალაძემ და მე, 1951 წელს გადავწყვიტეთ ჩავწერილიყავით პიონერთა სასახლის კალათბურთის წრეში და გაკვეთილების შემდეგ მივაკითხეთ პიონერთა სასახლეს. იქ ეზოს გავლით ავედით უკანა კორპუსის მეორე სართულზე, სადაც კიბის მარცხენა მხარეს იყო კალათბურთის დარბაზი. გავაღეთ დარბაზის კარები და შევედით. მოვხვდით კალათბურთის შეჯიბრებაზე. მწვრთნელმა შემოგვხედა და გამოგვყარა გარეთ. გაწბილებულებმა გავაწყვიტეთ დერეფნის ყველა ოთახში შეგვეხედა და გაგვეგო იქ რა ხდებოდა. დავიწყეთ დერეფნის მეორე ბოლოდან. იქ დიდ ოთახში იდგა მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და მასწავლებელი ხერხეულძე (რომელთანაც მე მოგვიანებით დავმეგობრდი და მასწავლიდა თავის ილეთებს), ასწავლიდა მოსწავლეებს თამაშს, იქიდანაც გამოგვიშვეს.



შუა დერეფნის ერთი ოთახიდან ლაპარაკის ხმა ისმოდა. მე და ზვიადმა შევაღეთ კარები და შევიხედეთ: ის მაღალი იყო და მე პატარა და გამხდარი. ის კარების ზემოდან უყურებდა მე ქვემოდან. დავინახეთ შუახნის შემელოტებული კაცი, რომელიც ჭადრაკის სადემონსტრაციო დაფასთან იდგა და მოსწავლეებს რაღაცას უხსნიდა. ჩვენს დანახვაზე ხელი დაგვიქნია და დაგვიძახა: „შემოდით, რატომ აგვიანებთ“, მისი მოსწავლეები ვეგონეთ და ჩვენც ყველანი შევედით. ჩემმა ამხანაგებმა ერთი კვირა იარეს, მერე აღარ მოვიდნენ. მე კი შემოვრჩი და აკურატულად ვასრულებდი ყველა დავალებას არა ჭადრაკის სიყვარულის გამო, არამედ ვახტანგ მასწავლებლის გამო, ის ძალიან მომწონდა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ეს კაცი ვახტანგ ილიას-ძე ქარსელაძე (1929-1966), იყო მსოფლიოში ერთ-ერთი გამჩენილი საჭადრაკო მწვრთნელი, რომელმაც შექმნა ქალთა ქართული სკოლა: ელისო კაკაბაძე, ლია ხაჭაპურიძე, მანანა ტოგონიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და სხვანი.




1953 წელს უკვე მეორე თანრიგოსანმა მოჭადრაკემ, პირველად მივიღე მონაწილეობა ჩემთვის სერიოზულ შეჯიბრებაში - ბათუმში საქართველოს მოსწავლეთა გუნდურ ჩემპიონატში, თბილისის მეოთხე გუნდის, ბოლო, მეხუთე დაფაზე. კაზარიანის, ლომაიას, აზოიანისა და გამბარიანის შემდეგ. ჩემს დაფაზე ავიღე 7-დან 7 ქულა და მთავარმა მსაჯმა, ვიქტორ გოგლიძემ, ჩამრთო საქართველოს მოსწავლეთა პირად ჩემპიონატში. ასე დაიწყო ჩემი სპორტული ცხოვრება. 1954 წელს გავხდი პირველ თანრიგოსანი

და დავიკავე ადგილი ბოლო მეათე ვაჟთა დაფაზე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში, რომელიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა გუნდურ ჩემპიონატებში. 1957 წელს საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონი გავხდი. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღებითა და გულისყურით მექცეოდა საქართველოს მოსწავლეთა ჭადრაკის შეფი, ვიქტორ არსენის-ძე გოგლიძე (1905-1964), რომელიც ყველას მიმართ ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო, თვითონ ვახტან ქარსელაძესაც კი ერიდოებოდა, მისი ყველა მოსწავლე ხედავდა როგორ მაძლევდა მე ყველაფრის უფლებას გოგლიძე. ის კი არა და ცალკე დავდიოდი მასთან სახლში, სადაც მარტოს უსასყიდლოდ მამეცადინებდა ჭადრაკში. მასთან რომ მივიდოდი ჯერ ცოლს დაუძახებდა: ნინო, აბა რა გვაქვს საჭმელი? და გამიმასპინძლდებოდა, შემდეგ ვიწყებდით მეცადინეობას.



ვიქტორი და ვახტანგი ჩემი მწვრთნელები და მასწავლებლები, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, თვლიდნენ, რომ მე მაქვს განსაკუთრებული ჭადრაკის თეორიტიკოსის ნიჭი და პირდაპირ მაიძულებდნენ მემუშავა ამ მიმართულებით. სწორედ მათ უნდა ვუმადლოდე, ჩემს მიერ შექმნილ თეორიულ გაგრძელებებს. მათ შორის გამოვყოფ სიცილიურ დაცვაში, თეთრებით მორას გამბიტს, შავებით ესპანურ პარტიაში კორდელის ვარიანტს, ბუდაპეშტურ გამბიტს, ვოლგის გამბიტს, თეთრებით დიმერის გამბიტს და სხვა.

ამ პერიოდში მე მიყვარდა არა ჭადრაკი, არამედ თავს ვიკლავდი ყველაზე კარგად მეთამაშა, რომ მოვხვედრილიყავი გუნდში, რაც საშუალებას მაძლევდა ღარიბი ოჯახის შვილს, სახელმწიფოს ხარჯით მენახა მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, ბაქო, ერევანი, როსტოვი. ამ პერიოდში ვისწავლე და გავათვიცნობიერე რას ნიშნავს გუნდური ცხოვრება, მეგობრის მხარი, საკუთარი მოთხოვნილებების გათვალისწინება სხვებთან შეთანხმებით და კიდევ ბევრი ისეთი რამე, რასაც ჩვეულებრივ კურორტზე ან ოჯახთან ერთად დასვენებისას ვერც გაიგებ და ვერც გაითავისებ.

ჩემს ცხოვრებაში 1950 წლის 2 თებერვალს, დიდი მოვლენა მოხდა: დაიბადა ჩემი და მარინა. მე ძალიან აგრესიულად შევხვდი მის სახლში მოყვანას. ყურადღებას აღარ მომაქცევდნენ მეგონა. სახლიდანაც კი ვაპირებდი გაქცევას. დედამ დამამშვიდა: შენ არ ინერვიულო, ცოტა რამ გაიზრდება ბავშვთა სახლში ჩავაბარებო. მეც დავიჯერე, თუმცა სულ თავზე დავტრიალებდი მის მაღალსამხრეებიან საწოლს. ჩემი და ძალიან მშვიდი ბავშვი იყო, თუ რამე არ უჭირდა  არ ჭირვეულობდა, მე კი სულ მიღიმოდა. ბოლოს ვეღარ გავიმეტე და დედას ვუთხარი დარჩეს ჩვენთან მეთქი. ასე ჩემს ოჯახში შემოვიდა დიდი სიხარული. დედა თითქმის სულ მოუცლელი იყო, თან ჯანმრთელობასაც უჩიოდა და ამიტომ ჩემს დას ძირითადად მამაჩემი უვლიდა. მიყავდა და მოყავდა ბავშვთა ბაგიდან, ასერინებდა, აჭმებვდა და ასე შემდეგ. არც ის მიკვირდა რომ ჩემზე მეტადაც უყვარდა.



დედა და მარინა



ლამარა თხელიძე
მე და მარინა



მარინა



მარინა, მერაბი და ჩემი
და მარინა

ჩემი და ძალიან წყნარი, დამჯერი და მოსიყვარულე გოგონა იყო. განსაკუთრებით ჩემთან იყო ახლოს: სულ თვალებში შემომყურებდა, ყველაფერს ჩემნაირად აკეთებდა და იმეორებდა.

### ჩემს დას, მარინას

მე მეძნელება ლექსის დაწერა
დაზე, რომელსაც შვილივით ვზრდიდი,
დაზე, რომელსაც დედა მოუკვდა
დაზე, რომელსაც გზას მე ვუხსნიდი.
დაზე, რომელიც ცხრა წლის დაობლდა,
დაზე, რომელსაც მამა გაექცა,
დაზე, რომელსაც სითბო დააკლდა
მშობლიური და ვისღა გაეცა.
მე მეძნელება ლექსის დაწერა
დაზე, რომელიც ცხრა წლის დაობლდა
და მისი ტოლი სხვა, ბედნიერი,
თოჯინებთან თუ მხოლოდ დაობდა.
თვითონ კი გახდა დიასახლისი
ორკაციანი მცირე ოჯახის –
სასმელ–საჭმელი, ბინის გამოგვა,
ჭურჭლის გარეცხვა, ჯაფა მოსწავლის.
აღარ ვიხსენებ იმ დროს სევდიანს,
როცა უსახსროდ დავრჩით ობლები,
თან ვმუშაობდი და სტიპენდიაც –
შიმშილისაგან აღარ მოვკვდებით.
აღარ ვიხსენებ ჩემი დის თვალებს
შემოჩერებულს, ყურადღებიანს,
უნდოდა ჩემში ამოეკითხა
რა გველის, ზუსტად, სწორად და ღიად.
და გაჭირვება, სასოწარკვეთა,
როცა არსაით არაფერს ელი,
არ გვასწავლიდნენ კომუნისტები,

რომ არის ძალა, რომ არის ღმერთი.
და თუ შესძელი, დადექი მედგრად,
იწამე ღმერთი და ლოცვის ძალა,
მიხედავ დასაც და ძმასთან ერთად
მას ეყოლება დედაც და მამაც.
გავიდა წლები, დრო შეიცვალა,
ეხლა ჩემი და არის ძლიერი,
ორი შვილი ჰყავს – ლევან, ირინა
და შვილიშვილი, ფეხბედნიერი.
მე კი კვლავ ვებრძვი ვერაგ ცხოვრებას,
უნდა ვარჩინო ცოლი და შვილი
და თვალწინ მიდგას ჩვენი წარსული
ჩვენი ობლობა ჩემი და შენი.

დავუბრუნდეთ ისევ ჭადრაკის გაკვეთილებს პიონერთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტში, ვახტანგ მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

დავდიოდით კვირაში სამჯერ სკოლის გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ჩვენს ჯგუფში ვმეცადინეობდით: მე, ტყუპები არჩილ და ლევან გაბუნიები, გურამ მაჭავარიანი, ედუარდ გერსამია, ევგენი მელიქსედბეგი, სხვები არ მახსოვს. ვსწავლობდით დებიუტებს, ენდშპილებს, გვქონდა თემატური ტურნირები, ერთდროული სეანსები და ა.შ. საღამოს 18 საათისთვის ვახტან მასწავლებელთან მოდიოდნენ სამეცადინოდ ქალბატონები: ელისო კაკაბაძე, ლია ხაჭაპურიძე, მანანა ტოგონიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია.

მართალია ჭადრაკი ინდივიდუალური სპორტია, ყველა მოჭადრაკე შენი პოტენციური მოწინააღმდეგეა, მაგრამ ეს ჭადრაკის დაფასთან, ხოლო ცხოვრებაში მე მათი სახით უამრავი მეგობარი შევიძინე. მათ შორის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა დავით ჯანოევთან, ალექსანდრე იზვოზჩიკოვთან, თამაზ კიკიანთან. ვმეგობრობდი აგრეთვე თემური ჯახუტაშვილთან და გურამ ჭანტურიასთან ბათუმიდან, გარი ბუცხრიკიძესთან, როჯერ ჩერგაძესთან ქუთაისიდან და ბევრ სხვასთან.



მოჭადრაკეები მარცხნიდან: არჩილ მეგრელიშვილი (გურჯაანი), თემური ჯახუტაშვილი (ბათუმი), მერაბ თხელიძე (თბილისი), ალექსანდრე იზვონჩიკოვი (თბილისი), გურამ ჭანტურია (ბათუმი), როჯერ ჩირგაძე (ქუთაისი).

## §5. პირველ საშუალო სკოლის მეცხრე-მეთერთმეტე კლასები



მეცხრე კლსში ვიყავით როცა სახელმწიფომ გადაწყვიტა ვაჟთა და ქალთა სკოლების გაერთიანება საშუალო სკოლებად, ჩვენი სკოლა და პირველი ქალთა სკოლა (დღეს 47-ე სკოლა) შეგვაერთეს. ჩვენი კლასის $9^2$-კლასის დამრიგებლად დაინიშნა ვალენტინა სისოევნა ჩხენკელი. მარცხნიდან პირველი დემნა ცხაკაია, მეორე-მერაბ თხელიძე, მესამე-ჯანრი კაშია (მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მომავალი ქმარი), ზედა რიგში ბოლოს წინა როდამ ჭელიძე და როლანდ გალუსტოვი.



ჩემი მეცხრე კლასი. პირველ რიგში მარცხნიდან: დემნა ცხაკაია, ზურაბ მაძაღუა, თენგიზ ქურდიანი, თენგიზ შანიძე, ოთარ ბასილაშვილი, ნუგზარ ჩანტლაძე, თენგიზ მაჩალაძე.



მეორე რიგში მარცხნიდან მეორე გულსუნდა ქორიძე, ნანა ქავთარაძე, ნანა ყვარელაშვილი, ირა ჩაჩავა, მერი პატარაია.

დგანან მარცხნიდან მეორე გულიკო გოგნიაშვილი, ოთარ წერეთელი, ირა გიგინეიშვილი, როდამ ჭელიძე და მისი პატარა ძმა.

ვალენტინა ჩხენკელი წესრიგის მოყვარული ქალი იყო, ენერგიული, გვასწავლიდა რუსულს და კარგადაც გვასწავლიდა, მე ის ძალიან მომწონდა, თუმცა ხშირად მხვდებოდა მისგან ჩემი ცელქობის გამო. მან სკოლაში ჩამოაყალიბა რუსული ენისა და ლიტერატურის წრე, რომლის თავჯდომარედაც მე დამნიშნა. სურათზე ზედა რიგში მესამე მე ვარ, მეორე რიგში მარცხნიდან მეოთხე ვალენტინა ჩხენკელია.

მახსოვს მოსკოვიდან სკოლაში გვესტუმრნენ მოსწავლეები, პუშკინის ლიტერატურული წრის წევრები. პუშკინის შესახებ გამოკითხვა დაგვიწყეს და წარმოიდგინეთ მათი გაოცება და ვალენტინა ჩხენკელის სიხარული, როდესაც მე დავიწყე მოყოლა პუშკინის გამოუქვეყნებელ და დაუმთავრებელ ნაწარმოებებზე, რომლებიც მათ არ იცოდნენ.



სამი მეგობარი: მერაბ თხელიძე, დავით ჯანოევი და დემნა ცხაკაია. ალექსანდროვის ბაღში.

ბევრი რამ მახსენდება ამ პერიოდში ჩემს კარგ და ცუდ მასწავლებლებზე. გამორჩეულად მიყვარდა ყველა კლასის მათემატიკის მასწავლებლები, ქართული, რუსული და ინგლისური ენის მასწავლებლები.

უმცროს კლასებში მათემატიკას გვასწავლიდა ალექსი ლომგურაშვილი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა იმაში, რომ მე მათემატიკა შემყვარებოდა.

ძალიან კარგი ადამიანი იყო. ხომ იცით ბავშვი სწავლობს და უყვარს ის საგანი, რომლის მასწავლებელიც მოსწონს. ალექსი ძალიან თავდაჭერილი კაცი იყო, ბავშვებს ერთნაირად პატივისცემით ეპყრობოდა. მე ვერაფერი მომიხერხა, სულ რაღაცას ვარღვევდი და მის გაკვეთილებზე ხშირად კუთხეში ვიდექი. გარეთ გასაგდებად არ ვემეტებოდი. ახალ მასალას რომ ახსნიდა, ჯერი მაგალითების ამოხსნამდე რომ მივიდოდა მეტყოდა, მაინც ტყუილად დგეხარ, გამოდი დაფასთან და ამოგვიხსენი ეს მაგალითებიო. შემდეგ მერხზე დამაბრუნებდა.

ასევე კარგი მასწავლებელი იყო მათემატიკოსი - ჟორა ოქრუაშვილი, ჩვენი კლასელის თამაზის (ზაიას) მამა. ის გვასწავლიდა მათემატიკას მე-10 და მე-11 კლასებში. ასევე კარგად ვიხსენებ რუსული ენის მასწავლებლებს, ზაზა ჩაჩანიძის და როდამ ჭელიძის დედებს, რომლებიც დაბალ კლასებში გვასწავლიდნენ. შემდეგ რუსულს ვალენტინა ჩხენკელი გვასწავლიდა.

არ მომწონდა ქიმიის მასწავლებელი ვარდო ვარდიაშვილი, გეოგრაფიის მასწავლებელი გაბუნია, ბიოლოგიის მასწავლებელი გერსამია. ფიზიკას გვასწავლიდა სამართლიანი, დინჯი და გამგებიანი მასწავლებელი - სკოლის დირექტორი ნიკოლოზ კიკვაძე. საინტერესო და უცნაური ადამიანი იყო ისტორიის მასწავლებელი კოლია სამხარაძე. მომწონდა პიონერხელმძღვანელი ნანული რატიანი, ბიბლიოთეკის გამგე დეიდა ვარია, კოტე მახარაძის დედა, რომელიც მირჩევდა წიგნებს ქართულ და რუსულ ენებზე და მთხოვდა საერთო რვეულში ჩამეწერა ამონარიდები მათგან და ჩემი შეხედულებები. შემდეგ ჩემს რვეულებს ინახავდა. მოგვიანებით სიამაყით გავიგე, რომ ეს რვეულები გამოუყენებია დისერტაციის დაცვის დროს, ჩვენ საამაყო მოჭადრაკეს ელისო კაკაბაძეს (რომლის ჭადრაკის მწვრთნელი გავხდი მოგვიანებით).

განსაკუთრებით მინდა გამოვყო ქართულის მასწავლებელი ბაბო მჭედლიძე. ჩვენ, მოსწავლეებს გვიჭირდა ქართულ და რუსულ წერებში ფრიადის მიღება. წერები ძირითადად ნასწავლი მასალის მოკლე შინაარსს ან გარკვეული ეპიზოდის გადმოცემის შეეხებოდა. ბაბო მასწავლებელი უშეცდომო ნაწერშიც კი ფრიადს იშვიათად წერდა. ის მეოთხედში ფრიადს აყოლებდა მოსწავლეს, რომელიც ფრიადზე დაწერდა თავისუფალ თემას. მაგალითად, ჩემი საყვარელი წიგნი, ჩემი ლიტერატურული გმირი ან სხვა ამგვარი.

ბაზო მასწავლებელს მოსწონდა ჩემი ნაწერები, განსაკთრებით ჩემი თავისუფალი თემები, სულ ფრიადებს მაყოლებდა მეოთხედებზუ და მათი ხათრით ზეპირშიც ფრიადს მიწერდა, თუმცა სულ უკვირდა: „პირველად ვხდედავ რომ მოსწავლე ასე შესანიშნავად წერდეს და ზეპირი გამოკითხვიდს დროს ბორძიკ-ბორძიკ ყვებოდეს გაკვეთილს“. რა იცოდა ქალბატონმა ბაზომ, რომ ეს ჩემი პატარა ეშმაკობა იყო: მეზარებოდა მასალის ბოლომდე დასწავლა, ძირითადად დემნა მკარნახობდა მერხიდან და ბაზოს ბოლოს მოთმინება ელეოდა, ეგონა ბოლომდე ვიცოდი მასალა და გამაჩერებდა ხოლმე. ასევე კარგი ნიშნები მქონდა რუსულ წერაში.

ერთხელ ჩემთან მოვიდა ზვიად გამსახურდია და მკითხა: რამეს ხომ არ ეშმაკობ წერებში, მეც მასწავლე შენი მეთოდიო“. მე ვუპასუხე ვიწერ-მეთქი და მოვუყევი ჩემი მეთოდი: სახლში ვწერ დაკვირვებით კარგ თემას, მერე მას გადავწერ ფანქრით საშუალო ზომის საშრობ ქაღალდებზე, რომლითაც ვაშრობთ კალმისტრით დაწერილს. ეს საშრობები მიდევს პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში, ერთი კი უკუღმა მხარით მიდევს რვეულში. როცა იქ დაწერილი დამთავრდება, ამ საშრობს ვიდებ მარცხენა ჯიბეში და მარჯვენა ჯიბიდან ვიღებ შემდეგ „შპარგალკას“, სულ ეს არის ჩემი მეთოდი. „შენ ყოჩაღ, ჩემო ძმაო, მე მაგას ვერასდროს შევძლებ“ მითხრა ზვიადმა.

ახლა რაც შეეხება ქიმიის მასწავლებელს ვარდო ვარდიაშვილს. ძალიან თავისებური ქალი იყო. ექიშპებოდა ჩვენს დამრიგებელს-რუსული ენის მასწავლებელს, ვალენტინა ჩხენკელს. შურდა რომ მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო საბჭოთა კავშირის დამსახურებული მასწავლებლების წოდება, ის თვითონ ვალენტინას ვერაფერს უბედავდა. ვალენტინა ყველა მოსწავლეს თავის სადამ-რიგებლო კლასიდან ერთნაირი გულისხმიერებით ექცეოდა, ჩემს გარდა. მე გამორჩეულად ვუყვარდი, ამიტომ ვარდო მასწავლებელი მე მჩაგრავდა. ასე იყრიდა ჯავრს ვალენტინაზე. გამომიძახებდა, გაკვეთილის გარდა ათას რამეს შემეკითხებოდა და ოდნავი წაბორძიკების შემთხვევაში მიწერდა ოთხიანს და მერე აღარ მიძახებდა ხოლმე. მახსოვს ნანა ქავთარაძეს გამოიძახებდა და თუ ფრიადს დაუწერდა, შემდეგ გაკვეთილზე ისევ იძახებდა და ასე მეორდებოდა ყველა გაკვეთილზე. ძალიან მეცოდებოდა ეს გოგო, მაგრამ ჩემს რჩევას ის არ ითვალისწინებდა. მე კი გამოვიყენე ვაროდო მასწავლებლის სისუსტე და ასეთი გეგმით ვმოქმედებდი: როცა გამიძახებდა განგებ პატარა შეცდომას დავუშვებდი, მას გაუხარდებოდა, მაშინვე გამაჩერებდა და ოთხიანს დამიწერდა. მაგრამ მისი სისუსტე ის იყო, რომ ყოველი მეოთხედის ბოლოს იკითხავდა: ვის უნდა ნიშნის გამოსწორება. ჩემი თხოვნით არც-ერთი მოსწავლე არ წევდა ხელს ჩემს გარდა, იძულებული იყო მე გამოვეძახე და ასე ვღებულობდი ხოლმე ფრიადს.

სკოლიდან ძალიან მწარედ და სამუდამოდ დამამახსოვრდა დედაჩემის ერთი ნათქვამი. საქმე ეხებოდა მშობელთა კრებას, რომელზედაც კლასის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების საკითხი განიხილებოდა. დედაჩემი ასეთ კრებებს არ ესწრებოდა. ერთხელაც ვკთხე: დედა რატომ არ ესწრები კრებას, ნუთუ ეჭვობ რომ შენი შვილი ყველაზე ძლიერია? და მივიღე პასუხი: არა შვილო, მაგრამ ისეთი კაბა არა მაქვს, რომ გამოვჩნდე შენი კლასელების მშობლებთან. ამან და დედაჩემის უამრავმა გასაჭირმა დიდი ხნის შემდეგ როგორც კვნესა დამაწერინა ეს ლექსი.

## ლიტერატურული სამყარო

### უყიდეთ საჩუქარი დედებს

გუშინწინ სიზმარი ვნახე,
გული სიზმარშივე დამწყდა:
დედა სიზმარში მეფერებოდა,
მისთვის რვა წლის ვიყავი ბავშვი.

სიზმარში ორმოცდათერთმეტის ვხდებოდი
ასაკის, დედა რომ მომიკვდა მაშინ.
ერთი საჩუქარიც რომ ვერ ვუყიდე,
არც რომ მომსვლია ეს აზრი თავში;

ეს გამახსენდა და გული დამწყდა,
ცრემლები წამსკდა წამში.
დედამ სიზმარშივე დამამშვიდა,
ჩურჩულით მითხრა მაშინ:

რას ამბობ, შვილო, შენ რომ გამიჩნდი –
ეს საჩუქარი არ არის განა?
სკოლის ოქრო რომ მომირბენინე –
ეს საჩუქარი არ არის განა?

ჩემპიონი რომ გახდი ჭადრაკში –
ეს საჩუქარი არ არის განა?
გული რომ არ მატკინო იმ ქვეყნად,
ისე რომ ცხოვრობ – ეს საჩუქარი არ არის განა?

სირცხვილის ცრემლებს ვერ ვიკავებდი,
გული მწყდებოდა ძალზე,
იმაზე არა, საჩუქარი რომ ვერ ვუყიდე,
ეს აზრი არც რომ მომსვლია თავში.

ეხ, ნეტავ, შეიძლებოდეს, უკან რომ დამსვა ცხადში...
შვილებო, უყიდეთ საჩუქარი დედებს,
რომ არ ინანოთ, არ დაგწყდეთ გული
ამ ცხოვრებაში, თუნდაც სიზმარში.

მერაბ თხელიძე

მაშინ როდესაც ჩვენი კლასი მეთერტმეტე წელიწადს ამთავრებდა, საქართველოს განათლების სამინისტრომ შემოიღო შემდეგი შესწორება. კერძოდ თითოეული საშუალო სკოლიდან შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ოქროს მედლის მიღება. მოტივი ის იყო, რომ ეს მედლები მთლიანად ოქროსი იყო და სახელმწიფოს ძვირი უჯდებოდა. რაც შეეხება ვერცხლის მედლებს, მათზე შეზღუდვა არ იყო.

ყოველივე ამან გამოიწვია არაჯანსაღი ქმედებები სკოლებში, მათ შორის ჩვენ სკოლაშიც მშობლები სხვადასხვა უკანონო ქმედებებით, სამინისტროს უღირსი თანამშრომლებთან

შეთანხმებით ცდილობნდნე მათთვის კონკრეტული მოსწავლეებისთვის ხელი შეეშალათ ფრიადების მიღებაში.

ერთ დღეს სამინისტროდან გამოცხადდა სამწევრიანი კომისია, რომელიც ამოწმებდა ჩვენს კლასში წარჩინებული მოსწავლეების ცოდნის ხარისხს. რატომღაც მაინცდამაინც ჩემი ცოდნის შემოწმება გადაწყვიტეს. ერთი შეცდომა კი იმაში დაუშვეს, რომ მათემატიკის ცოდნის შემოწმება დამიწყეს. რა იცოდნენ, რომ ეს ჩემი ყველაზე ძლიერი მხარე იყო. მთელი გაკვეთილის მანძილზე მეკითხებოდნენ. კლასში მათთან ერთად იყვნენ სკოლის დირექტორი კიკვიძე, ჩვენი მათემატიკის მასწავლებელი ოქრუაშვილი და დამრიგებელი ჩხენკელი.

გაკვეთილის დამთავრევის შემდეგ, კომისიის წევრებთად ერთად გამოვიდა ჩვენი დამრიგებელიც, ვალენტინა ჩხენკელი, რომელმაც მოისმინა მათი საუბარი და მოგვიანებით მე გამანდო. კომისიის თავჯდომარემ კომიის წევრებს უთხრა: „მე ამ მოსწავლეს ოთხიანს ვერ დავუწერ, არ შემიძლია“!

იყო სხვა სიძნელეებიც გამოსაშვები გამოცდილების დროსაც, მაგრამ ჩემთვის ყველაფერმა კარგად ჩიაარა. ქართული წესის შემდეგ, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა სტატია ქართული წერის შესახებ, რომელშიც ეწერა: „ფრიადოსანი მერაბ თხელიძე წერს თემას, სოციალისტური სოფელი“. ამან კიდევ უფრო გამიმტკიცა რწმენა, რომ ფრიადი დამიწერეს.

გამოცდების დამთავრების შემდეგ სკოლიდან გამოვიტანეთ მე ოქროს მედალი და ჩემმა კლასელებმა კიდევ ვერცხლის სამი მედალი.






მე მოვიტანე სახლში ოქროს მედალი, დავუდე დედას წინ და ვუთხარი: დედიკო, ხომ შეგისრულე შენი დიდი ნატვრა, საუკეთესო ვარ სკოლაში. ეს მედალი შენი დამსახურებაა. მე მას შენ გჩუქნი!

მეორე საჩუქარი იყო საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატში გამარჯვება 1957 წელს და კარგი თამაში მოსწავლეთა საკავშირო გუნდურ ჩემპიონატში, ქალაქ ვლადიმირში პირველ დაფაზე, რომელზედაც რესპუბლიკების ჩემპიონები თამაშობ-დნენ.

## პირველი დაფის შედეგები საკავშირო ჩემპიონატში

| | monawileebi | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | qula | adgili |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რევაზ კიკიანი (ზუგდიდი) | | 0 | ფ | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | ფ | 1 | 7 | X-XI |
| 2 | თეიმურაზ ჯახუტაშვილი (ბათ.) | 1 | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | ფ | 0 | ფ | ფ | 0 | 1 | 9.5 | III |
| 3 | ვალერი აბაჯიდი (ბათუმი) | f | 0 | | 1 | 0 | ფ | 0 | ფ | 0 | 0 | 0 | 0 | ფ | 0 | ფ | 0 | 3,5 | XV |
| 4 | ვალერი ავანიანი (ბათუმი) | 0 | 0 | 0 | | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | ფ | 1 | 0 | 0 | ფ | ფ | 0 | 2,5 | XVIII |
| 5 | როჯერ ჩირგაძე (ქუთაისი) | 1 | 0 | 1 | 1 | | 1 | ფ | 0 | 1 | 0 | ფ | ფ | ფ | ფ | 1 | ფ | 9 | IV-V |
| 6 | ბუხუტი გორგაძე (ჭიათურა) | 0 | 0 | ფ | 1 | 0 | | ფ | ფ | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | ფ | 0 | ფ | 4,5 | XIV |
| 7 | ფელიქს გასანოვი (თბილისი) | 1 | 0 | 1 | 1 | ფ | ფ | | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 7 | X-XI |
| 8 | გარი სტეპანოვი (ხაშური) | 1 | 1 | ფ | 1 | 1 | ფ | 1 | | 0 | | 0 | 0 | 0 | 1 | ფ | 1 | 8,5 | VI-VII |
| 9 | ედუარდ მუმჯანი (სოხუმი) | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | | 0 | 0 | ფ | ფ | ფ | 0 | 1 | 7,5 | IX |
| 10 | მერაბ თხელიძე (თბილისი) | 1 | 1 | 1 | ფ | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | 0 | ფ | 1 | 0 | 1 | 1 | 12 | I |
| 11 | ალექსანდრე იზვოზჩიკოვი (თბ.) | 1 | ფ | 1 | 0 | ფ | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | | 1 | 0 | 1 | 1 | ფ | 10,5 | II |
| 12 | ელგუჯა აბრამიძე (ქუთაისი) | 0 | 1 | 1 | 1 | ფ | 0 | 1 | 1 | ფ | ფ | 0 | | ფ | ფ | 0 | ფ | 8 | VIII |
| 13 | გერბერტ ბუცხრიკიძე (ქუთ.) | 1 | ფ | ფ | 1 | ფ | 1 | 1 | 1 | ფ | 0 | 1 | ფ | | ფ | 0 | 0 | 9 | IV-V |
| 14 | სულიკო მეგრელიშვილი (მახ.) | 0 | ფ | 1 | ფ | ფ | ფ | 0 | 0 | ფ | 1 | 0 | ფ | ფ | | - | ფ | 6 | XII-XIII |
| 15 | ალექსანდრე ბუჩაქჩიანი (ბათ.) | f | 1 | ფ | ფ | 0 | 1 | 1 | ფ | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | - | | ფ | 8,5 | VI-VII |
| 16 | რომან ჯინჯიხაშვილი (თბ.) | 0 | 0 | 1 | 1 | ფ | ფ | 0 | 0 | 0 | 0 | ფ | ფ | 1 | ფ | ფ | | 6 | XII-XIII |

| № | მონაწილეები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | ქულა | ადგილი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალიევი (ყირგიზეთი) | | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | | 0 | 2 | IX-X | |
| 2 | ჩერნიხი (მოსკოვი, ო/კ | 1 | | ფ | 0 | 0 | 1 | ფ | 0 | | 1 | 5 | III-VII | IV |
| 3 | ლესოხინი (ლენინ.) | 0 | ფ | | ფ | 0 | ფ | 0 | ფ | | 0 | 2 | IX-X | |
| 4 | ბარვიკი (ლატვია) | 1 | 1 | ფ | | ფ | 0 | ფ | 0 | | ფ | 4,5 | VIII | |
| 5 | კოგანი (უკრაინა ო/კ) | 0 | 1 | 1 | ფ | | 0 | 1 | 1 | | ფ | 6 | I | |
| 6 | ლიტვინოვი (ბელორ.) | 1 | 0 | ფ | 1 | 1 | | 1 | 0 | | 1 | 5,5 | II | |
| 7 | ხერმლინი (ესტონეთი) | 1 | ფ | 1 | ფ | 0 | 0 | | ფ | | ფ | 5 | III-VII | VII |
| 8 | ხოდოსი (რსფსრ, ო/კ) | 1 | 1 | ფ | 1 | 0 | 1 | ფ | | | 0 | 5 | III-VI | III |
| 9 | თხელიძე (საქართ.) | 1 | 0 | 1 | ფ | 0 | 1 | 0 | 1 | | ფ | 5 | III-VII | V-VI |
| 10 | პავლენკო (აზერბ.) | 1 | 0 | 1 | ფ | ფ | 0 | ფ | 1 | | | 5 | III-VII | IV-VI |

## §6. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მეთერთმეტე კლასში ვიყავი, როდესაც დედაჩემმა ცნობა მიიღო მთავრობისაგან, რომ მისი ძმა გიორგი (ჟორა) რეაბილიტირებული იყო. მოიძიეს მისი ადგილსამყოფელი და გამოირკვა, რომ ის არსად არ გადაუსახლებიათ, არამედ თბილისის მახლობლად დაუხვრეტიათ. ამ ამბავმა ძალიან იმოქმედა დედაჩემზე, რომელსაც ჯამრთელობა შეერყა და ცოტა არ იყოს კინაღამ გააფრინა. სულ განერვიულებული იყო, გაუთავებლად ლაპარაკობდა, ხან ჭკვიანურად, ხან სულელურად. სამსახურსაც შეეშვა, მუდმივად ლანძღავდა მამაჩემს, რომელიც მორჩილად უსმენდა და ერთი სული ქონდა როგორმე გასულიყო სახლიდან. დედაჩემს არავისი არ ეშინოდა. არც არავისი სჯეროდა ჩემს გარდა.

მიუხედავად მისი ასეთი მდგომარეობისა, დედაჩემს შერჩა ჩემდამი სიყვარული და მზრუნველობა. როგორც კი მოვიდოდი სკოლიდან, გზაში დედაჩემის ყვირილი მესმოდა, გულგახეთქილი ამოვვარდებოდი კიბეებზე, შევიდოდი ოთახში და ასეთი სურათი მხვდებოდა: დედაჩემი იჯდა ფანჯრის რაფაზე, ლანძღავდა მამაჩემს, ხალხის მტერს ეძახდა და იმუქრებოდა არ მომიახლოვდეს თორემ გადავხტებიო.

ჩემს გამოჩენაზე ჩუმდებოდა, ჩამოდიოდა რაფიდან და საჭმელს მიმზადებდა. მერაბის მეცადინოებაზე ხელი არ შევუშალოთო, ეუბნებოდა მამაჩემს და ბაბუაჩემს.

ადვილად რომ გაიგოთ რა პირობებში ვცხოვრობდით, ამ დროს მოვიყვან ჩვენი ბინის გეგმებს.

| | | |
|---|---|---|
| დუნაევსკი | თხელიძე | ლომაძე |
| ვაგრა | რაზმაძე | კაპანაძე |
| ჩხეტიანი | | ბურჭულაძე |
| | | ნადირაძე |

ათარბეგობის ქუჩა 35.

ეზოდან I სართული ბენაშვილი და ჯიშკარიანი.




სამ ოჯახიანი ბინა მეოთხე სართულზე ქუჩიდან.




მერაბ თხელიძე ერთ თოახიანი ბინა.

გეტყვით იმასაც, რომ ჩემს ელიტურ კლასში, რომლის უმეტესი მოსწავლე თავისი მანქანით მოყავდათ სკოლაში, მე რა გულით უნდა მესწავლა და მესწავლა კარგად, მიუხედავად ჩემს ოჯახში აუტანელი მორალური და ფიზიკური მდგომარეობისა, როცა საწყალი მამაჩემი ყიდულობს ჩემთვის ზამთრის შინელს ორი ზომით დიდს, რომ მერე გამოადგებაო, ტანსაცმელი ერთი ხელი მქონდა და ორი საროჩკა სკოლაში წასასვლელად. ახლა არ მახსოვს ფეხსაცმელი როგორი მქონდა, ადვილი მისახვედრია რა დონეზე ვსწავლობდი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, სკოლის ერთადერთი ოქროს მედალი მე მოვიპოვე და როგორც ადრე ავღნიშნე მივუტანე დედას ჩემი საჩუქარი, რაც მისთვის ალბათ ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იყო, რაც კი ცხოვრებაში მიუღია.

1956 წლის 3 ივნისს, ჰიპერტონიით ბაბუაჩემის გარდაცვალების შემდეგ, დედაჩემი როგორც ავღნიშნე ფიზიკურად და მორალურად ძალიან ცუდად იყო, მაგრამ საჭმელს, სარეცხს და ყველა ოჯახის საქმეს თავგადაკლულად აკეთებდა და სწორედ ამან მოუღო ბოლო.

ერთ დილას, როცა მე ნახევრად მძინარე ტუალეტში გავედი, წინ დედაჩემი დამხვდა, რომელიც ვანის ოთახში სარეცხს რეცხავდა თურმე და რომ დამინახა ლოყაზე ხელი მომკიდა და მომეალერსა. მე უხეშად მოვიშორე, მეძინება მეთქი. რა ვიცოდი მე უბედურმა რომ ეს დედაჩემის ბოლო ალერსი იყო. მე დასაძინებლად წავედი, დედაჩემმა კი გარეცხილი წყალი დიდი ტაშტით ასწია, რომ ტუალეტში ჩაესხა და დაარტყა წნევამ. უგონო მდგომარეობაში

ვიპოვეთ ვანაში იატაკზე. მას მარჯვენა მხარე გაუშეშდა, ვეღარ ლაპარაკობდა და ასე უმწეო მდგომარეობაში შემოგვაკვდა მე და მამაჩემს მეთორმეტე დღეს. ეს იყო 1959 წლის 9 სექტემბერი. ამ დღეს დამთავრდა ჩემი ბავშვობა და უზრუნველი, ბედნიერი ცხოვრება. ამის შემდეგ მხოლოდ საკუთარი თავისა და ღმერთის იმედი მქონდა და მაქვს დღემდე.





სკოლაში მეათე და მეთერთმეტე კლასებში ძალიან დავინტერესდი მსოფლიო დიპლომატიით და დიპლომატიის ისტორიით და გამოჩენილი დიპლომატებით. თავისუფალი დროის დიდი ნაწილს ამ საკითხების გაცნობა-შესწავლას ვანდომებდი. მაინტერესებდა აგრეთვე ჟურნალისტიკა.

სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, განვაცხადე რომ მსურდა მოსკოვში საერთასორისო უნივერსიტეტში გამეგრძელებინა სწავლა, საერთაშორისო დიმპლომატიური ურთიერობების ფაკულტეტზე. საქართველოს განათლების სამინისტრომ თხოვნით მიმართა მოსკოვს ჩემს შესახებ. მივიღეთ პასუხი, რომ წელს მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობის განხრით გვაქვს ადგილებიო. ჩემში ვაჭრობა გადამყიდველებთან ასოცირდებოდა და ამიტომ მე სულელმა უარი ვთქვი, რითაც ძალიან გავახარე დედაჩემი. ის დამიჯდა და დამელაპარაკა, როგორც დიდ და ჭკვიან ადამიანს. მან მითხრა: შვილო, შენ ვაჟკაცი ხარ, მომავალი ოჯახი უნდა არჩინო, ამიტომ სერიოზული პროფესია უნდა აირჩიოო. ყველა სიტუაციაში ქვეყანას დასჭირდება მათემატიკოსი, ფიზიკოსი ან ქიმიკოსი. ამ სამიდან შენ რომელიც გსურს, ის აირჩიე. მე ავირჩიე მათემატიკა და არცა ვნანობ.

გამოჩენილი სპორტსმენი აბიტურიენტებისთვის იყო განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი სპეციალური სია და ისინი გამოცდებს ოთხივე საგანში აბარებდნენ ერთ დღეს. ფაქტიურად ყველა ისინი ირიცხებოდნენ უმაღლეს სასწავლებლებში.

მე არ ვისურვე ამ სიით გამოცდების ჩაბარება და როგორც ოქროს მედალოსანი გავედი გასაუბრებაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მოსახვედრად, მომავალ დეკანთან პოლიკარპე (კუკუშა) ზერაგიასთან. მან ორი უბრალო კითხვა დამისვა და მთხრა ჩარიცხული ხარო.

ასე დაიწყო ჩემი საუნივერსიტეტო ცხოვრება. ცოტა ხნის შემდეგ, ახლოს გავიცანი ჩემი მომავალი ცხოვრების მეგობარი და ჭკუის დამრიგებელი, მეორე კურსის სტუდენტი, ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჰამლეტ მელაძე. მან მაშინვე აქტიურად ჩამაბა ფაკულტეტის საზოგადოებრივ საქმიანობაში, ამირჩიეს კომკავშირის კომიტეტის წევრად და ჩამაბარეს სამხედრო-ფიზკულტურული სექტორი.

პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, ჰამლეტ მელაძემ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტში იშოვა ორი საგზური. ჩვენთვის გუდაუთის სპორტულ ბანაკში, კომკავშირის

აქტივისტებისათვის, რომელშიც აგვისტოს ბოლომდე ვისვენებდით და კარგადაც ვერთობოდით.



„... ყოველი სტუდენტი მოვალეა ჩააბაროს გამოცდა სასწავლო გეგმაში შემავალი თითოეული საგნის მთლიანი კურსის მიხედვით და აგრეთვე ჩააბაროს ჩათვლა პრაქტიკულ სამუშაოებში მოცემული კურსის მიხედვით, როცა იგი მთლიანად იქნება მოსმენილი.

გამოცდები რთულ საგნებში, რომელნიც იყოფიან დამოუკიდებელ ნაწილებად, ხდება ნაწილ-ნაწილად, მაგრამ არაუმეტეს ორჯერ წელიწადში.

გამოცდები წარმოებს პროფესორებისა და დოცენტების მიერ (სათანადო სალექციო კურსის ჩამტარებელთა მიერ), რომელნიც დამტკიცებული არიან ამ წოდებაში.

...ყველა უმაღლეს სასწავლებელში შემოღებულ იქნას სტუდენტის ბილეთი და ერთიანი მატრიკული (ჩათვლის წიგნაკი). მატრიკულში შეიტანება ყველა სავალდებულო სასწავლო საგანი და აღნიშვნა გამოცდებისა და ჩათვლის ჩაბარების შესახებ.

მატრიკულში გამოცდის ან ჩათვლის ჩაბარების აღნიშვნის და ნიშნების დასმის უფლება აქვს მხოლოდ პროფესორს, რომელიც ატარებს გამოცდას, და დოცენტს, რომელიც იღებს ჩათვლას.

დაწესდეს ყველა უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა წარმატების შეფასების შემდეგი ნიშნები: 1) არადამაკმაყოფილებელი; 2) საშუალო; 3) კარგი; 4) ფრიადი".

სტუდენტის ხელმოწერა

(სსკ. სახკომსაბჭოს და სკპ (ბ) ცკ 1936 წ. 23/VI დადგენილებიდან „უმაღლეს სასწავლებელთა მუშაობის და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ").



სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტრო

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩათვლის წიგნაკი № 57101

გვარი, სახელი, მამის სახელი

ფაკულტეტი

მიღებულია (გადმოყვანილია) მე 1 კურსზე

1957 წ. დან

სასწავლო ნაწილის პრორექტორი

ფაკულტეტის დეკანი

20/XI-57 წ.

(ჩათვლის წიგნაკის გაცემის დრო)

1

1957/58 სასწავლო წელი, სწავლების 1-ლი სემესტრი — პ ი რ ვ ე ლ ი

## თ ე ო რ ი უ ლ ი   კ უ რ ს ი

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემატიკური ანალიზი |  | პროფ. ა. ხარაძე | ფრიადი | 10/I 58. | [illegible] |
| 2 | ანალიზური გეომეტრია |  | პროფ. ა. [illegible] | ფრიადი | 21.1.58 | [illegible] |
| 3 | [illegible] |  | დოც. გ. [illegible] | ფრიადი | 15.1.58 | [illegible] |
| 4 |  |  |  |  |  |  |
| 5 |  |  |  |  |  |  |
| 6 |  |  |  |  |  |  |
| 7 |  |  |  |  |  |  |
| 8 |  |  |  |  |  |  |
| 9 |  |  |  |  |  |  |
| 10 |  |  |  |  |  |  |

2 ______________________ ფაკულტეტის

[illegible]
(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

კ უ რ ს ი

## პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ც ა დ ი ნ ე ო ბ ა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] |  | [illegible] | ჩათვლა | 30.XII.57 | [illegible] |
| 2 | [illegible] |  | [illegible] | ჩათვლა | 30.12.57 | [illegible] |
| 3 | [illegible] |  | [illegible] | ჩათვლა | 28.12.57 | [illegible] |
| 4 |  |  |  |  |  |  |
| 5 |  |  |  |  |  |  |
| 6 |  |  |  |  |  |  |
| 7 |  |  |  |  |  |  |
| 8 |  |  |  |  |  |  |
| 9 |  |  |  |  |  |  |
| 10 |  |  |  |  |  |  |

1957/58 სასწავლო წელი, სწავლების მე-2 სემესტრი — პირველი

თეორიული კურსი

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემატიკური ანალიზი |  | პროფ. ა. ხარაძე | ფრიადი | 8/VI.58 | [illegible] |
| 2 | ანალიზური გეომეტრია |  | პროფ. ა. [illegible] | კარგი | 18.6.58 | [illegible] |
| 3 | ზოგადი ფიზიკა |  | დოც. [illegible] | ფრიადი (5) | 29/VI.58 | [illegible] |
| 4 | ინგლისური ენა |  | ს/მ [illegible] | ფრიადი | 25.VI.58 | [illegible] |
| 5 |  |  |  |  | – |  |
| 6 |  |  |  |  |  |  |
| 7 |  |  |  |  |  |  |
| 8 |  |  |  |  |  |  |
| 9 |  |  |  |  |  |  |
| 10 |  |  |  |  |  |  |

სტუდენტი [illegible]

[illegible] ფაკულტეტის

4

კურსი

[illegible]
(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

პრაქტიკული მეცადინეობა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემატ. ანალიზის პრ. |  | დოც. მ. [illegible] | ჩათვ. | 28.V.58 | [illegible] |
| 2 | ანალიზური გეომ. პრ. |  | ასის. გ. [illegible] | ჩათვ. | 24.5.58 | [illegible] |
| 3 | ელემენტარული მათემატ. |  | დოც. გ. [illegible] | ჩათვ. | 21.5.58 | [illegible] |
| 4 | [illegible] |  | [illegible] | ჩათვ. | 24/V.58 | [illegible] |
| 5 | ფიზიკური აღზრდა |  | ს/მ [illegible] | ჩათვლა | 26.V.58 | [illegible] |
| 6 |  |  |  |  |  |  |
| 7 |  |  |  |  |  |  |
| 8 |  |  |  |  |  |  |
| 9 |  |  |  |  |  |  |
| 10 |  |  |  |  |  |  |

გადაყვანილია მე-2 კურსზე

დეკანი ___________

5



## დავით ბრონშტეინი

1924-2006

ს/დ. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტი.

1951 წელს ითამასა მატჩი მსოფლიოს მაშინდელ ჩემპიონთან მიხეილ ბოტვინიკთან რომელიც ფრედ 12-12 დამთავრდა.

1959 წლის 2 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო დიდოსტატმა დავით ბრონშტეინმა გამარტა ერთდროული თამაშის სეანსი 30 დაფაზე, რომელშიც მეც მივიღე მონაწილეობა.

გთავაზობთ ამ პარტიას

4. დავით ბრონშტეინი - მერაბ თხელიძე (ო/კ)

სიცილიური დაცვა. **B40**

1.e4 c5 2.Nf3 e6 3.d4 cxd4 4.Nxd4 Nf6 5.Nc3 Bb4 6.e5 Ne4 7.Qg4 Nxc3 8.a3 Qa5




9.axb4 მივიღეთ ე.წ. სიცილიური შეტევა 9.Qxg7 Rf8 10.Bd3 Nc6 11.Nxc6 bxc6 12.Bd2 Be7 13.Bxc3 Qa4 14.0-0-0 Qf4+ ±

9...Qxe5+

მახსენდება როცა ეს სვლა გავაკეთე, ბრონშტეინმა ჩაიცინა და მითხრა, რა უცნაური ახალგაზრდა ხარ, ეტლს გთავაზობ, შენ კი პაიკს იღებო

10.Ne2 f5 11.Qc4 Nxe2 12.Qxc8+ Kf7 13.Qxh8 Nxc1+ 14.Kd1 Nb3! 15.cxb3 Qd4+ 16.Kc1 Qf4+ 17.Kb1 Qe4+ 18.Ka2 Nc6! 19.Qxa8 Nxb4+ 20.Ka3 Nc2+ ½-½

ამ პოზიციაში **ბრონშტეინმა** აყარა ფიგურები, ნაწყენი იყო ასეთი ყაიმით. ზედამხედველებმა ხელი მტაცეს და დარბაზიდან გარეთ გაგდებას მიპირებდნენ, ეგონათ ეტლი მოვპარე ბრონშტეინს. მან დაუძახა რას ერჩით მაგას, არაფერი მოუპარავს, მე მეწყინა ყაიმიო.

**ბრონშტეინმა** ეს ამბავი გაიხსენა შორეულ 1996 წელს დიდ ბრიტანეთში, ჰასტინგსში, სადაც მე ვთამაშობდი მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიოს მეორე ჩემპიონატში. იქ მოხდა ჩვენი მესამე და სამწუხაროდ უკანასკნელი შეხვედრა. მან გაიხსენა თბილისის სეანსის ამბავი, შემდეგ მითხრა: „შენ აქ ყველაზე ძლიერი ხარ, აუცილებლად პირველ ადგილს დაიკავებ, მაგრამ ცოტა ფრთხილად ითამაშე, ყველა პარტიაში შეწირვები როგორ შეიძლებაო". ვწუხვარ ვერ შევასრულე მისი სიტყვა, მხოლოდ მეორე ადგილი დავიკავე.

ამ სეანსის შემდეგ უნივერსიტეტის გაზეთში დაიბეჭდა სეანსის შესახებ და მოყვანილი იყო მხოლოდ ეს პარტია. დიდი მადლობა ჩემს მეგობარს, პროფესორ ჰამლეტ მელაძეს, რომელმაც ათეული წლების შემდეგ მოიძია ეს გაზეთი, რამაც შემაძლებინა ეს პარტია აღმედგინა.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ოთხჯერ ვითამაშე უნივერსიტეტის ჩემპიონატის ფინალში და ოთხივეჯერ ჩემპიონი გავხდი.

თბილისში 1961 წლის 31.01-20.02-ის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე ნსს „ბურევესტნიკის" საკავშირო ჩემპიონატის ნახევარ-ფინალში, რომელშიც შემთხვევით მოვხვდი ბოლო წამს, რადგან ერთ-ერთი მონაწილე ვერ ჩამოვიდა თბილისში და მის ნაცვლად სათამაშოთ რეკომენტაცია გამიწია ჭადრაკის კლუბის დირექტორმა, ქალბატონმა ლილი წეროძემ, უღრმესი მადლობა მას. მე გავამართლე მისი ნდობა და 17-დან 10.5 ქულით გავედი VI-VII ადგილებზე და შევასრულე სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა, რომელიც მალევე დამიმიტკიცეს.

1958/59 სასწავლო წელი, სწავლების მე-3 სემესტრი      მეორე

**თ ე ო რ ი უ ლ ი   კ უ რ ს ი**

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემატიკური ანალიზი | | პროფ. ა. ხარაძე | ფრ. (5) | 24/XII | [illegible] |
| 2 | უმაღლესი ალგებრა | | [illegible] | [illegible] | 6.1.59 | [illegible] |
| 3 | ასტრონომია | | [illegible] | [illegible] | 13.I.59 | [illegible] |
| 4 | თეორიული მექანიკა | | პროფ. ნ. ვეკუა | [illegible] | 23.I.59 | ნ. ვეკუა |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

 ———————— ფაკულტეტის

კ უ რ ს ი      [illegible]
(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

**პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი   მ ე ც ა დ ი ნ ე ო ბ ა**

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიფ. განტოლებების პრაქ. | | ასის. ა. [illegible] | ჩათვლა | 29.12.58 | [illegible] |
| 2 | [illegible] | | ასის. თ. [illegible] | ჩათვლა | [illegible].12.1958 | [illegible] |
| 3 | სსკპ ისტორია | | დოც. შ. [illegible] | ჩათვლა | 30/XII-58 | [illegible] |
| 4 | რუსული ენა | | უ/მ ვ. [illegible] | ჩათვლა | [illegible] | [illegible] |
| 5 | ფიზიკური აღზრდა | | უ/მ თ. [illegible] | ჩათვლა | 27.12.58 | [illegible] |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

დეკანი ————————— 

1958/59 სასწავლო წელი, სწავლების მე-4 სემესტრი **მ ე ო რ ე**

## თ ე ო რ ი უ ლ ი კ უ რ ს ი

| რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემატიკური ანალიზი | — | [illegible] | ფრიადი(5) | 3/VI | — |
| 2 | დიფერენციალური გეომ. | — | პროფ. [illegible] | კარგი | 8.6.59 | [signature] |
| 3 | დიფერენც. განტოლებები | — | დოც. [illegible] | ფრიადი | 19.VI.59 | [signature] |
| 4 | სსკპ ისტორია | — | დოც. ს. [illegible] | ფრიადი(5) | 24.[illegible] | [signature] |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

სტუდენტი [illegible]

[illegible] ფაკულტეტის



კ უ რ ს ი [illegible]

(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

## პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ე ც ა დ ი ნ ე ო ბ ა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მათემ. ანალიზის პრაქტ. | — | [illegible] | ჩათვლა | 27.5.59. | [signature] |
| 2 | თეორიული მექანიკა | — | პროფ. [illegible] | ჩათვლა(5) | 23.[illegible].59 | — |
| 3 | ფიზიკა | — | დოც. [illegible] | ფრიადი | 27.5.59 | [signature] |
| 4 | ასტრონომია | — | დოც. [illegible] | ჩათვლილი | 24.5.59 | — |
| 5 | რუსული ენა | — | უ/მ [illegible] | ჩათვლილია | 25.V.59 | [signature] |
| 6 | ფიზიკური აღზრდა | — | უ/მ [illegible] | ჩათვლა | 26.5.59 | [signature] |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

გადაყვანილია მე-3 კურსზე

დეკანი ____________

1959/60 სასწავლო წელი, სწავლების მე-5 სემესტრი — მესამე

თეორიული კურსი

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 6.1.60 | [illegible] |
| 2 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 3 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 14.1.60 | [illegible] |
| 4 | [illegible] | | [illegible] ნ. [illegible] | [illegible] (5) | 2.1.60 | [illegible] |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

10 ________________ ფაკულტეტის

კურსი [illegible]
(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

პრაქტიკული მეცადინეობა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 25/XII 59 | [illegible] |
| 2 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 23.12.59 | [illegible] |
| 3 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 26.12.59 | [illegible] |
| 4 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 26.12.59 | [illegible] |
| 5 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 26.12.59 | [illegible] |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

თარიღი: 11

59/60 სასწავლო წელი, სწავლების მე-6 სემესტრი — მ ე ს ა მ ე

## თ ე ო რ ი უ ლ ი კ უ რ ს ი

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | | [illegible] | ფრიადი | 12.10.60 | [illegible] |
| 2 | [illegible] | | [illegible] | ფრიადი | 24.9.60 | [illegible] |
| 3 | [illegible] | | დოც. [illegible] | ფრიადი | 20.6.60 | [illegible] |
| 4 | [illegible] | | დოც. [illegible] | ფრიადი | 10.VI.60 | [illegible] |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

სტუდენტმა [illegible]

[illegible] ფაკულტეტის

## კ უ რ ს ი

[illegible]
(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

### პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მ ე ც ა დ ი ნ ე ო ბ ა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | | [illegible] | ჩათვლილია (5) | 31.V.60 | [illegible] |
| 2 | [illegible] | | დოც. [illegible] | ჩათვლილია (5) | 25.V.60 | [illegible] |
| 3 | [illegible] | | [illegible] | ჩათვლილია | 28.5.60 | [illegible] |
| 4 | [illegible] | | [illegible] | ჩათვლილია | 25/VI 1960 | [illegible] |
| 5 | [illegible] | | დოც. [illegible] | ჩათვლილია | 28.V.60 | [illegible] |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

გადაყვანილია მე-4 კურსზე

დეკანი ____________

13

1960/61 სასწავლო წელი, სწავლების მე-7 სემესტრი — მეოთხე

## თეორიული კურსი

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | — | [illegible] | [illegible] | 15.II.61 | |
| 2 | [illegible] | — | [illegible] | [illegible] (5) | 21.I.61 | |
| 3 | [illegible] | — | [illegible] | [illegible] | 25.II.61 | |
| 4 | [illegible] | — | [illegible] | [illegible] (5) | 28.II.61 | [illegible] |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

14 ———————— ფაკულტეტის

[illegible] ————
(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

კურსი

## პრაქტიკული მეცადინეობა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 26/XII 60 | [illegible] |
| 2 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 28.12.60 | [illegible] |
| 3 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 29.12.60 | [illegible] |
| 4 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 28.12.60 | [illegible] |
| 5 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 6 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 27.12.60 | [illegible] |
| 7 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | 30.XII.60 | [illegible] |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

15

დეკანი ————————

1960/61 სასწავლო წელი, სწავლების მე-8 სემესტრი — მეოთხე

თეორიული კურსი

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გეომეტრიის საფუძვლები | — | პროფ. გ. ჭოღოშვილი | ფრიადი | 15.6.61 | [illegible] |
| 2 | ლოგიკის საფუძვლები | — | დოც. [illegible] | ფრიადი (5) | 29.VI.61 | [illegible] |
| 3 | პოლიტეკონომია | — | დოც. [illegible] | ფრიადი | 24.VI.61 | [illegible] |
| 4 | | | | | | |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

სტუდენტი [illegible]

16

[illegible] ფაკულტეტის

კურსი — [illegible] (სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

პრაქტიკული მეცადინეობა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პედაგოგიური პრაქტიკა | | დოც. [illegible] | [illegible] | 31.5.61. | |
| 2 | რიცხვთა თეორია | | დოც. გ. [illegible] | ფრიადი | 30.5.61 | [illegible] |
| 3 | [illegible] | | დოც. [illegible] | ფრიადი | 26.5.61 | |
| 4 | [illegible] | | [illegible] | [illegible] | [illegible].5.61 | [illegible] |
| 5 | [illegible] საფუძვლები | | დოც. [illegible] | [illegible] | 26.5.61 | |
| 6 | უცხო (ინგლისური) ენა | | დოც. ა. [illegible] | ჩათვლა | 30.V.61 | [illegible] |
| 7 | [illegible] | | დოც. ა. [illegible] | ჩათვლა | 30.V.61 | [illegible] |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

გადაყვანილია მე-5 კურსზე

დეკანი ______

17

1961/62 სასწავლო წელი, სწავლების მე-9 სემესტრი მეხუთე

თეორიული კურსი

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | პროფესორის ან დოცენტის გვარი | საგამოცდო ნიშნები | გამოცდ. ჩაბარებ. დრო | გამომცდელის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპეცკურსი | | [illegible] | [illegible] | 12.III. | [illegible] |
| 2 | მათემატიკის ისტორია | | [illegible] | [illegible] | 11.I.62 | [illegible] |
| 3 | უცხო ენა (ინგლისური) | | დოც. ა. ხუციშვილი | [illegible] | 28/II.62 | |
| 4 | ისტორიული მატერიალიზმი | | დოც. გ. ასათიანი | ფრიადი (5) | 18.I.62 | [illegible] |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |



ფაკულტეტის

[illegible]
(სტუდენტის გვარი, სახელი და მამის სახელი)

კურსი

პრაქტიკული მეცადინეობა

| №№ რიგზე | დისციპლინის დასახელება | საათ. რაოდ. | მასწავლებლის გვარი | ჩათვლის აღნიშვნა | ჩათვლის ჩაბარების დრო | მასწავლებლის ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სპეცსემინარი | | [illegible] | ჩათვლილია | 24/XII-61 | |
| 2 | ფსიქოლოგია | | დოც. ა. [illegible] | ჩათვლილია | 23/XII-61 | |
| 3 | [illegible] | | დოც. ა. ხუციშვილი | ჩათვლილია | 28/XII-61 | |
| 4 | | | | | | |
| 5 | | | | | | |
| 6 | | | | | | |
| 7 | | | | | | |
| 8 | | | | | | |
| 9 | | | | | | |
| 10 | | | | | | |

აქ განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჩემი ყველაზე ძველი და ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, მეგობარი და ჩემი თავგადაკლული საჭადრაკო „მწვრთნელი“ **ჰამლეტ მელაძე**, რომელმაც მე მგონი ჩემზე კარგად იცოდა „ჩემი“ ვარიანტები. მოვიყვან ნაწყვეტს ჩემი ლექსიდან „სადღეგრძელო“, დაწერილს და წარმოთქმულს 2009 წლის 18 ივლისს ჩემი დაბადების 70-ე წლისთავზე:

... და რა დამაკლდა სკოლის შემდეგ მე დემნას ხელი,
უნივერსიტეტში გამომიჩნდა მისი შემცვლელი,
ძმა და მრჩეველი, ყოველი ჩემი სისულელის
ხელის შემშლელი, მფარველი და ჩემი გამგები,
დღეს ის აქ არის — ჩემი ჰამლეტი!..

სწორედ **ჰამლეტ მელაძემ** მაჩუქა 1959 წელს წიგნი **Г.Левенфиш, В. Смыслов - Теория ладейных окончаний.** აი რა წააწერა მან წიგნის თავფურცელს:






ევროპის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის წევრი, საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს განათლების ეროვნული აკადემიის წევრი

ჩემს მერაბის, დიდ მოჭადრაკეს,
ტურისტს, ალპინისტს და
კომკავშირულ მუშაკს, ნიშნად
მისდამი ღრმა სიყვარულისა და
პატივისცემისა.
ჩემო მერაბ, ვისურვებდი იმ
ბედნიერ დღეს, როდესაც შენ
მსოფლიოს ჩემპიონი გახდები,
ჩვენ ერთად ვყოფილიყავით და
მეც მომელოცნოს ეს ბედნიერება
(საჩუქრად ამ წიგნის მეორე
ეგზემპლარს მოგიტან).
რაც შეეხება ტურიზმსა და
ალპინიზმს, როგორც ყოველთვის,
ერთად ვიქნებით და ალბათ ერთად
დავიპყრობთ ევერესტს.

მარად შენი „მწვრთნელი“

ჰამლეტი

7 სექტემბერი 1959 წელი
ქ.თბილისი, თ.ს.უ.,
მექანიკა-მათემატიკის ალკკ ბიურო.

## ამონარიდი თენგიზ გიორგაძის სტატიიდან „ბოტვინიკის პირველი სტუმრობა თბილისში“



1997 წლის 30 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, ქართული ჭადრაკის მემეტიანემ თენგიზ გიორგაძემ 1925-2012) გამოაქვეყნა სტატია „ბოტვინიკის პირველი სტუმრობა თბილისსი“

გთავაზობთ ამონარიდს ამ სტატიიდან.

1961 წლის 5 სექტემბერს მიხეილ ბოტვინიკი პირველად ჩამოვიდა თბილისში. მას თან ახლდა დიდოსტატი სალო ფლორი. ვიდრე გვეწვეოდნენ, ისინი ბაქოსა და ერევანში იყვნენ...

დიდი ინტერესი გამოიწვია ბოტვინიკის შეხვედრამ ახალგაზრდა თბილისელ მოჭადრაკეებთან: მსოფლიო ჩემპიონმა ერთდროული თამაშის სეანსი (საათებით) გამართა 8 დაფაზე. ეს მოხდა 9 სექტემბერს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზის სცენაზე. სეანსს დიდძალი გულშემატკივარი დაესწრო. მათთვის პარტიების დემონსტრაციაც მოეწყო, რაც იშვიათობა იყო მსგავსი „სპექტაკლების“ ისტორიაში.

ხუთსაათიან ბრძოლაში ჩემპიონს მოუგეს რომან ჯინჯიხაშვილმა და მერაბ თხელიძემ, ხოლო გოგი ეგიაშვილმა და დავით ჯანოევმა ყაიმს მიაღწიეს. დანარჩენები (თეიმურაზ ლომაია, გურამ მაჭავარიანი, ალექსანდრე იზვოზჩიკოვი და მანანა ტოგონიძე) დამარცხდნენ...“



მიხეილ ბოტვინიკის ერთდროული თამაშის სეანსი საათებით. მარცხნიდან: გურამ მაჭავარიანი, თეიმურაზ ლომაია, ალექსანდრე იზვოზჩიკოვი, მერაბ თხელიძე, დავით ჯანოევი და მანანა ტოგონიძე. ზურგით სხედან: მარცხნიდან გოგი ეგიაშვილი და რომან ჯინჯიხაშვილი.

7. **მერაბ თხელიძე** (I თანრიგოსანი) – **მიხეილ ბოტვინიკი**
ერთდროული თამაშის სეანსი საათებით 8 დაფაზე
საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთან 09.09.1961წელი
სიცილიური დაცვა. **B21**

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 d3 4.♗xd3 ♘c6 5.♘f3** მივიღეთ მორას მიუღებელი გამბიტი. თეორია გვირჩევს:
5.c4 ♘f6 6.♘c3 d6 7.h3 g6 8.♘f3 ♗g7 9.0-0 ♘d7 10.♗e3 ♘c5 და ა.შ.,
მაგრამ მე „ჩემი“ ვარიანტი მაქვს
**5...g6 6.0-0 ♗g7 7.♗c4 d6 8.♘a3 a6 9.♖e1 ♘f6 10.e5 dxe5 11.♕xd8+ ♘xd8 12.♘xe5 ♗e6 13.♗e3 ♖c8 14.♖ad1 ♘e4**



**15.♗b6! ♘d6 16.♗b3 ♗xb3 17.axb3 ♘e6 18.♘ac4 ♘xc4 19.♘xc4 ♖c6 20.♖d3 f5 21.f3 ♗f6 22.g3 h5 23.♗f2 ♔f7 24.♘a5 ♖c7 25.♗b6 ♖cc8 26.♖d7 h4 27.♘c4! ♖c6 28.♖xb7 hxg3 29.hxg3 f4 30.gxf4 ♖h3 31.♖e3 ♘xf4**



**32.♖bxe7+! ♗xe7 33.♘e5+ ♔g8 34.♘xc6 ♗h4 35.♗c7 ♗g5 36.♗xf4 ♗xf4 37.♖d3 g5 38.♘e7+ ♔f7 39.♘d5 ♗e5 40.♖e3 ♗d6 41.b4 a5 42.bxa5 ♗c5 43.♔g2** შავები დანებდნენ.



**მიხეილ ბოტვინიკი**
1911 - 1995

აქ მოხდა დაუჯერებელი რამ. განერვიულებულმა **ბოტვინიკმა** აყარა ფიგურები, ფაქტიურად სახეში შემომაყარა ისინი ... მაგრამ მალევე მოეგო გონს, სცენაზე დამაყენა თავის გვერდით და რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზის სცენიდან შეკრებილ მაყურებლებს, რომელთა ტევა არ იყო დარბაზში, მოუყვა სეანსის შესახებ. განსაკუთრებით ჩემი კარგი თამაში გამოყო. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ **მიხეილ ბოტვინიკი** სიკვდილამდე არ მაკლებდა ყურადღებას და კეთილმზრუნველობას.

ჟურნალ „მეცნიერებათა და ტექნიკა“-ში, 1978 წელი, თებერვალი, გვერდებზე (68-70), დავწერე მოგონება მსოფლიო მეექვსე ჩემპიონთან, მიხეილ ბოტვინიკთან ჩემი თამაშის შესახებ, რომელიც აქ მომყავს.

# შეხვედრა ჭადრაკის დაფასთან

მ. თხელიძე

ჭადრაკი — უძველესი თამაში — სპორტის, გონების, ხელოვნების, მეცნიერების სინთეზია. „მოჭადრაკე ყოველთვის თამაშობს ჭადრაკს, მაგრამ ხელოვნების ნაწარმოებს მხოლოდ მაშინ ქმნის, როდესაც მის მიერ ნათამაშები პარტია დიდხანს ცოცხლობს. ამიტომ ჭადრაკი ყოველთვის თამაშია, მაგრამ ხანდახან მეცნიერებაც ხდება“. ეს სიტყვები საჭადრაკო სკოლის აღიარებულ ლიდერს, მსოფლიო ექსჩემპიონს, დიდ მეცნიერსა და თავმდაბალ ადამიანს მ. ბოტვინიკს ეკუთვნის.

ამ წერილში სწორედ ამ დიდებულ მოჭადრაკესთან შეხვედრის შესახებ მინდა გიამბოთ.

1961 წლის 9 სექტემბერს საქართველოს რვა უძლიერესი ოსტატობის კანდიდატი ერთდროულ სეანსში საათებით მსოფლიო ჩემპიონს მ. ბოტვინიკს ხვდებოდა.

ბოტვინიკი იმ ხანებში ჩინებულ „ფორმაში“ იყო. მან უშეღავათო ბრძოლაში დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული კომბინაციების მეფის — მ. ტალისაგან.

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. სცენაზე საჭადრაკო დაფებს რვა მოჭადრაკე უზის. დარბაზი ღელავს, ჩვენც ვნერვიულობთ, მშვიდად მხოლოდ ბოტვინიკია... ყველა მონაწილე ცდილობს თეთრებით ითამაშოს, ნაცადი სისტემა გამოიყენოს, თავი ისახელოს. კენჭისყრის დროს თეთრებით თამაშის უფლებას ვნატრობდი და ბედმაც გამიღიმა.

თამაში იწყება. ოთხივე თეთრებით მოთამაშე ერთსა და იმავე სვლას 1. **e4** ვაკეთებთ. ბოტვინიკი პასუხობს დ. ჯანოევს 1... e6 (ფრანგული დაცვა), ა. იზვოზჩიკოვს — 1... c6 (კარო-კანის დაცვა), მე კი 1... **c5** (სიცილიური)! ესეც ბედის მეორე საჩუქარი! შვიდივე თანაგუნდელი მე მიყურებს. — მერაბ, ჩქარა ითამაშე ეგ „შენი“ ვარიანტი, თორემ ვერც ერთი ვერ ვაკეთებთ სვლას! — ჩამჩურჩულა გ. ეგიაშვილმა. ხელი მიკანკალებს, თვალს დარბაზისაკენ ვაპარებ, ბუნდოვნად ვარჩევ დაძაბულ სახეებს და... არჩევანი გაკეთებულია! 2. **d4 cd** 3. **c3...**

ეს ჩემი საყვარელი გაგრძელებაა. ორმოცდამეერთედ ვირჩევ ამ გზას. წინა ორმოცმა პარტიამ თბილისისა და საქართველოს პირველობებზე გამიმართლა. თუმცა ზუსტად ორმოცჯერ ვარ გაკიცხული ჩემი აწ განსვენებული მასწავლებლების მიერ: ვ. გოგლიძე თვლიდა, რომ მე არასერიოზულად ვეკიდები საქმეს, ვ. ქარსელაძე კი მიმტკიცებდა, თითქოს ჩემი წარმატების მიზეზი მხოლოდ იმაშია, რომ ორმოცივე მეტოქემ უბრალოდ არ იცის, როგორ მეთამაშოს. თუ დამიმარტოხელეს, ორივე აღმზრდელი ჩემს წინააღმდეგ თამაშს და ამ ვარიანტის „დასამარებას“ იწყებს.

ახლა კი... ახლა თუ ბოტვინიკმა 3... dc ითამაშა, მაშინ ბრძოლა მარტო ჩემი მწვრთნელების კი არა, მის წინააღმდეგაც მომიწევს. დიდოსტატი ფიქრობს, მე ვყოყმანობ, აღარც კი ვიცი, მინდა თუ არა, რომ ჩემეული სვლით მიპასუხოს. მეტოქემ შემომხედა და 3... **d3** ლოგიკურია! ყმაწვილი კომბინაციური მოჭადრაკე ჩანს. მოდი, პოზიციური ტიხარი მოვუჭიროთ. შევამოწმოთ მისი სტრატეგიული უნარი 4. **კ:d3 მc6** 5. **მf3 g6** 6. **კc4...**





ჩემი მიზანია გავართულო შავების მეფის ფლანგის განვითარება, კერძოდ 6... მf6 7. e5! და ამით მოწინააღმდეგის მეფე შევაჩერო ცენტრში, არ მივცე როქის გაკეთების საშუალება 6. ... **კg7 7. 0—0 d6 8. მa3! a6!**

ვაგრძელებ ჩემს ჩანაფიქრს: ჯერ ერთ ფიგურას ვავითარებ, რაზედაც ყველაზე კარგი პასუხი პაიკით სვლაა, თუ არა და 8. ... მf6 9. e5 de 10. ლd8+ მd8 11. მb5 საუცხოო პოზიციით. 9. **ეe1 მf6** როგორც იქნა, შავებმა შეძლეს ამ მხედრის გამოყვანა, მაგრამ ჭადრაკში ბევრ რამეს დრო, მოჭადრაკეთა ენაზე „ტემპი“, წყვეტს. 10. **e5! de** 11. **ლ:d8+ მ:d8!** შავები ერთი ლოგიკური სქემით თამაშობენ: საუცხოოდ არის გადაბმული შავების მე-3 და მე-11 სვლა მიტელშპილის გავლით ენდშპილში! ბოტვინიკის სიძლიერე ენდშპილში ყველასათვის ცნობილია. მან კაპაბლანკადან სმისლოვამდე ყველა დაჯაბნა ჭადრაკის პარტიის ამ ნაწილის ვირტუოზული ცოდნით. ცხადია, დიდოსტატის ეს გადაწყვეტილება ჩემთვის ყველაზე მკაცრი გამოცდა იყო. მე, ისევე როგორც ვ. ქარსელაძის ყველა აღზრდილს, კომბინაციური თამაში მიყვარს, მაგრამ რას იზამ! ჩათრევას ჩაყოლა სჯობია! 12. **მ:e5 კe6** 13. **კe3 ეc8** 14. **ეad1 მe4!** 15. **კb6 მd6.**

რა მოხდა მე-11—მე-15 სვლების განმავლობაში? თეთრებს სურთ დაიკავონ ეტლებით ღია d ხაზი, სტრატეგიულად მნიშვნელოვან b6 და c4 უჯრებზე დაამყარონ კონტროლი და ცენტრში მოწინააღმდეგის მეფეზე მიიტანონ იერიში. შავები კი ცდილობენ განავითარონ ფიგურები, გადაკეტონ d ხაზი, გააკეთონ როქი და ფიგურების გაცვლით მოხსნან დაძაბულობა b6 და c4 უჯრებიდან. გაჩაღდა მძიმე, სტრატეგიული ბრძოლა პუნქტების დასაპყრობად. 16. **კb3!** ... ახლა c4 უჯრას უტევს თეთრების სამი ფიგურა, შავებს კი სხვა საზრუნავიც გაუჩნდა — იმუქრება 17. მ:f7 და სერიოზული მუქარებია e და d ხაზებზე. 16. ... **კ:b3** 17. **ab მe6** 18. **მc4 მ:c4** 19. **მ:c4...** უკვე ამოსუნთქვაც შეიძლება! მართლაც, თეთრებმა დაიპყრეს c4 და b6 პუნქტები და, რაც მთავარია, ხელს უშლიან 19... 0—0 სვლას, რითაც შავები განვითარებას დაამთავრებდნენ. მაშინ 20. ეd7 და შავები ვერ გადაურჩებიან მატერიალურ ზარალს. თეთრების პოზიცია აშკარად უკეთესია. მოწინააღმდეგემ აქ კვლავ შეცვალა ბრძოლის მეთოდი: თამაში სხვა დაფებზე გააგრძელა, გამოიყენა მათთან დროის უპირატესობა და შემდეგ გაემზადა მხოლოდ ჩემთან თამაშისათვის. მაგრამ საჭადრაკო დრო შავების წინააღმდეგ მოქმედებდა. მე ამ დროისათვის უკვე

გამიარა მოწინააღმდეგის ტიტულებისადმი შიშმა, სადღაც ძალიან ახლოს სასურველი მოგებაა, მაგრამ ვცდილობ ამაზე არ ვიფიქრო. 19. ... ეc6 20. ეd3 f5 21. f3 კf6 22. g3 h5 23. კf2 მფf7 შავები ესწრაფვიან ხელოვნური როქი გააკეთონ და მეორე ეტლსაც გაუხსნან გზა 24. მa5 ეc7 25. კb6 ეcc8 26. ეd7 h4. ბრძოლა ახალ ფაზაში შედის.



შავებმა პოზიციური ბრძოლა წააგეს. თეთრებს ყველა ძირითადი საკვანძო პუნქტი აქვთ დაკავებული. ამიტომ შავები იწყებენ კომბინაციურ გართულებას, რათა ხელჩართულ ბრძოლაში ჩაითრიონ მოწინააღმდეგე და მისი შესაძლებელი შეცდომების ხარჯზე შემოაბრუნონ თამაშის ბედი. 27. მc4 ეc6 28. ე:b7 hg 29. hg f 4!? 30. gf! ეh3 31. ეe3 მ:f4 32. ე7:e7+!...



თეთრები ატარებენ გაცვლით კომბინაციას, რომელიც წყვეტს პარტიის ბედს. 32. ... კ:e7 33. მe5+ მფg8 34. მ:c6 კh4 35. კc7! კg5 36. კ:f4 კ:f4 37. ეd3 g5 38. მe7+ მფf7 39. მd5 კe5 40. ეe3 კd6 41. b4 a5 42. ba კc5 43. მფg2...

შავები დანებდნენ! თავს აღარ შეგაწყენთ იმის აღწერით, რა მოხდა შემდეგ. გეტყვით მხოლოდ ერთს: როდესაც მეორე დღეს ამაყად შევაღე პიონერთა სასახლის საჭადრაკო წრის კარები და ვახტანგ მასწავლებელს ვკითხე: ახლა რაღას იტყვით, გჯერათ „ჩემი“ ვარიანტის თუ არა-მეთქი, მან უხმოდ მიმითითა მაგიდისაკენ და... ჩვენი კამათი კვლავ გაგრძელდა!



დიპლომი
წარჩინებით
№ 406663

ДИПЛОМ
С ОТЛИЧИЕМ
№ 406663
Настоящий диплом выдан Тхелидзе Мераби Григорьевичу
в том, что он в 1957 году поступил в Тбилисский государственный университет
и в 1962 году окончил полный курс названного университета
по специальности „Математика"
Решением Государственной экзаменационной комиссии от „1" июля 1962 г.
Тхелидзе М.Г.
присвоена квалификация Математика, учителя математики и физики средней школы
Регистрационный № 20863



შრომის წიგნაკი
გვარი თხელიძე
სახელი მერაბი
მამის სახელი გრიგოლის ძე
დაბადების წელი 1939
განათლება: დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი (ხაზი გაუსვით)
პროფესია მასწავლებელი
შრომის წიგნაკის მფლობელის ხელმოწერა
შრომის წიგნაკის შევსების თარიღი:
1977 წ. „31" მაისი

რაც შეეხება ჩვენს განაწილებას. დეკანატის კარებზე გამოკრული იყო ქალაქები, ადგილები და სამუშაოს მითითება ჩვენთვის. ჩვენ ფრიადოსნებიდან დაწყებული უნდა აგვერჩია ჩვენთვის მისაღები ადგილები, რომელზედაც უნდა გვემშავა მომდევნო სამი წელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ავიღებდით დიპლომს.

განაწილებიდან თავისუფლდებოდნენ ის სტუდენტები, რომლებსაც ან ჰქონდათ ორი წლის მუშაობის სტაჟი პროფილით, ანუ უნდა ყოფილიყვნენ მასწავლებლები, ან ისინი, რომლებსაც ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო მისცემდა რეკომენდაციას ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაზე. ვიყავით სამოცდაათი სტუდენტი, მათ შორის გამოჩენილი მშობლების მქონეები. მაგალთად ხახუბია, გამყრელიძე, წერეთელი, მეუნარგია, გვაზავა, მჟავია და სხვები, რომელთაც თუნდაც კოლეგიალობის გამო საბჭო მისცემდა რეკომენდაციას, მე კი სამწუხაროდ არც გამოჩენილი მეცნიერები მყავდა მშობლები და არც ვინმე რეკომენდატორი. ამიტომ გადავწყვიტე მემუშავა პროფილით მეოთხე კურსიდან. რაშიც დამეხმარნენ ჩემი ჭადრაკის მასწავლებლები თბილისის სპორტსკოლის ხელმძღვანელი ვიქტორ გოგლიძე და სპორტსკოლის დირექტორი პავლე ხიზანიშვილი.

## ცნობები მუშაობის შესახებ

| ჩანაწერის № | თარიღი: წელი | თვე | რიცხვი | ცნობები სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის, ერთი ადგილიდან მეორეზე შესახებ (მიზეზების აღნიშვნით) | რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | | 3 | 4 |
| 1. | 1960 | X | 29 | დაინიშნოს [illegible] სკოლის მასწავლებლად [illegible] | ბრძანება № 18 29/X-60წ. |
| | | | | სკოლის [illegible] [illegible] (ვ.გ. ხიზანიშვილი) | |
| 2. | 1962 | IX | 2 | განთავისუფლდეს [illegible] სკოლის მასწავლებლობიდან საკუთარი სურვილის [illegible] გამო. | ბრძანება № 217 2/IX-1962წ. |
| | | | | სკოლის [illegible] [illegible] (ვ.გ. ხიზანიშვილი) | |

18 19

## ცნობები მუშაობის შესახებ

| ჩანაწერის № | თარიღი: წელი | თვე | რიცხვი | ცნობები სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის, ერთი ადგილიდან მეორეზე შესახებ (მიზეზების აღნიშვნით) | რის საფუძველზეა შეტანილი ჩანაწერი (დოკუმენტი, მისი თარიღი და ნომერი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | | 3 | 4 |
| 3. | 1963 | XI | 1 | [illegible] | [illegible] 10/X-1963წ. |
| 4 | 1964 | III | 1 | [illegible] | |
| | | | | [illegible] [illegible] ([illegible]). | |

20 21



# თბილისის უნივერსიტეტი

№ 24 (377)
2 ივლისი,
ორშაბათი,
1962 წ
ფასი 2 კაპ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, ადგილკომისა და პროფკომის ორგანო

ТБИЛИСИС УНИВЕРСИТЕТИ — Орган Парткома, Ректората, Комитета ЛКСМ, Месткома и Профкома Тбилисского Государственного Университета


## ღამაზ მოგონებად დარჩება

დავამთავრე უნივერსიტეტი და ერთგვარი გულისტკივილი მიმყვება თან. ეს გულისტკივილი რისამე წყენას როდი გამოხატავს, მას მშობლიურ კერასთან განშორების სინანული იწვევს.

რა არ ვნახეთ, რა არ განვიცადეთ ამ ხუთი წლის მანძილზე თეთრ ტაძარში...



უპირველეს ყოვლისა, გამოცდების ციებ-ცხელებასთან დაკავშირებული იმდენი სიტკბოცა და სიმწარეც, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სესიებზე გაგონილი ყოველი ახალი აზრი, ახალი შთაგონება და მით გამოწვეული სიხარული; სასწავლო საგნები, ლექტორები, აუდიტორიები, ცხარე კამათი ათასნაირ საკითხებზე და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ.

## წარმატებებით, მერაბ!

...მიხეილ ბოტვინიკმა ხელი გაუწოდა გამარჯვებულს და მიულოცა.

მეორე დღეს მსოფლიო ჩემპიონმა საქართველოს მოჭადრაკეებსა და ჭადრაკის მოყვარულებს განუცხადა, რომ მერაბ თხელიძე უდაოდ პერსპექტიული მოჭადრაკეა და მისგან ბევრს უნდა მოველოდეთო.

მსოფლიო ჩემპიონების, მათ შორის, ალბათ, ყველაზე მეტად მიხეილ ბოტვინიკის ნათქვამი ზუსტი და მართალია.

— ძალიან მოხარული ვარ, ძალიან! — არ ფარავდა მერაბი.

მართლაც, ადვილი საქმე როდია, რვა დაფაზე ერთდროულ სეანსში მსოფლიო ჩემპიონის დამარცხება. იგი ხომ ხშირად წაუგებლად იბრძვის 30-40 მოწინააღმდეგესთან.

მერაბ თხელიძე ამ ხუთი წლის წინათ გამაცნეს ჩემმა მეგობრებმა — მოჭადრაკეებმა თამაზ და რევაზ კიკიანებმა. მერაბმა ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის I საშუალო სკოლა. ამ დროს უკვე პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე იყო და ულოცავდნენ საქართველოს ჩემპიონობას ჭაბუკთა შორის.

მოუსვენარი, მუდამ მომღიმარი, სუსტი აგებულების მერაბი ვერ ფარავდა ენერგიასა და ნებისყოფას. ჩვენს მეგობრულ საუბრებში ყოველთვის თავს იჩენდა მისი ინტერესების ფართო სფერო, მისი ინტელექტი და ლოგიკური აზროვნების უნარი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მისი არჩევანი სწორი და ზომიერი



იყო — იგი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

პროფესორ-მასწავლებლები უაღრესად კმაყოფილნი არიან მისით. შრომისმოყვარე, ნათელი გონების ახალგაზრდა — წლიდან წლამდე ფრიადოსანი. წარჩინებით სწავლა ყველგან ძნელია, მაგრამ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე—განსაკუთრებით.

წარმატებები მოიპოვა ჭადრაკშიც. 1957 წლიდან რეგულარულად მონაწილეობს თბილისისა და საქართველოს პირველობებზე, აგრეთვე ჭაბუკთა საკავშირო გუნდურ პირველობებზე. იგი ორჯერ გახდა ჩვენი უნივერსიტეტის ჩემპიონი, 1961 წლის იანვარში კი სტუდენტთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალში წარმატებისათვის ოსტატობის კანდიდატის საპატიო წოდება მიანიჭეს.

ამ მოკლე ხანში მან მონაწილეობა მიიღო ამხანაგურ შეხვედრებში — საქართველო-ბელორუსია და საქართველო-სომხეთი. მერაბი საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია და გადის სპეციალურ წვრთნას სსრკ ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

იგი ამავე დროს წვრთნის მისი მშობლიური სკოლის ნორჩ მოჭადრაკეებს. მოზარდებმა გარკვეული წარმატებები უკვე მოიპოვეს — ზუგდიდში გამართულ საქართველოს პირველობაზე სკოლის გუნდებს შორის 1961 წელს მათ I ადგილი დაიკავეს და შვიდი პრიზიდან 5 მოიპოვეს.

კარგი ამხანაგი, კარგი ორგანიზატორი, ნიჭიერი სპორტსმენი — ასეთია მერაბი.

ფრიადზე დაიცვა სადიპლომო ნაშრომი, ასევე კარგად ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები.

სიხარულით გავიგეთ, რომ მერაბ თხელიძეს მიეცა რეკომენდაცია ასპირანტურაში დასატოვებლად.

წარმატებით გევლოს, მერაბ, ცხოვრების დიდ შარაგზაზე.

ჯუმბერ თითმერია

თქვენთვის ალბათ გასაგებია, როგორი თავგანწირვით ვსწავლობდი უნივერსიტეტში, რომ ერთ-ერთი პირველი სტუდენტი ვყოფილიყავი. წითელ დიპლომით დავამთავრე უნივერსიტეტი და სწავლა გავაგრძელე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში.

ჩემმა მწვრთვნელმა ვიქტორ გოგლიძემ (1905-1964) თავის საჭადრაკო სკოლაში მწვრთვბნელად დამაწყებინა მუშაობა. დედის მეგობარი ივანე ჯანოევი, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობრის დავით ჯანოევის მამაა, სხვადასხვა საბაბით მიბარებდა თავისთან სახლში კიროვის ქუჩა #9-ში, კვირაში სამჯერ, ვითომ პოკერის საიდუმლოებებს გასწავლიო და მოითხოვდა ჯერ ერთად გვესადილა, აბა მერაბის წითელი და შავი ხიზილალა, ნაირნაირი ძეხვეული და სხვა სასუსნავები. ასეთი კაცი იყო ივანე ჯანოევი.

იძულებული გავხდი ჩემი და მარინა სკოლა ინტერნატში მიმეყვანა და აქ ცხოვრებასი მეორედ გამიღიმაბედმალოზის ძე მელაძე, ჩემი უახლოესი მეგობრის და კოლეგის ჰამლეტ მელაძის მამა აღმოჩნდა. ბატონმა ვარლამმა მომავალში მიმიწვია სკოლა-ინტერნატში სამუშაოდ მასთან მეწყვილედ მათემატიკის მასწავლებლად და გახდება ჩემი ცხოვრების მასწავლებელი უფროსი მეგობარი. მარტო არა ვარ, თურმე ირგვლივ უამრავი კარგი ადამიანი მახვევია.

მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვნენ და შემომრჩნენ მეგობრები: სკოლიდან - დემნა ცხაკაია, ოთარ ქიზიყელაშვილი, რუსლან რუხაზე, ზაზა ჩაჩანიძე, თამაზ სანებლიძე, თამაზ ბუღაძე, გურჯი ფხალაზე. ჭადრაკიდან - ალე4ქსანდრე იზვოზჩიკოვი, დავით ჯანოევი, თემურ ჯახუტაშვილი, გურამ ჭანტურია, ანზორ ხელაშვილი, თამაზ კიკიანი, ალეკო ბოკუჩავა, თამაზ გიორგაძე, თეიმურაზ ლომაია,, ემილ მიქაელიანი, . უნივერსიტეტიდან- ჰამლეტ მელაძე, ომარ შეშელიძე, ბაია ოქრუაშვილი, ჯონსი უკლება, ლერი არცივაზე, მერაბ ობოლაზე, ანზორ ბერძენიშვილი, თინა ჟორჟოლიანი, ჯემალ ფერაძე, ვაჟა სარაშიძე. ვასწრებ მაგიდის ჩოგბურთის თამაშს, კარტის თამაშს - არაუშავს დავეუფლე პრეფერანსს, კინგს, პოკერს. გავიცანი შესანიშნავი ადამიანი და თბილისის უძლიერესი პოკერისტი ვლადიმერ ლევანის ძე არუთინოვი, რომელთანაც სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით ვთამაშობდით მცირე ფულზე პოკერს. ამ ოჯახში შევიძინე მეგობრები, მათ შორის გამორჩეული, რა თქმა უნდა ვლადიმერ ლევანის ძე იყო, რომელიც დამიმეგობრდა, ცხოვრებისეულ მრავალ საქმესი დამეხმარა და ყველაფერთან ერთად მასწავლიდა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით პოკერის ტამაშს.

ვლადიმერ ლევანის ზე ძალიან გავლენიანი პიროვნება იყო, უშიშროების სამსახურის პოლკოვნიკი. მე მის შვილებს ვეხმარებოდი მათემატიკაში და სესანიშნავი სედეგები მივიღე. მან მასწავლა არა მარტო პოკერის თამაში, არამედ ცხოვრებასი არ დანებება, გზიდან არ გადახვევა, ამიტომ ის დღეები, რომელიც მის ოჯახში პოკექ მე ხშირად ვიგებდი სახარჯო ფულს, მვეთიშებოდი რთულ ყოველდღიურობას და ვბრუნდებოდი უკან ცხოვრებასი ბრძოლისა და გამარჯვებისათვის.

ერთი მხრივ, ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის თავმჯდომარე, აქტიური კომკავშირელი მუშაკი, წარმატებული მოჭადრაკე და მეორეს მხრივ, საეჭვო რეპუტავიის მქონე ადამიანის მეგობარი, თბილისის ერთ-ერთი უძლიერესი პოკერისტი, ალბათ საინტერესო პარადოქსია.

ადვილი მისახვედრია იმ წლებში რა დაძაბული რიტმით ვცხოვრობდი, თუმცა ვცდილობდი გამომენახა დრო ჭადრაკის თამაშისთვისაც. ამან მიბიძგა შემექმნა „ჩემი“ სადებიუტო თეორია; უფრო ზუსტად **ანტითეორია დასწრებაზე,** რომელიც უდიდეს ძალისხმევას, კომბინაციურ ხედვას და გათვლების სიზუსტეს მოითხოვს.



ალექსანდრე იზვოზჩიკოვი, მერაბ თხელიძე

ამ ფოტოსურათზე აღნიშნულია ჩემი მეგობრის, კოლეგისა და ჭადრაკის თანამოაზრის ალექსანდრე (შურიკა) იზვოზჩიკოვის ჩემთან შეხვედრის მომენტი. ჩვენ ერთად ვქმნიდით თეორიულ ვარიანტებს, პრაქტიკაში ვამოწმებდით ამ ვარიანტებს, ერთად დავდიოდით სანადიროდ, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. ერთ დღესაც ვერ ვძლებდით ურთმანეთოდ და ეს გრძელდებოდა, სანამ უკურნებელმა სენმა არ წამართვა მისი თავი.

ეჰ, შურიკ, შურიკ, გახსოვს როგორ მეძახდი: Красавец, Красавец.



I რიგი: ნონა გაფრინდაშვილი, მანანა ტოგონიძე, უცნობი;
II რიგი: ვლადიმერ სმირნოვი, მერაბ თხელიძე, თეიმურაზ ლომაია, ვლადიმერ კაჭარავა

1955 წელს რიგაში გამართულ სსრ კავშირის მოსწავლეთა გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა II ადგილი დაიკავა. ნაკრებში 12 წევრი იყო: **გურამ მაჭავარიანი, იური ვეტოხინი, გურამ კალატოზიშვილი, დავით ჯანოევი, ვლადიმერ სმირნოვი, ვლადიმერ კაჭარავა, მერაბ თხელიძე, მანანა ტოგონიძე** (დაფაზე I-IIადგილი), **ნონა გაფრინდაშვილი** (დაფაზე I ადგილი), **მარინა სტატნიკოვა** (დაფაზე I-IVადგილი), **თეიმურაზ ლომაია და გულნარა ბუცხრიკიძე**.

1963-1966 წლებში ვსწავლობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში. ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო გამოთვლითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი დავით კვესელავა, არაჩვეულებრივი პიროვნება, გულისხმიერი, გულკეთილი ადამიანი, ძლიერი მოჭადრაკე და ჩემი მამობილი.

**ბორის სპასკი,** დაიბადა 1937 წლის 30 იანვარს ლენინგრადში
დიდოსტატია 1955 წლიდან
მსოფლიოს მეათე ჩემპიონი 1969-1972 წლებში. მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშა სამი მატჩი, 1966 წელს დაამარცხა ტიგრან პეტროსიანი, 1969 წელს დაამარცხა ტიგრან პეტროსიანი, 1972 წელს დამარცხდა რობერტ ფიშერთან

**10. მერაბ თხელიძე** (ო/კ) - **ბორის სპასკი** (ს/დ ),
მოსკოვი, 1963წ.
პონციანის დებიუტი **C44**

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.c3 d5 4.♗b5 dxe4 5.♘xe5 ♕g5**

შეთანხმების თანახმად სავალდებულო სვლებია. საინტერესოა ჩვენ პარტიასთან დაკავშირებული წინაისტორია: 1963 წლის 28 იანვრიდან 8 თებერვლამდე მოსკოვში ჩატარდა ნსს „ბურევესტნიკის" მესამე გუნდური საკავშირო ჩემპიონატი უმაღლეს სასწავლებლებს შორის. მე ვიყავი თსუ-ს გუნდის კაპიტანი და ვთამაშობდი მესამე დაფაზე.



**ბორის სპასკი**
მსოფლიო მეათე ჩემპიონი**,**
დაიბადა 1937 წლის 30
იანვარს ლენინგრადში.
დიდოსტატია **1955** წლიდან

ლენინგრადის უნივერსიტეტის გუნდს ხელმძღვანელობდა მსოფლიო IV ჩემპიონი ქალებში **ოლღა რუბცოვა**, ხოლო გუნდის მწვრთნელი იყო **ბორის სპასკი**, მსოფლიოს წამყვანი დიდოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ექვსი წლის შემდეგ მსოფლიო მე–10 ჩემპიონი. მათ გუნდში მესამე დაფაზე თამაშობდა **ვასილ ნეკრასოვი**, სპორტის ოსტატი, სპასკის პირადი მოსწავლე. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

**ბორის სპასკის** თავისი გამოკვლევები ჰქონდა დებიუტებში. მათ შორის პონციანის დებიუტშიც. ამიტომ **ნეკრასოვთან** 1.e4 e5 2.♘f3 ♘c6-ის შემდეგ განგებ ვითამაშე 3.c3. პარტია ასე გაგრძელდა: 3. ... d5 4.♗b5 dxe4 5.♘xe5 ♕g5!? 6.d4!? ♕xg2 7.♖f1 ♘ge7 8.d5 a6 9.dxc6 ♘xc6 10.♗xc6+ bxc6 11.♕a4 ♗d6 12.♕xc6+ ♔e7 13.♘c4 ♗h3 14.♘e3 ♕xh2 15.♕xe4+ ♔d7 16.♖h1 და შავები დანებდნენ.

პარტიის დამთავრების შემდეგ გავედით პარტიების გასარჩევ ოთახში, სადაც **ბორის სპასკიმ** საყვედურები დააყარა **ნეკრასოვს** და საკმაოდ აგდებულად მომიხსენია მეც. ამაზე მე შევეპასუხე. სიტყვა სიტყვას მოყვა და მან შემომთავაზა: ხვალ დასვენების დღეა და თუ ასე იცავ შენს ვარიანტს, ვითამაშოთ კონსულტაციური პარტია პონციანის დებიუტზე ამ ვარიანტითო. მსაჯობა იკისრა **ოლღა რუბცოვამ.** .

**6.d4!? ♕xg2 7.♖f1 ♘ge7** სხვა გაგრძელებებია:
7...♗d7? 8.♘xd7 ♔xd7 9.d5+−;
7...♗h3 8.♘xc6 bxc6 9.♗xc6+ ♔d8 10.♘d2! ♖b8 11.♗xe4 ♕g5 12.♖h1±;
7...♗d6! 8.♕h5 g6 9.♕h4 ♗d7 10.♘xc6 a6 11.♗a4 ♗xc6 12.♗xc6+ bxc6 13.♗f4

**8.d5 ♗h3 9.dxc6 bxc6 10.♗c4 ♘g6 11.♘xf7 ♗e7 12.♗e3 ♖f8 13.♕a4 ♗d7 14.♘d2 ♕g4 15.♘xe4 ♖xf7**

თუ 15...♕xe4 16.♘d6+ ♗xd6 17.♗f7+ ♖xf7 18.♕xe4++−

**16.♗xf7+ ♔xf7 17.♘g5+ ♗xg5 18.♕xg4 ♗xg4 19.♗xg5 ♘e5**



**20.f4 ♘d3+**

ან 20...♘f3+ 21.♔f2±

**21.♔d2 ♘xb2 22.♖ae1 ♔f8**

ან 22...♗e6 23.f5! ♗xa2 24.♖e7+ ♔g8 25.f6!+−;

22...♘c4+ 23.♔d3 ♘d6 24.♖e7+±

**23.f5 ♘c4+ 24.♔d3 ♘d6 25.f6**

შავები დანებდნენ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ბორის სპასკი ადგა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: асибо за игру (მადლობა თამიშისათვის).



# ბუხუტი გურგენიძე

1933 – 2008

პირველი ქართველი დიდოსტატი 1970 წლიდან, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ვაჟთა შორის, ცხრაჯერ ითამაშა სსრკ ჩემპიონატის ფინალში. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

**11. ბუხუტი გურგენიძე** (თბ., ს/ო) - **მერაბ თხელიძე** (თბ., ო/კ)
საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი.
თბილისი 1963 წელი

ესპანური პარტია. **C64 1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗b5 ♗c5 4.0-0 ♘d4 5.♘xd4 ♗xd4 6.c3 ♗b6 7.d4 c6 8.♗a4 d6 9.♘a3**



ამ ტურის წინ ბუხუტი ქულანახევრით მისწრებდა და ძალიან მინდოდა მომეგო მისთვის. ამიტომ ვითამაშე 3.... ♗c5. რითაც იწყება კორდელის ვარიანტი და დაფაზე მოვიფიქრე გაგრძელება

**9...♕f6!?**

რადგან არ მომწონდა არც

9...♕e7 10.d5! ♗d7 11.♘c4 c5 12.f4±;

არც

9...♗c7 10.d5 ♗d7 11.dxc6 bxc6 12.♘c4±;

არც 9...♘f6 10.♗c2 ♗e6 11.♗g5 h6 12.♗xf6 ♕xf6 13.d5 ♗d7 14.♘c4 ♗c7 15.♕d3±;

და არც

9...exd4 10.cxd4 ♘e7 11.♗g5 f6 12.f4 0-0= ,

რადგან ვერ ვხედავდი „ჩემს“ ანუ „არე-ულ“, კომბინაციურ ორმხრივ თამაშს. ამიტომ ვითამაშე 9. ...♕f6... მომდევნო

გართულებებით.

**10.d5 ♘e7 11.♘c4 0-0 12.dxc6 bxc6 13.♕xd6 ♗e6 14.♗b3 ♘g6 15.♘xb6 axb6 16.♗xe6 ♖ad8! 17.♕xc6**

(არ ვარგა 17.♗xf7+ ♕xf7 18.♕xc6 ♕xf2+ 19.♖xf2 ♖d1+ 20.♖f1 ♖fxf1#]

**17...fxe6 18.♗e3 ♘h4 19.f4 ♕g6 20.g3 ♕g4 21.♔h1**



**21...exf4 22.♗xf4 ♖xf4 23.gxh4! ♖f2!**

**24.♖xf2 ♖d1+ 25.♖xd1 ♕xd1+ 26.♔g2 ♕g4+**

ყაიმი.

ძალიან მესიამოვნა, როცა ბუხუტი ადგა, ხელი ჩამომართვა, მაკოცა და მითხრა — ყოჩაღ! ამ დღიდან დაიწყო ჩვენი ნამდვილი მეგობრობა, რომელიც მის გარდაცვალებამდე, შორეულ 2008 წლის 23 მაისამდე, 45 წელი გრძელდებოდა.

როცა მე და ბუხუტი სახლში ვბრუნდებოდით, მას გაეცინა და მითხრა: „შენისთანა უცნაური კომბინაციური ნიჭის მოთამაშე არასოდეს მინახავს“. „კარგი რა, ვუპასუხე მე, შენ თუ კომბინაციები გიკვირს, მნახე რა **ალიოხინი“.**

თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს, მისი შექება ძალიან მესიამოვნა.

ეჰ, ბუხუტი, ბუხუტი ...



საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი
**ბუხუტი გურგენიძე - მიხეილ ტალი**
თბილისი, 1969 წელი



**რომან ჯინჯიხაშვილი**

დაიბადა 5.05.1944

სამი ქვეყნის: საქართველოს, ისრაელის და აშშ-ს ჩემპიონი სხვადასხვა წლებში.
საერთაშორისო ოსტატი 1970 წლიდან,
საერთაშორისო დიდოსტატი 1977 წლიდან,
მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე დაიცვა ისრაელის და აშშ-ს სპორტული ღირსება

**13. მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ) - **რომან ჯინჯიხაშვილი** (თბილისი, ო/კ)

ამიერკავკასიის ვაჟთა ღია ჩემპიონატი , თბილისი 1963 წელი

სიცილიური დაცვა. **B59**

**1.e4 c5 2.♘f3 ♘c6 3.d4 cxd4 4.♘xd4 ♘f6 5.♘c3 d6 6.♗e2 e5 7.♘b3 ♗e7 8.♗e3 0-0 9.f3 ♗e6**

მივიღეთ **ბოლესლავსკის** ვარიანტი. ენციკლოპედიაში მითითებულია **რაბასი-გლიგორიჩის** (1949 წელი) შემდეგი პარტია:
9...d5 10.♘xd5 ♘xd5 11.♕xd5 ♕c7 12.♕d2 ♖d8 13.♗d3 ♘b4 14.0-0 ♗e6 15.♘c1 ♖ac8 16.♖f2 ♕d7 17.♕e2 ♕a4 18.a3 ♘xc2 19.♗xc2 ♖xc2 20.♕xc2 ♖d1+=



**10.♘d5 ♗xd5 11.exd5 ♘b4 12.c4 a5 13.♕d2 b6 14.0-0 ♘d7 15.f4 ♘a6 16.fxe5 dxe5 17.d6 ♗f6 18.♗f3 ♖b8 19.♗d5 a4 20.♘c1 ♘dc5 21.b4 axb3 22.axb3 e4 23.♖a3 ♗e5 24.b4 ♕xd6 25.bxc5 ♗xh2+ 26.♔h1 ♘xc5 27.♖a7 ♘e6 28.♗xe4 ♕xd2 29.♗xd2 ♗d6 30.♗d5 b5**



**31.♖fxf7 ♖xf7 32.♗xe6 ♖bf8 33.cxb5**

შავები დანებდნენ.



## **მიხეილ ტალი** (1936 –1992)

მსოფლიო მერვე ჩემპიონი

1964 წლის 14 დეკემბერს თბილისში **მიხეილ ტალმა** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნაკრებ გუნდთან გამართა ერთდროული თამაშის სეანსი საათებით თერთმეტ დაფაზე. სეანსის შედეგია 9,5−1,5 (+9, =1, −1) მ. ტალის სასარგებლოდ. ერთადერთი მარცხი ამ სეანსში დიდოსტატმა ჩემთან განიცადა. გთავაზობთ ამ პარტიას.

**15. მ. ტალი** (ს/დ) **- მ. თხელიძე** (ო/კ)

ესპანური პარტია. **C78**

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗b5 a6 4.♗a4 ♘f6 5.0-0 b5 6.♗b3 d6 7.c3**

მართალია, მეშინოდა ასეთ ბუმბერაზთან, კომბინაციის უკიდეგანო მოჭადრაკესთან კომბინაციური შებმის, მაგრამ მაინც გავრისკე მასთან ლევენფიშის ვარიანტის თამაში: 7.♘g5 d5 8.exd5 ♘d4 და ა.შ., ტალი ამ ვარიანტზე არ გამომყვა.

**7...♗g4!?**

ახლა კი მივილე ჩემი ერთ-ერთი მწვრთნელის **ვ. გოგლიძის** მოთხოვნით ჩემს მიერ დამუშავებული ვარიანტი, რომელიც იწყება 7...♗g4!? სვლით :

**8.d4 ♕c8!? 9.♖e1 ♘a5 10.♗c2 c5 11.dxe5 dxe5 12.♘bd2 ♗e7 13.♘f1 0-0 14.♘e3 ♖d8 15.♕e2 ♗h5 16.♘f5 ♘c6 17.♗g5 h6**



**18.♘xe5!?**

ამ სვლას ნამდვილად არ ველოდი, გავოცდი, მაგრამ ტალი ტალია!

მე ვთვლიდი ვარიანტს:

18.♘xe7+ ♘xe7 19.♗xf6 gxf6 20.♕e3 ♔h7 დავიბენი, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ ვიპოვე გამოსავალი — შუალედური სვლა!

**18...♗xe2 19.♘xc6 ♕e6 20.♘fxe7+ ♔f8 21.♘xd8 ♖xd8 22.♗xf6 ♖d2! 23.♗xg7+ ♔xe7 24.♖ac1 ♕g4 25.♗e5 h5 26.h3 ♕g5 27.♗b8 h4 28.♗d1 ♖xb2 29.f4 ♕g3 30.♗xe2 ♕e3+ 31.♔f1**



**31...♖xe2! 32.♗d6+ ♔d7 33.♖xe2 ♕xc1+ 34.♖e1 ♕xc3 35.♗e5 ♕d3+ 36.♖e2 c4 37.♗b2 c3 38.♗c1 ♕b1**

თეთრები დანებდნენ.

მიხეილ ტალმა ხელი ჩამომართვა, სცენის წინ გამომიყვანა, გვერდით დამიდგა, ხელები ამიწია, დარბაზს გახედა და ტაში დამიკრა. შეიძლება ასეთი რამის დავიწყება?!

დღეს 2019 წლის გადასახედიდან რომ ვაანალიზებ ჩემს საჭადრაკო ცხოვრებას, ვხვდები რომ ჩემი საჭადრაკო პიკი1963-1966 წლები იყო! მაგრამ ჩემს საჭადრაკო ზრდას ხელი შეუშალა შემდგომმა სამწუხარო ფაქტმა: 1963 წლის4-27 მაისს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის ღია პირველობა, რომელშიც დაუშვეს საქართველოს ხუთი წამყვანი ოსტა-ტობის კანდიდატი. ოსტატობის ნორმა 8,5 ქულა იყო. ამ ხუთი კანდიდატიდან გურამ კალა-ტოზიშვილმა მოაგროვა 9,5 ქულა, მე - 9 ქულა და ორივემ დავაგროვეთ ოსტატობის წოდების მოსაპოვებელი ქულები. ოსტატობის მინიჭება-არმინიჭებას წყვეტდა საკავშირო საკვალიფი-კაციო კომისია, რომელსაც დიდოსტატი ტიგრან პეტროსიანი ხელმძღვანებლობდა. კომისიამ არც ერთს არ მოგვანიჭაოსტატის წოდება. გურამი იმიტომ დაიწუნეს, რომ მან ბევრი უბრძოლველი ყაიმი გააკეთა - 9 ყაიმი 15-დან, შეიძლება ეს სამართლიანიც იყო, მე სულოთხი ყაიმი მქონდა და რატომ დამიწუნეს არც მაშინ უთქვამთ და არც მერე. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა, რასაც დაემატა მძიმე ოჯახური მატერიალური პირობები, რის გამოც იძულე-ბული გავხდი არჩევანი გამეკეთებინა ჭადრაკსა და მათემატიკას შორის. არც კი ვიცი რომელი უფრო მიყვარს, მაგრამ მათემატიკა იძლეოდა სტაბილური ცხოვრების საშუალებას და ამი-ტომის ავირჩიე. ჭადრაკისადმი ჩემი სიყვარული, სინანული, გაუსაძლისი სევდა კი გამოვ-ხატე ლექსში, რომელიც დავწერე 2002 წელს აქ მომყავს.

## ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი.

*„არავის არ სძინავს ისე აზნეულად,*
*როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს"*
*პაოლო იაშვილი*

ბავშვობიდანვე მიტაცებდა მე ეს თამაში ,
ბედს რომ ეცლია და ოჯახი არ დამნგრეოდა,
ვინ იცის რა გზას ავირჩევდი გულის კარნახით
და ამის იმედს ჩემი მწვრთნელიც ხომ იძლეოდა.
მათემატიკა ავირჩიე თავის სარჩენად
და არცა ვნანობ, დაც და თავიც გადავირჩინე ,
თუმცა შორიდან მომოიწია ჭადრაკის ცქერა,
ჰობია მხოლოდ, პროფესიად ვერ ავირჩიე.
ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი,
იძულებითი არჩევანით დავიარებდი,
გაორებული, ვით სიზმარში ვცხოვრობ ტიალში ,
სხვა ცხოვრებაში რომ მექნება მე არჩევანი.
რომ შემეძლება მხოლოდ ჭადრაკს მივუძრვნი თავი,
ხოლო მანამ კი სადაც რამე შეჯიბრს დავლანდავ,
ვეღარ მივითმენ, კმარა ადრე რასაც ვითმენდი,
სულით და გულით ვითამაშებ, თავსაც დავკარგავ.
სამ დიდ ჩემპიონს ვეთამაშე, ვეჯექ პირისპირ
და სამივესთვის გამოვძებნე თითო ბილიკი,
როგორ ვცდილობდი, ჩემთვის, თქვენთვის, როგორ ვიბრძოდი
და დავამარცხე სპასკი, ტალი და ბოტვინიკი.
როგორ ვცდილობდი, ვაგროვებდი მანეთს და კაპიკს,
წავსულიყავი ალბიონის მე ქვეყანაში

და ჰა აღსრულდა, მსოფლიოში მე ვარ მეორე,
მოყვარულების დიდ მსოფლიო შერკინებაში.
ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი,
გაორებული ვით სიზმარში დავიარებდი,
იმედს ვიტივებ, იმედი მაქვს არ გავწბნელდები,
სხვა ცხოვრებაში რომ მექნება მე არჩევანი.



დიდი საჭადრაკო დაფა

თბილისში დადის ერთი თავმდაბალი კაცი, რომლის გარეშეც მსოფლიოს საჭადრაკო სამყარო ტრიალებს. ფართო საზოგადოებამ არ იცის, რომ მან ჭადრაკის სამი კორიფე, მსოფლიოს მეოთხე, მერვე და მეათე ჩემპიონები — მიხეილ ბოტვინიკი, მიხეილ ტალი და ბორის სპასკი

მიხეილ ბოტვინიკი

„ყაიმზე ვოცნებობდი. ბოტვინიკისთვის ჩემი ვარიანტი მოულოდნელი აღმოჩნდა. 2 ეტლი და ოფიცერი შევწირე და... 42-ე სვლაზე გავიმარჯვე!“

# მერაბ თხელიძე:

# დამარცხებით განერვიულებულმა ბოტვინიკმა ჭადრაკის ფიგურები სახეში შემომაყარა!

შევწირე და... 42-ე სვლაზე გავიმარჯვე! განერვიულებულმა მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკის ფიგურები სახეში შემომაყარა, მაგრამ გონზე მალევე მოეგო და გამარჯვება გადაჭედილი დარბაზის ოვაციების ფონზე მომილოცა!

— მიხეილ ტალიც დაამარცხეთ?

„ტალი გაოგნებული იყო, რადგან ლაზიერი შევწირე და მაინც მოვუგე!“

მიხეილ ტალი

ბორის სპასკი

„ამ სტრატეგიის ჩემეული ვარიანტი საგულდაგულოდ მქონდა დამუშავებული და სპასკის 16 სვლაში მოვუგე! ამ პარტიამ მთელი მსოფლიო მოიარა!“

— მოყვარულთა შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონობას როგორ მიაღწიეთ?

ბოლოთქმა

...ყველა ლექსი, რაც კი ლაშა ნადარეიშვილს „ასავალ-დასავალში“ გამოუქვეყნებია, რადგან ეს ლექსებიც და „ასავალ-დასავალის“ უკლებლივ ყველა ნომერი სამშობლოს კეთილდღეობაზე დარდით, მძიმე მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად გზების ძიების სურვილით არის გაჟღენთილი, — დასძინა ბატონმა მერაბმა და თვალის კუთხეში მომდგარი კურცხალი მოურიდებლად მოიწმინდა.

ესაუბრა ზაზა დავითაია

მერაბ თხელიძე, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა

ასავალ-დასავალი 2017 წლის 13 - 19 ნოემბერი № 46 (1200) 29

1962 წელს წითელ დიპლომზე დავამთავრე უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და სწავლა გავაგრძელე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში 1963–1965 წლებში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1966–1973 წლებში ვმუშაობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად დირექტორის პროფესორ **დავით კვესელავას** განყოფილებაში „მიახლოებითი გამოთვლების მეთოდები“. ერთ ოთახში ვიჯექით **ჯემალ სანიკიძე** (განყოფილების გამგე), **ზაურ სამსონია, დუგლას უგულავა, ბონდო ფარულავა** და **მე**.

1965–1976 წლებში ვმუშაობდი აგრეთვე **ვ.მ.კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში** განთავისუფლებულ პიონერხელმძღვანელად, მეცხრე რუსულ და ქართულ კლასებში მათემატიკის მასწავლებლად და სკოლის ჭადრაკის წრის ხელმძღვანელად. ერთი წლის შემდეგ, მიუხედავად ჩემი პროტესტისა, დირექტორმა **ვარლამ მელაძემ** მეცხრე კლასების ნაცვლად გადამიყვანა თავის მეწყვილედ დამამთავრებელ 11-ე კლასში, რომელიც ორად იყოფოდა მათემატიკისა და ფიზიკის გაკვეთილებზე. იმავე პერიოდში, 1966–1972 წლებში ნახევარ შტატზე ვმუშაობდი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრა 1-ზე (კათედრის გამგე პროფესორი **დავით ავაზაშვილი**) სალექციო ასისტენტად. მიმყავდა პრაქტიკული მეცადინეობები მათემატიკაში პროფ. **ამბროსი რუხაძის** ფიზიკის სპეციალობის ჯგუფებში ქართულ ენაზე და პროფესორ **ნინო ართმელაძის** მათემატიკის სპეციალობის ჯგუფებში რუსულ ენაზე. ამ ორმა დამსახურებულმა პროფესორმა ბევრი რამ მასწავლა და დამაოსტატა არა მარტო მათემატიკის სწავლებაში, სტუდენტებთან ურთიერთობაში, არამედ ჩამომაყალიბა ნამდვილ პედაგოგად — სამართლიან და სტუდენტების მოყვარულ პიროვნებად. ულრმესი მადლობა მათ ამისთვის.

თითქმის სამი შტატის სამსახურს ვასრულებდი, რაც მაშინდელი კანონმდებლობით დაუშვებელი იყო. მხოლოდ ზოგიერთ გამოჩენილ პროფესორს და მეცნიერს ჰქონდა უფლება ემუშავა შტატნახევარზე. პროფ. **დავით კვესელავას** რეკომენდაციით, როგორც წამყვან მოჭადრაკესა და ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს, განათლების სამინისტრომ სპეციალური განკარგულებით დამრთო ნება მემუშავა ამდენ ადგილას. ამ საოცარ ცნობას ათეული წლების განმავლობაში ვინახავდი, მაგრამ სამწუხაროდ ამ წიგნის დაწერისას ველარ აღმოვაჩინე.

1972 წელს დავიცავი დისერტაცია ფიზ. მათ. მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლებების ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა შვარცის მეთოდით“.**





ჩემი მეყღლე დიანა



დიანა და თამრიკო



მე და თამრიკო



ჩემი ბიძაშვილები ლამარა და რუსიკო, წინ დგას თამრიკო,
ხელში მიკავია თინიკო, ჩემს გვერდით მეუღლე დიანა

1972 წლის იანვრიდან უნივერსიტეტის მეგობრის **ჰამლეტ ვარლამის-ძე მელაძის** (დაბ. 1939 წლის 9 თებერვალს) წარდგინებით მუშაობა დავიწყე თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის გამოთვლითი მანქანების მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრის უფროს მასწავლებლად, შემდეგ დოცენტად (კათედრის გამგე, აკადემიკოსი — **ილია ვეკუა**). 1975 წელს მომენიჭა ეგმ-ის მათემეტიკური უზრუნველყოფის კათედრის დოცენტის წოდება. ამ პერიოდში გამგის მოადგილე იყო დოცენტი **ჰამლეტ მელაძე,** ხოლო კათედრის სწავლული მდივანი — დოცენტი **მერაბ თხელიძე.**



**თინიკო და თამრიკო**

თუ ჩემს დაკავებულობას მივუმატებთ დღის მეორე ნახევარში კერძო აბიტურიენტებთან მუშაობას, რა დრო შემეძლო დამეთმო ჭადრაკისათვის, როგორც პროფესიონალ მოჭადრაკეს. ისევ მახსენდება ჩემი ლექსის სტრიქონები: „ჭადრაკი ჰობია მხოლოდ, პროფესიად ვერ ავირჩიე ... იმედს ვიტოვებ, იმედი მაქვს არ გავწბილდები, სხვა ცხოვრებაში რომ მექნება მე არჩევანი“. თუმცა მაინც ვახერხებდი ჭადრაკის თამაშს თბილისში და საკავშირო პირად-გუნდურ სტუდენტურ შეჯიბრებებში. გვიან ღამით კი „ვიგონებდი ჩემს“ დებიუტურ რეპერტუარს. ამ ფოტოზე ნაჩვენებია, თუ როგორ გამოიყურება ჩემი ოჯახი დღეს.



თინიკო, მერაბი, თამრიკო და დიანა

## მერაბ თხელიძის გამორჩეული შედეგები ჭადრაკში

| № | წელი, ადგილი | შეჯიბრება | შედეგი |
|---|---|---|---|
| 1 | 1953, ბათუმი | საქართველოს მოსწავლეთა გუნდური ჩემპიონატი 5 დაფაზე. თბილისის მეოთხე გუნდი: კაზარიანი, ლომაია, აბოიანი, გამბარიანი, თხელიძე. | მეხუთე დაფაზე 8-დან 8 ქულა. I ადგილი. |
| 2 | 1955, თბილისი | თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი. | 12-დან 10 ქულა. I ადგილი. |
| 3 | 1957, ბორჯომი | საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის ფინალი | 15-დან 12 ქულა. I ადგილი. |
| 4 | 1958, თბილისი | თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი. | 13-დან 12.5 ქულა. I ადგილი. |
| 5 | 1959, თბილისი | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატის ფინალი. | I ადგილი. |
| 6 | 1961, თბილისი | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატის ფინალი. | I ადგილი. |
| 7 | 1964, თბილისი | თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი. | 13-დან 11.5 ქულა. I-II ადგილი, თ. გიორგაძესთან ერთად. |
| 8 | 1963/64, თბილისი | ნსს „ბურევესტნიკის“ ჩემპიონატის ფინალი საქართველოს მამაკაცებს შორის. | 12-დან 9.5 ქულა, I-II ადგილი დავით ჯანოევთან ერთად. |
| 9 | 1966, მინსკი | საბჭოთა კავშირის სტუდენტ-მასწავლებელთა გუნდური ჩემპიონატი რვა დაფაზე (ექვსი ვაჟი, ორი ქალი). მეექვსე დაფაზე გუნდმა დაიკავა I ადგილი. მე მივიღე სპეციალური პრიზი ყველა მონაწილეს შორის საუკეთესო შედეგისთვის (3 ოქროს მედალი). | 14-დან 12 ქულა. 10 მოგება, 4 ყაიმი. I ადგილი დაფაზე. |
| 10 | 1969, თბილისი | თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალი | 10-დამ 7.5 ქულა. I ადგილი. |
| 11 | 1961, 9 სექტემბერი, თბილისი | ერთდროულად თამაშის სეანსი საათებით რვა დაფაზე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, მსოფლიო მეექვსე ჩემპიონ მიხელ ბოტვინიკის წინააღმდეგ. ანგარიშით 5-ით 3 (+4=2-2) გაიმარჯვა ბოტვინიკმა. ბოტვინიკმა დაამარცხა: გურამ მაჭავარიანი, თეიმურაზ ლომაია, ალექსანდრე იზვეზჩიკოვი, მანანა ტოგონიძე. ფრე ითამაშა დავით ჯანოევთან ა გიგი ეგიაშვილთან. დამარცხდა მერაბ თხელიძესთან და რომან ჯინჯიხაშვილთან (მიესაჯა მოგება გადადებულ პარტიაში). | |
| 12 | 1963, მოსკოვი | საკონსულტაციო პარტია თემაზე „პონციანის დებიუტი“. მომავალ მეთე მსოფლიო ჩემპიონ ბორის სპასკისთან. მსაჯი ოლღა რუბცოვა, | გავიმარჯვე 25-ე სვლაზე. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | მსოფლიო მეოთხე ჩემპიონი ქალებს შორის. | |
| 13 | 1964, 14 დეკემბერი, თბილისი | ერთდროული თამაშის სეანსი საათებით 11დაფა-ზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გუნდი მსოფლიო მერვე ჩემპიონის მიხეილ ტალის წინა-აღმდეგ. გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა ანგარი-შის 9-2. (+9; =2; -1) | მხოლოდ მე გავიმარჯვე. |
| 14 | 1967, თბილისი | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიო-ნატი | I ადგილი |
| 15 | 1970, თბილისი | საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩემპიო-ნატი | 12-დან 10 ქულა, I ადგილი. |
| 16 | 1972, თბილისი | სტუდენტთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატის თამაშების ფინალი. 6 ვაჟი, 2 ქალი. მეექვსე დაფა - მერაბ თხელიძე. | 7-დან 5.5 ქულა. I ადგილი დაფაზე. |
| 17 | 1986, თბილისი | თბილისის ჭადრაკის სასახლის თასის გათამაშების ფინალი. | 15-დან 12.5 ქულა I ადგილი. |
| 18 | 1987/88, თბილისი | თბილისის ჭადრაკის სასახლის თასის გათამაშების ფინალი. | 17-დან 12.5 ქულა. I ადგილი. |
| 19 | 1995, თბილისი | 40 წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში. | 9-დან 7 ქულა. I ადგილი. |
| 20 | 25.12.1996-05.01.1997, ჰასტინგსი | მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი. | 9-დან 8 ქულა. II ადგილი. |
| 21 | 2004, თბილისი | სენიორების საქართველოს ჩემპიონატი. | 7-დან 6 ქულა. I ადგილი. |
| 22 | 21.02-22.03.1963, თბილისი | საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი. | 19-დან 12 ქულა. გავიყავი II-IV ადგილი. |
| 23 | 04-27.05.1963, თბილისი | ამიერკავკასიის ვაჟთა ღია ჩემპიონატი. მოვაგროვე სსრკ. სპორტის ოსტატობის მოსაპოვებელი 8.5 ქულის ნაცვლად 9 ქულა. | 15-დან 9 ქულა. V-VI ადგილი. |
| 24 | თებერვალი,1987, პალანგა | საკავშირო ღია ფესტივალი „პალანგა-87“. | 7-დან 6.5 ქულა. I ადგილი. |
| 25 | ივლისი, 1987, კლაიპედა | საკავშირო ღია ფსტივალი „კლაიპედა-87“. | 10-დან 6.5 ქულა. I-II ადგილი. |

## მერაბ თხელიძის შრომითი საქმიანობა ჭადრაკის განხრით
## სამუშაო ადგილი, დაკავებული თანამდებობა, ჭადრაკის ტემატიკა

| № | წელი | უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა | კათედრა, თანამდებობა, საგანი | ენა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 1960-1962 | თბილისის ბავშვთა საჭადრაკო სპორტული სკოლა. თბილისის პირველი საშუალო სკოლა | ჭადრაკის მასწავლებელი | ქართული |
| 2 | 1963-1964 | თბილისის კავშირგაბმულობის ვმუშაკთა კულტურის სახლის საჭადრაკო სკოლა | ჭადრაკის სექციის ხელმძღვანელი | ქართულ რუსული |
| 3 | 1974-1976 | ე.მ.კომაროვის სახელობის თბილისის ფიზ.-მათ. სკოლა ინტერნატი | ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი | ქართული |
| 4 | 1974-1976 | თბილისის ბავშვტა საჭადრაკი სკოლა | ჭადრაკის წრის ხელმძღვანელი | ქართული |
| 5 | 1982-1987 | ჭადრაკის სახალხო უნივერსიტეტი. | დოცენტი, ჭადრაკის დებიუტის თეორია. ლექციები, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული, რუსული |
| 6 | 1983-1985 | საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტი. | თეორიული ფიზიკური კულტურის კათედრის უფროსი მასწავლებელი. სწავლება: ჭადრაკისთეორია და პრაქტიკა: ლექცია პრაქტიკული ლაბორატორიული. | ქართული |
| 7 | 2005-2008 | თბილისის კეთილშობილ ქალთა და ვაჟთა საგანმანათლებლო სკოლა-პანსიონი „მთები“ | ჭადრაკის მასწავლებელი | ქართული |
| 8 | 2006-2007 | საქართველოს ფიზიკური კულტურის აღზრდისა და სპორტისაკადემია | თეორიული ფიზიკური კულტურის და მეთოდიკის კათედრის ჭადრაკის სპეციალიზაციის უფროსი მასწავლებელი. სწავლება: ჭადრაკის თეორია და პრაქტიკა, ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული |
| 9 | 2007-2008 | ილია ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი. ცენტრი „სპორტის აკადემია“. | მწვრთნელთა ფაკულტეტის. ჭადრაკის სპეციალიზაცია. მოწვეული პროფესორი. სწავლება: ჭადრაკის თეორია და პრაქტიკა, ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული. | ქართული |
| 10 | 2009-2012 | საქართველოს უნივერსიტეტი | ჭადრაკის მწვრთნელი, ჭადრაკის ლექციები და პრაქტიკული | ქართული |
| 11 | 2012-2015 | საზოგადოება „ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტი | მოწვეული პროფესორი ჭადრაკში სწავლოება: ჭადრაკის თეორია და პრაქტიკა, ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული | ქართული |
| 12 | 2014-2018 | საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | მწვრთნელთა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. სწავლება: ლექციები, პრაქტიკული. | ქართული, რუსული |
| 13 | 2018-2022 | | მწვრთნელთა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ახორციელებს აკადემიურ და სამეცნ. - კვლევით საქმიანობას | ქართული, რუსული |

საკუთარი თავი, ოჯახი, ჩვენი, ჩემი და მეუღლის ახლობლები, ყველას ღირსეული ცხოვრებისათვის, როგორც ჩემი კლანის უფროსი და მათ კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი, ვაკეთებდი ყველაფერს რაც შემეძლო და რაც არ შემეძლო: ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტად, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სალექციო ასისტენტად, კომაროვის სახელობის სკოლა-ინტერნატში განთავისუფლებულ პიონერ-ხელმძღვანელად, მათემატიკის მასწავლებლად და ჭადრაკის წრის ხელმძღვანელად, მეცნიერებათა გამოთვლით ცენტრში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. საღამოობით ვამზადებდი აბიტურიენტებს. სამწუხაროდ ჩემი საყვარელი საქმისათვის, ჭადრაკისათვის არც დრო მრჩებოდა და არც ძალა. სწორედ ამიტომ ვთქვი: არსებობისათვის მათემატიკა, სიყვარული — ჭადრაკს. მაინც შევძელი მონაწილეობა მიმეღო თბილისისა და საქართველოს შეჯიბრებებში, „ქარიშხალას“ საკავშირო პირველობების ნახევარფინალებში და სტუდენტ-მასწავლებელთა საკავშირო გუნდურ ჩემპიონატებში. მაგრამ ეს იყო სპორტული თამაშები და არა ჩემს მიერ შექმნილი თეორიული კვლევების გამოცდა შემოქმედებით შეჯიბრებებში და საჭადრაკო წინსვლა.

რაც შეეხება 1991-1994 წლებს, ჩემს სამშობლოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო, ქვეყანაში ჩაკვდა თითქმის ყველა კულტურული, სამეცნიერო და სპორტული საქმიანობა. მე **გამზადებული მქონდა სადოქტორო დისერტაცია**, რომლის დაცვა იგეგმებოდა მოსკოვში ჩემი ფაქტიური მეცნიერ-ხელმძღვანელის, აკადემიკოს **ალექსანდრე სამარსკის** ხელმძღვანელობით, რომელიც იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მათემატიკური მოდელირების ინსტიტუტის დირექტორი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოთვლითი მათემატიკის კათედრის გამგე და ჩემი დიდი მფარველი და მეგობარი. გეტყვით იმასაც, რომ ორივეს გვიყვარდა ჭადრაკი და დეტექტივები. მაგრამ დაცვა ვერ მოხერხდა არსებული ვითარების გამო. ძალიან მენანებოდა ამ საქმეში დახარჯული დრო და შრომა.



აკადემიკოსი **ალექსანდრე სამარსკი**




1997 წელი, დიდი ბრიტანეთი,
ქ.ჰასტინგსი,
მსოფლიო მეორე ჩემპიონატი
მოყვარულ მოჭადრაკეთა შორის,
მარცხნიდან მესამე ვერცხლის
პრიზიორი **მერაბ თხელიძე**

მიილია 1994 წელი. ქვეყანაში შედარებით სტაბილური ვითარება შეიქმნა. საქართველოს რესპუბლიკის ჭადრაკის ფედერაციის გამგეობის სხდომაზე 1995 წლის 2 თებერვალს მომანიჭეს ეროვნული ოსტატის წოდება.საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის ნორმის შესრულებისა დაწოდების არ მონიჭების შემდეგ 32 წელმა გაიარა და სამართალმა პური ჭამა. ასევე, იზეიმა სამართალმა 2007 წლის 13 აპრილს, როდესაც მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, დაცული 2006 წლის 31 დეკემბრამდე, ავტომატურად გაუთანაბრდა დოქტორის აკადემიურ ხარისხსა და მე 2007 წლის 13 აპრილიდან ვარ ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, დღეს კი – ჭადრაკისა და ფიზ.-მათ. მეცნიერებების პროფესორი. რაც შეეხება ჭადრაკში ჩემს აქტიურ დაბრუნებას, ის გაგრძელდა 2006 წლამდე. შემდეგ ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა კვლავ დიდი ხნით ჩამიკლა ჭადრაკის შეჯიბრებებში მონაწილეობის სურვილი. გაუთავებელი არეულობების, უსამართლობებისა და ათასი რამის გამო შოკიდან ძლივს გამოვედი 2016 წელს და გულმა კვლავ გამიწია ჭადრაკისაკენ, მაშინ გამახსენდა მსოფლიო მეექვსე ჩემპიონის **მიხეილ ბოტვინიკის** სიტყვები: „თუ გინდა დაიბრუნო ფორმა და თამაშის სურვილი, ჩაჯექი და ყურადღებით გაანალიზე საკუთარი პარტიები“. საინტერესო გამოდგა ჩემი პირველივე ტურნირი ჭადრაკში დაბრუნების შემდეგ. 1995 წლის 31 მარტიდან 2 აპრილამდე თბილისში ჩატარდა ორმოც წელს გადაცილებულ მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატი აქტიურ ჭადრაკში. მთავარი მსაჯი – **ევგენი (ტუგა) მელიქსეთბეგი.** სპონსორი – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი**კახი ჩიგოგიძე**, რომელმაც დააწესა პირველი ხუთი პრიზი, 200 ათასი, 120 ათასი, 80 ათასი, 60 ათასი და 40 ათასი რუბლის ოდენობით. მონაწილეები – 39 მამაკაცი და ერთი ქალბატონი, **თამარ ხმიადაშვილი.** თამაშის წესი – შვეიცარიული სისტემა 9 ტურად. 9-დან 7 ქულით მე დავიკავე პირველი
ადგილი.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

№ 06-1-12-03/6105
13 04 2007წ.

მოქალაქე მერაბ თხელიძეს

(მის.: ქ. თბილისი, ვ. ფშაველას გამზ.
VI კვ., კ. 4, ბ. 10)

ბატონო მერაბ,

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ 2004 წლის 21 დეკემბრის "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, "ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან", ხოლო მე-10 პუნქტის თანახმად, "ამ მუხლის მე-9 პუნქტი ვრცელდება აგრეთვე პირებზე, რომლებიც გახდნენ ან გახდებიან ასპირანტები (მაძიებლები) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ კანონის შესაბამისი სადისერტაციო საბჭოს შექმნამდე მოიპოვებენ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს, მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 31 დეკემბრისა".

ამრიგად, 2006 წლის 31 დეკემბრამდე მიღებული და საქართველოში აღიარებული მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი ავტომატურად გათანაბრებულია დოქტორის აკადემიურ ხარისხთან.

პატივისცემით,

თეიმურაზ სამადაშვილი
მინისტრის მოადგილე

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის ქ. 52, ტელეფონი: 959912, ფაქსი: 953213 / 955199
www.mes.gov.ge



მოწმობა
CERTIFICATE №38

ეროვნული ოსტატი
საჭადრაკო წოდება
Chess title

შევსების თარიღი
Date of addition 2.06.2016

მერაბ თხელიძე
გვარი, სახელი
Name, Last name

18.07.1939
დაბადების წელი, თვე, რიცხვი
Date of birth, month, year

პირადი ხელის მოწერა
Personal signature

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი
President of Georgian Chess Federation
გ. გიორგაძე
G. Giorgadze

სურათზე გამოსახულია – მერაბ თხელიძე, ჩემი მწვრთნელი, ხელმძღვანელი და მეგობარი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, მოყვარულ მოჭადრაკეთა მსოფლიო მეორე ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს ფიზიკური აღქრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჭადრაკისა და მათემატიკის პროფესორი

## **§9.** ჩემი რამდენიმე პარტია

ამ პარაგრაფში მომყავს ჩემი რამდენიმე პარტია, რომლებიც ან ძალიან მომწონს ან რომლებიც გამოქვეყნებულია საჭადრაკო პრესაში.

### პარტიები

**1. თ. კალატოზიშვილი** (თბ., I თან.) **– მერაბ თხელიძე** (თბ., II თან.)

საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატი. ბათუმი, 1953

ძველინდური დაცვა **A05**

**1.♘f3 ♘f6 2.g3 g6 3.♗g2 ♗g7 4.d3 d6 5.0-0 0-0 6.e4 e5 7.♘e1**

ჩემი I პარტია პირველ სერიოზულ ტურნირში და თანაც საქართველოს მოსწავლეთა 1952 წლის ჩემპიონთან. პიონერთა სასახლეში ორი წელი დავდიოდი და ღია დებიუტების გარდა სხვა დებიუტების თეორიაში მაინცდამაინც ვერ ვერკვეოდი. მოგეხსენებათ ისიც, რომ 13–14 წლის მოჭადრაკეებს აინტერესებთ თამაში და არა თეორიის „ზუთხვა". ჩემთან 1.♘f3 საერთოდ პირველად თამაშობენ.

**7...♘h5.**

პარტია ასე გაგრძელდა:

**8.♘c3 ♘c6 9.♘d5 ♗e6 10.♘e3 ♕d7 11.c3 ♖ad8 12.f4 exf4 13.gxf4 f5 14.exf5 ♗xf5 15.♘xf5 ♕xf5 16.♕b3+ ♔h8 17.♕xb7**






**17...♕c5+!?**

ხაფანგი! ტყუილად კი არ მეძახოდნენ ამხანაგები „შახტურას" ჩემი „კრივოი" ვარიანტების გამო, როგორც ამბობდა ვახტანგ მასწავლებელი. კომპიუტერმა გვიჩვენა

17...♘d4! 18.♕e4 ♕xe4 19.♗xe4 ♘e2+ 20.♔h1 ♘xc1 21.♖xc1 ♘xf4∓

**18.d4 ♘xd4 19.cxd4?!**

19.♗e3 ♖b8 20.♕e4 ♘e2+ 21.♔f2 ♕b5 22.♘d3 ♘f6 23.♕f3 ♕xd3 24.♖ad1 ♕a6-+

**19...♗xd4+ 20.♔h1 ♘g3+ 21.hxg3 ♕h5+** თეთრები დანებდნენ.



მერაბ თხელიძე, ედუარდ გერსამია, გურამ კალატოზიშვილი

**3. ლიტვინოვი** (ბელორუსია,ო/კ) **– თხელიძე** (საქართველო, I თან.)
საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა გუნდური პირველობა. ვლადიმირი, 1957
ძველინდური დაცვა **E87**

**1.c4 ♘f6 2.♘c3 g6 3.d4 ♗g7 4.e4 0-0 5.f3 d6 6.♗e3 e5 7.d5 ♘e8 8.♕d2 c5 9.h4**

დადგა დრო დაწვრილებით მოგითხროთ მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობების შესახებ. ჩვენი ოცნება იყო მოვხვედრილიყავით გუნდში, რომელშიც 10 ჭაბუკი და 2 გოგონა იყო 1954 წელს, ხოლო 1955-1957 წლებში — 8 ჭაბუკი და 4 გოგონა. შეკრებებს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ოსტატი **ვიქტორ გოგლიძე,** მთავარი მწვრთნელი იყო **ვახტანგ ქარსელაძე.** ისინი აყალიბებდნენ გუნდს შესარჩევი ტურნირის შედეგების და საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით.

ვიქტორ მასწავლებლის ყველას ძალიან გვეშინოდა, ვახტანგ მასწავლებელიც კი ძალიან მორიდებით ექცეოდა. მისი სიტყვა კანონი იყო. მაგრამ ყველა ჩემი თანაგუნდელი ხვდებოდა, რომ მე განსაკუთრებულად მექცეოდა. ფაქტიურად ყველა ცელქობას მპატიობდა. ის კი არა და თავისთან სახლში მიბარებდა და კვირაში ორჯერ მარტო მამეცადინებდა. მართალია ისიც, რომ ხშირად გავუკიცხივარ „გიჟური" თამაშის გამო. „კანატოხოსეცს" ანუ ცირკში თოკზე მოსიარულე კლოუნს მეძახდა, არავინ იცის როდის ჩამოვარდებიო. 1954 წელს ქობულეთში ჩატარებულ შესარჩევ ტურნირში, რომლის სამი გამარჯვებული გუნდში ხვდებოდა, დავიკავე მესამე ადგილი, შევასრულე პირველი თანრიგის ნორმა და ადგილი გუნდში მეათე დაფაზე, რომელიც 1954 წლის აგვისტოში ლენინგრადში გაემგზავრა. (იხ. ცხრილები 2, 3). შემდეგ წლებში სკოლის დამთავრებამდე გუნდის უცვლელი მონაწილე ვიყავი: 1955 წელს რიგაში — მერვე დაფაზე, 1956 წელს ლენინგრადში — მეორე დაფაზე და 1957 წელს ვლადიმირში — პირველ დაფაზე (იხ. ცხრილი 5).

ამავე პერიოდში 1955-1957 წლებში ბატონების **ვიქტორისა** და **ვახტანგის** შთაგონებით, რომ მე მაქვს განსაკუთრებული საჭადრაკო თეორეტიკოსის ნიჭი, ისინი მოითხოვდნენ ჩემგან თეორიული ვარიანტების შექმნას. ასე შევქმენი ბევრი თეორიული

ვარიანტი. მათგან გამოვყოფ ორს: სიცილიურ დაცვაში მორას გამბიტს (ვახტანგ მასწავლებლის დაყინებით) და ესპანურ პარტიაში ვარიანტი 7. ... ♗g4 (ვიქტორ მასწავლებლის დაყინებით). ეს ვარიანტები გამყვა მთელი საჭადრაკო ცხოვრების მანძილზე. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველაფრისთვის ამ ორ უდიდეს პიროვნებას. მათი გარდაცვალების შემდეგ მე მწვრთნელი აღარ მყოლია, მათ შემდეგ სხვასთან მისვლა ველარ შევძელი.

**9...h5?! 10.g4 ♘f6**
**11.♗g5 ♕e8 12.♗xf6 ♗xf6**
**13.gxh5 ♕e7 14.hxg6 ♗xh4+**
**15.♔d1 fxg6 16.♕h2 g5?!**
**(16...♗f6)**
**17.♗h3 ♗xh3 18.♕xh3 ♘d7**
**19.♘ge2 ♘b6 20.b3 ♕f6**
**21.♖f1 ♘c8 22.♔c2 a6**
**23.a4 ♖f7 24.♘d1 ♘e7**
**25.♘e3 ♖af8 26.♖ad1 ♕g6**
**27.♖d3 ♖h7 28.♕e6+ ♖hf7**
**29.♘f5**



**29...♕xe6 30.dxe6 ♖xf5**
**31.exf5 ♘xf5 32.♖g1 ♖f6**
**33.♘c3 ♘d4+ 34.♔b2 ♖xe6**
**35.♘e4 ♖g6 36.a5 ♔f8**
**37.♖g2 ♔e7 38.♔a3 ♘c6**
**39.♔a4 ♗e1 40.♖xg5 ♖xg5**
**41.♘xg5 ♗xa5 42.♖d1**



აქ პარტია გადაიდო. დიაგრამაზე მითითებული პოზიცია დაიბეჭდა ჟურნალში Шахматы в СССР, 1957 №12, რომელშიც განხილული იყო ჩატარებული მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობის შედეგები და მოყვანილი იყო ეს პოზიცია, როგორც ლამაზი ენდშპილის მაგალითი (იხ. ცხრილი 6).

**42...♗b4 43.♖h1 ♔d7 44.♖h7+ ♘e7 45.♘f7! b6! 46.♖g7 ♘d5 47.♘xe5+ ♔e6 48.♖g6+ ♔f5**

თეთრები დანებდნენ.

1966 წლის 15 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე ქ.სოჭში ნსს „ბურევესტნიკმა“ ჩაატარა საკავშირო შეჯიბრება ორ წრედ შევენინგენის სისტემით სპორტის ოსტატობის კანდიდატებსა და სპორტის ოსტატებს შორის.

გთავაზობთ ამ შეჯიბრებაში ნათამაშებ სამ პარტიას.

**19. ვასილ ლეპიოშკინი** (მოსკოვი, ს/ო) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ)
ესპანური პარტია **C64**

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗b5 ♗c5 4.0-0 ♘d4 5.♘xd4 ♗xd4 6.c3 ♗b6 7.d4 c6 8.♗c4 d6 9.dxe5 dxe5 10.♕h5 ♕e7 11.♘d2**

ან 11.♗g5 ♘f6 12.♕h4 ♗e6!= მივიღეთ კორდელის ვარიანტი

**11...♘f6 12.♕h4**



**12...g5! 13.♕xg5**

ან 13.♕g3 ♘h5 14.♕f3 14...g4 15.♕d1 ♘f4∓;

ან 13.♕g3 ♘h5 *14.♕d3 ♘f4 15.♕c2 g4∓*

ან 13.♕h6 ♖g8=

**13...♖g8 14.♕h4**

14.♕h6 ♖g6 15.♕h4 ♖g4 16.♕h6 ♖g6= შეიძლება 16...♗d7, შემდგომში 0-0-0-ისა და ♖dg8-ის იდეით

**14...♖g4 15.♕h3 ♖f4 16.♕g3 ♖xf2 17.♖xf2 ♘g4 18.♔f1 ♗xf2 19.♕d3 ♗b6 20.♔e2**

არვარგა 20.♘f3? ♕c5 21.♕e2 ♘xh2!+-+

**20...♘xh2 21.♔d1 ♘g4 22.♔c2 ♘e3+ 23.♔b1 ♗g4 24.♘f3 ♖d8 25.♕e2 ♖d1 26.a4 ♖g1 27.♕d3 ♗xf3 28.gxf3 ♘xc4 29.♕xc4 ♗e3 30.♔c2 ♕g5 31.♗xe3 ♕g2+ 32.♔b3 ♖xa1 33.♕c5 ♕xf3 34.♕xe5+ ♔d7 35.♕d4+ ♔e6 36.♔b4 ♕e2 37.b3 b6**

თეთრები დანებდნენ **0-1**

**20. მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ) - **მაკაროვი** (მოსკოვი, ს/ო)
პონციანის დებიუტი **C44**

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.c3 ♘f6**

ეს დებიუტი უყვარდა **მიხეილ ჩიგორინს** და მეც ამიტომ შემიყვარდა, ვამბობდი ხუმრობით. სინამდვილეში კი მშურდა **ჩიგორინის**, რომელიც საოცარ კომბინაციებს აკეთებდა.

**4.d4 d5**

სხვა გაგრძელებები: 4...d6 5.h3!? ♗e7 6.d5 ♘b8 7.♗d3 0-0 8.♗e3 ♘bd7 9.0-0 ♘h5 10.c4 ტალი;

4...d6 5.d5 ♘b8 6.♗d3 g6 7.h3 ♘bd7 8.♗e3 ♗g7 9.♘bd2± **ტოლუშ-პეტროსიანი**, 1957;

4...exd4 5.e5 ♘e4 6.♕e2 d5 7.exd6 f5 8.♘xd4 ♘xd4 9.cxd4 ♗xd6 10.f3 ♕h4+ 11.g3 ♗xg3+ 12.hxg3 ♕xh1 13.fxe4 fxe4 14.♘c3 0-0 15.♗f4+− **ველიმიროვიჩ-ტრიფუნოვიჩი**, 1962

**5.♗b5 ♘xe4**

5...exd4 6.e5 ♘e4 7.♘xd4 ♗d7 8.♕b3 a6 9.♗e2 ♗c8 10.♘xc6 bxc6 11.♘d2±

**6.♘xe5 ♗d7 7.♕b3 ♕f6 8.0-0 0-0-0**

8...♘xe5 9.♕xd5 ♗xb5 10.♕xb5+ ♘c6 11.♕e2 ♕e7 12.♖e1 ♘xc3 13.bxc3 ♕xe2 14.♖xe2+ ♔d7=



**9.f3 ♘d6 10.♘xd7 ♖xd7 11.♕xd5 ♘xb5 12.♕xb5 ♗d6 13.♕g5 ♕e6 14.♗d2 f6 15.♕h4 g5 16.♖e1 ♕f7 17.♕g4 ♖e8 18.♘a3 ♗xa3 19.bxa3 ♔b8 20.♖xe8+ ♕xe8 21.♕f5 ♕f7 22.f4 ♖d5 23.♕h3 a6 24.fxg5 fxg5 25.♖f1 ♕g6 26.♕f3 ♕e6 27.♖e1 ♕g8 28.♕f6 ♖d6 29.♕f2 h6 30.h4 gxh4 31.♕xh4 ♖g6 32.♕e4 ♔a7 33.♗f4 h5 34.♕f3 ♕xa2 35.♗xc7 h4 36.d5 ♕d2 37.♕e3+ ♕xe3+ 38.♖xe3 ♘b8 39.d6 ♖g5 40.♗xb8+ ♔xb8 41.♖e8+ ♔a7 42.d7**

შავები დანებდნენ

**21. მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ) - **სოკოლოვი** (მოსკოვი, ს/ო)

კარო-კანის დაცვა. . **B14**

**1.e4 c6 2.d4 d5 3.exd5 cxd5 4.c4 ♘f6 5.♘c3 e6 6.♘f3 ♗e7 7.cxd5** მივიღეთ პანოვის სისტემა

ხშირად ვთამაშობ აგრეთვე 7.c5 -ს მსოფლიო მეოთხე ჩემპიონის **ალექსანდრე ალიოხინის** მიბაძვით. მაგალითად, პარტია **მ.თხელიძე - ალექსანდრე ბლაგიძე,** თბილისი 1959, შემდეგნაირად გაგრძელდა:

7...♘e4 8.♗d3 f5 9.♗b5+ ♗d7 10.♘e5 0-0 11.♘xd7 ♘xd7 12.♘xe4 fxe4 13.0-0 ♘f6 14.♗f4 ♕c8 15.a3 ♖f7 16.♖c1 ♘d7 17.c6! ♖xf4 18.cxb7 ♕xb7 19.♗c6 ♕b8 20.♗xa8 ♕xa8 21.♖c7± .

**7...♘xd5 8.♗b5+ ♘c6 9.0-0 0-0 10.♖e1 ♘xc3 11.bxc3 ♕c7 12.♗d3 ♕a5 13.♕c2 h6 14.♖b1 a6 15.♗f4 ♕h5 16.♖e3 b5**



**17.♗h7+ ♔h8 18.♗e4 ♗b7 19.♘e5 ♘xe5**

19...♖ac8? 20.♖h3±

**20.♗xb7 ♘c4**

20...♖ab8? 21.♖xe5 ♕g4 22.♕e4±

**21.♖h3 ♘a3 22.♕c1 ♕f5 23.♖b3 ♖a7 24.♗xh6 ♕xh3 25.gxh3 ♖xb7 26.♖xa3 gxh6**

26...♗xa3? 27.♕xa3+−

**27.♕xh6+ ♔g8 28.♖b3 ♗d6 29.c4 f6 30.f4 ♖g7+ 31.♖g3 ♖xg3+ 32.hxg3 bxc4 33.♕g6+ ♔h8 34.h4 c3 35.h5 f5 36.♕h6+ ♔g8 37.♕g6+ ♔h8 38.h6 ♖g8 39.♕f6+ ♔h7 40.♕f7+ ♔h8 41.♕xe6 c2 42.♕f6+ ♔h7 43.♕xf5+ ♔xh6 44.♕xc2 ♖xg3+ 45.♔f2 ♖g4 46.♔e3 ♖xf4 47.♕h2+ ♔g5 48.♕g3+ ♔f5 49.♕g8 ♖e4+ 50.♔d3 ♖e6 51.♕c8 ♔f6 52.♕xa6 ♔e7 53.♕c8 ♖f6 54.a4 ♖f8 55.♕b7+ ♔e6 56.a5 ♖b8 57.♕e4+ ♔d7 58.a6 ♖b3+ 59.♔c2 ♖a3 60.♕b7+**

შავები დანებდნენ.

ეს სამი პარტია დაიბეჭდა ჟურნალში Шахматный Бюлетенъ, 1967 год, №2. Партия 108, 109, 117.



# КАНДИДАТЫ ПРОТИВ МАСТЕРОВ

*Сочи, 1966 г.*

**№ 108. Испанская партия**

**ЛЕПЕШКИН — ТХЕЛИДЗЕ**

1. e4 e5 2. Kf3 Kc6 3. Cb5 Cc5 4. 0—0 Kd4 5. K:d4 C:d4 6. c3 Cb6 7. d4 c6 8. Cc4 d6 9. de de 10. Фh5 Фe7 11. Kd2 Kf6 12. Фh4.

12. ..g5 13. Ф:g5 Лg8 14. Фh4 Лg4 15. Фh3 Лf4 16. Фg3 Л:f2 17. Л:f2 Kg4 18. Kpf1 C:f2 19. Фd3 Cb6 20. Kpe2 K:h2 21. Kpd1 Kg1 22. Kpc2 Ke3+ 23. Kpb1 Cg4 24. Kf3 Лd8 25. Фe2 Лd1 26. a4 Лg1 27. Фd3 C:f3 28. gf K:c4 29. Ф:c4 Ce3 30. Kpc2 Фg5 31. C:e3 Фg2+ 32. Kpb3 Л:a1 33. Фc5 Ф:f3 34. Ф:e5+ Kpd7 35. Фd4+ Kpe6 36. Kpb4 Фe2 37. b3 b6. **Белые сдались.**

**№ 109. Дебют Понциани**

**ТХЕЛИДЗЕ — МАКАРОВ**

1. e4 e5 2. Kf3 Kc6 3. c3 Kf6 4. d4 d5 5. Cb5 K:e4 6. K:e5 Cd7 7. Фb3 Фf6 8. 0—0 0—0—0 9. f3 Kd6 10. K:d7 Л:d7 11. Ф:d5 K:b5 12. Ф:b5 Cd6 13. Фg5 Фe6 14. Cd2 f6 15. Фh4 g5 16. Лe1 Фf7 17. Фg4 Лe8 18. Ka3 C:a3 19. ba Kpb8 20. Л:e8+ Ф:e8 21. Фf5 Фf7 22. f4 Лd5 23. Фh3 a6 24. fg fg 25. Лf1 Фg6 26. Фf3 Фe6 27. Лe1 Фg8 28. Фf6 Лd6 29. Фf2 h6 30. h4 gh 31. Ф:h4 Лg6 32. Фe4 Kpa7 33. Cf4 h5 34. Фf3 Ф:a2 35. C:c7 h4 36. d5 Фd2 37. Фe3+ Ф:e3 38. Л:e3 Kb8 39. d6 Лg5 40. C:b8+ Kp:b8 41. Лe8+ Kpa7 42. d7. **Черные сдались.**

**№ 117. Защита Каро-Канн**

**ТХЕЛИДЗЕ — СОКОЛОВ**

1. e4 c6 2. d4 d5 3. ed cd 4. c4 Kf6 5. Kc3 e6 6. Kf3 Ce7 7. cd K:d5 8. Cb5+ Kc6 9. 0—0 0—0 10. Лe1 K:c3 11. bc Фc7 12. Cd3 Фa5 13. Фc2 h6 14. Лb1 a6 15. Cf4 Фh5 16. Лe3 b5 17. Ch7+ Kph8 18. Ce4 Cb7 19. Ke5 K:e5 20. C:b7 Kc4 21. Лh3 Ka3 22. Фc1 Фf5 23. Лb3 Лa7 24. C:h6 Ф:h3 25. gh Л:b7 26. Л:a3 gh 27. Ф:h6+ Kpg8 28. Лb3 Cd6 29. c4 f6 30. f4 Лg7+ 31. Лg3 Л:g3+ 32. hg bc 33. Фg6+ Kph8 34. h4 c3 35. h5 f5 36. Фh6+ Kpg8 37. Фg6+ Kph8 38. h6 Лg8 39. Фf6+ Kph7 40. Фf7+ Kph8 41. Ф:e6 c2 42. Фf6+ Kph7 43. Ф:f5+ Kp:h6 44 Ф:c2 Л:g3+ 45. Kpf2 Лg4 46. Kpe3 Л:f4 47. Фh2+ Kpg5 48. Фg3+ Kpf5 49. Фg8 Лe4+ 50. Kpd3 Лe6 51. Фc8 Kpf6 52. Ф:a6 Kpe7 53. Фc8 Лf6 54. a4 Лf8 55. Фb7+ Kpe6 56. a5 Лb8 57. Фe4+ Kpd7 58. a6 Лb3+ 59. Kpc2 Лa3 60. Фb7+. **Черные сдались.**

1972 წელს მოლდავეთის ქალაქ ბელცში გაიმართა საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელთა გუნდური ჩემპიონატის ფინალი. საქართველოს „ბურევესტნიკის" ნაკრებმა, რომლის შემადგენლობა განისაზღვრა 6 ვაჟთა: **თამაზ გიორგაძე, გიური ციხელაშვილი, მერაბ თხელიძე, კახი ჩიგოგიძე, გია ცქიტიშვილი, ნუგზარ ლომაია,** და 2 ქალთა დაფით: **თამარ ხმიადაშვილი** და **ლალი გელიაშვილი.** ტურნირში მიაღწია წარმატებას — გახდა ტურნირის გამარჯვებული.

მე გუნდის შემადგენლობაში მესამე დაფაზე მივიღე მონაწილეობა. გთავაზობთ სპორტის ოსტატ გუტკინთან (რიგა) ნათამაშებ პარტიას.



ციცინო, მერაბი, ნოდარი, მარინა

## 24. მერაბ თხელიძე - გუტკინი

სიცილიური დაცვა. **B21**

**1.e4 c5 2.♘f3 d6 3.d4 cxd4 4.c3 dxc3 5.♘xc3 ♘c6 6.♗c4 e6**

არ ვარგა 6...♘f6 7.e5±;

ან 6...♗e6 7.♗xe6 fxe6 8.♕b3 ♕d7 9.0-0 ♘a5 10.♕a3 ♘c4 11.♕b4 ♖c8 12.b3±

**7.0-0 a6** მივიღეთ მორას გამბიტი.

ეს გამბიტი ჩემი გამორჩეული დებიუტია, რომელსაც ნახევარ საუკუნეზე მეტია ვთამაშობ და არა ერთი შთამბეჭდავი პარტია შემიქმნია. მოვიყვან **თხელიძე-ციხელაშვილის** პარტიას, თბილისი, 1968 წელი:

7...♗e7?! 8.♕e2 ♕c7 9.♗f4 ♘f6 10.♘b5! ♕b8 11.e5 ♘h5 12.exd6 ♘xf4 13.♕d2 ♗xd6 14.♘xd6+ ♔e7 15.♖ad1 ♘g6 16.♘f5+

**8.♕e2 ♘f6 9.♖d1 ♕a5**

საინტერესოა პარტია **ოთარ თურქესტანიშვილთანაც,** თბილისის ჩემპიონატის ფინალი, 1959

9...♕c7 10.♗f4 ♘g4 11.♖ac1 ♘ge5 12.♘d5 ♘xf3+ 13.♕xf3 ♕d8 14.♗g5!±

**10.♗f4 ♘e5 11.♘xe5 dxe5 12.♗d2 ♕c7 13.♖ac1 ♕b8**

ან 13...♗d7 14.♗xa6! ♖xa6 15.♘b5 ♗xb5 16.♕xb5+ ♖c6 17.♗a5+−

**გრაჟდანცევი-ჟარკოვი**, 1968 წელი



**14.♘a4! ♘d7**

სხვა გაგრძელებებია: 14...b5 15.♗b3 ♗e7 16.♘c5 0-0 17.♗a5±ან14... b5 15.♗b3.*bxa4 16.♖xc8+! ♕xc8 17.♗xa4+ ♘d7 18.♗e3+−*

**15.♗a5 b5**

ან 15...b6 16.♖xd7 ♗xd7 17.♘xb6 ♖a7 18.♘xd7 ♖xd7 19.♗xa6+−

**16.♗b3 ♗e7 17.♕e3 0-0! 18.♘b6 ♘xb6 19.♗xb6 ♗g5 20.♕xg5 ♕xb6 21.♕xe5 ♗b7 22.♖d6 ♖ac8 23.♖cd1 ♖c6 24.♖d7 a5**

აქ საქმეში ჩაერია ორმხრივი ცაიტნოტი. თეთრებმა დააგეს „პატარა“ მახე, რომელშიც შავები გაებნენ

**25.a3 a4 26.♗a2 ♖c2 27.♕f4 ♖xb2?**



ეს პოზიცია დაიბეჭდა „ინფორმატორში“, ტომი 15, 1973 წელი, გვ.250, დიაგრამა 13 და პასუხი გვ. 256-ზე.

**28.♖xf7 ♖xf7**

28...♖d8 29.♖xd8+ ♕xd8 30.♖f8+ ♕xf8 31.♗xe6++−

**29.♗xe6!** შავები დანებდნენ.

13. THELIDZE—GUTKIN
SSSR 1973

I



1. ?

13. THELIDZE—GUTKIN

1. ♖f7! ♖f7 **[1... ♖d8 2. ♖d8 ♕d8 3. ♖f8! ♕f8 4. ♗e6+−] 2. ♗e6! [2... ♕e6 3. ♖d8+−; 2... ♕c7 3. ♕f7 ♕f7 4. ♖d8#] 1 : 0**
**[Judovič]**



საქართველოს „ბურივესტნიკის“ ნაკრები საკავშირო ტურნირის გამარჯვებული. ელცი 1972
I რიგი- ლალი გელიაშვილი, თამარ ხმიადაშვილი, გია ცქიტიშვილი
II რიგი – კახი ჩიგოგიძე, გიური ციხელაშვილი, მამია სანიკიძე, ნუგზარ ლომაია, მერაბ თხელიძე, თამაზ გიორგაძე

მინდა გაგიზიაროთ ჩემი საიდუმლო. ველა სერიოზული მოჭადრაკე ოცნებობს გააკეთოს განსაკუთრებული კომბინაცია ან მისთვის საყვარელი კორიფეების ის კომბინაციები, რომლებმაც მასზე ყველაზე დიდი შტაბეჭდილება მოახდინა. არსებობს ულამაზეს კომბინაციებს შორის გამორჩეული სამი კომბინაცია, რომლებიც ყველაზე ძალიან მომწონს. ეს კომბინაციებია:



რიხარდ რეტი
1889-1929
ჩეხი დიდოსტატი ჭადრაკის თეორეტიკოსი და საჭადრაკო კომპოზიტორი



ემანუილ ლასკერი
1868-1941
ერმანელი დიდოსტატი სოფლიოს მეორე ჩემპიონი 1894-1921წ.წ. მათემატიკოსი და ფილოსოფიის დოქტორი



ალექსანდრე ალიოხინი
1882-1946
რუსი დიდოსტატი, მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონი1927-1935 და 1937-1945წ.წ.
ჭადრაკის თეორეტიკოსი და ლიტერატორი და სამართლის დოქტორი

**1.e4 c6 2.d4 d5 3.♘c3 dxe4 4.♘xe4 ♘f6 5.♕d3 e5? 6.dxe5 ♕a5+ 7.♗d2 ♕xe5 8.0-0-0 ♘xe4?**



**9.♕d8+! ♔xd8 10.♗g5+ ♔c7 11.♗d8# 1-0**



**15.♗xh7+!♔xh7 16.♕xh5+ ♔g8 17.♗xg7!!**

ორი კუს შეწირვა — ლასკერის პატენტია ...

**1-0**



**26...♖e3! 27.♘f3? cxb5! 28.♕xb5 ♘c3 29.♕xb7 ♕xb7 30.♘xb7 ♘xe2+ 31.♔h2 ♘e4!! ... 0–1**

**26. ორდიანი** (ერევანი, ო/კ) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ)

ნსს „ბურევესტნიკის" საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი.

იურმალა, 1975 წელი.

არასწორი დასაწყისი. **A00**

**1.a3 e5 2.c4 c6**

თეთრებს უნდათ „დამაბნიონ" ამ იშვიათი დასაწყისით. მე დავფიქრდი და გადავწყვიტე მეთამაშა ალაპინის ვარიანტი სიცილიურ დაცვაში მეორე ხელში. ჩავთვალე, რომ სვლა a3 დიდად არ შემიშლიდა ხელს.

**3.♘f3 e4 4.♘d4 d5 5.cxd5 cxd5 6.d3 ♘f6 7.♘c3 ♘c6 8.♘xc6 bxc6 9.g3?!**



ჩემმა გადაწყვეტილებამ შედეგი გამოიღო. თეთრების ბოლო სვლა ვერ ჯდება ალაპინის დებიუტის იდეაში.

**9...exd3 10.♕xd3 ♗d6 11.♗g2 0-0 12.0-0 ♘g4 13.♖e1 a5 14.♕c2 ♖e8 15.♕a4 ♗d7 16.♗h3 c5 17.♕b3**

ან 17.♕c2 d4

**17...c4 18.♕c2**



**18...♘xh2 19.♗g5**

ან 19.♗g2 ♘g4 20.♘xd5 ♖c8∓

**19...♕xg5 20.♗xd7 ♖e3**

თეთრები დანებდნენ.

როგორც **ჯემალ ბერაძესთან** პარტიის კომენტარში აღვნიშნე, ვოცნებობდი იმ კომბინაციების გაკეთებას, როგორებიცაა მსოფლიოში აღიარებული საუკეთესო კომბინაციები: **რეტის** კომბინაცია **ტარტაკოვერთან, ალიოხინის - რეტისთან** ეტლის შეწირვა ბლოკირებაზე, **ემ. ლასკერის** ორი კუს შეწირვა **ბაუერთან.** ამ პარტიაში ჩემი ოცნების მეორე კომბინაციის ანალოგის გაკეთება შევძელი!

**28. ნამდაროვი** (როსტოვი, ო/კ) - **მერაბ თხელიძე** (თბილისი, ო/კ)

ნსს „ბურევესტნიკის“ საკავშირო ჩემპიონატის ნ/ფინალი. იურმალა, 1975წ.

ორი მხედრის დაცვა. **C57**

**1.e4 e5 2.♘f3 ♘c6 3.♗c4 ♘f6 4.♘g5 d5 5.exd5 b5 6.♗xb5**

ან 6.♗f1 ♘d4 7.c3 ♘xd5 8.♘e4 ♕h4 9.♘g3 ♗b7

**6...♕xd5 7.♗xc6+ ♕xc6 8.0-0**

ან 8.♕f3 e4 9.♕b3 ♗c5! 10.♕xf7+ ♔d8 11.0-0 h6!? 12.♕xg7 ♖g8 13.♕xh6 ♗b7 14.♔h1 e3 15.f3 e2 16.♖e1 ♘e4!

**8...♗b7 9.♕f3 e4 10.♕b3**



**10...0-0-0 11.♘xf7**

11.♕h3+ ♔b8 12.♘xf7 ♖d5 13.♘xhes 8 ♗d6 14.♕b3 e3 15.f3 e2 16.♖e1 ♗c5+ 17.d4 ♗xd4+ 18.♔h1 ♗f2 19.♘c3 ♗xe1 20.♘xd5 ♕xd5 21.♕xd5 ♘xd5 22.♗e3 ♘xe3 23.♖xe1 ♗a6 24.♔g1 ♘xc2 25.♔f2 ♘xe1 26.♔xe1 ♗c4 გვირჩევნებს კომპიუტერი

**11...e3 12.f3 e2 13.♖e1 ♗c5+ 14.♔h1 ♖de8 15.♘xh8**

15.d4 ♗xd4 16.♕d3 ♗f2 17.♖xe2 ♖xe2 18.♕xe2 ♖e8 19.♕xf2 ♘g4! 20.♕g3 ♕xc2 21.♕xg4+ ♔b8 22.h4 ♕xc1+ 23.♔h2 ♕xb2 24.♘c3 ♕xa1 (**კრუგლიკი**(მოსკოვი)-**თხელიძე**(თბილისი), ბელცი1972)

**15...♘g4!**

თეთრები დანებდნენ.

ეს პარტია მოყვანილია ე.გუფელდის წიგნში „ჭადრაკში დახელოვნების სკოლა“. თბილისი, 1986 (მე-17 გვ.).

2) 6. კ : b5 ლ : d5 7. კ : c6+ ლ : c6 8. ლf3 (8. 0-0 საშუალებას აძლევს შავებს გააძლიერონ დაწოლა: 8. . . კb7 9. ლf3 e4 10. ლb3 0-0-0 11. ლh3+, თუ—11. მ : f7? e3 12. f3 e2 13. ეe1 კc5+ 14. მფh1 ეde8 15. მ : h8 მg4, ნამზაროვი-ჭელიძე. სსრკ, 1976. — 11. ... მფ b8) 8...e4 9. ლb3 კc5! 10. ლ : f7+ მფd8 11. 0-0 ეe8 ... (ყურადსაღებია 11 ... h6 12. ლ : g7 ეg8 13. ლ : h6 კb7 14. მფh1 e3 15. f3 e2 16. ეe1 მe4! მწვავე თამაშით, ბარდი-კეპეზი, 1977) 12. ლb3 კa6 13. d3 მფc8 და შეწირულ პაიკებში შავებს სრული კომპენსაცია აქვთ.

**41. მერაბ თხელიძე** (საქართველო) - **ოლივერ ლუტცი** (ლუქსემბურგი)

საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი. სიცილიური დაცვა.. **B21**

**1.e4 c5 2.d4 cxd4 3.c3 dxc3**

**4.♘xc3 d6** მივიღეთ მორას გამბიტი

4.... a6 5.♘f3 e6 6.♗c4 b5 7.♗b3 ♗b7 8.♕e2 d6 9.0-0 ♗e7 10.♖d1 ♘d7 11.♗f4 ♕b8 12.♖ac1 e5 13.♗xe5 ♘gf6 14.♗xf6 ♗xf6 15.♘d5 0-0 16.♘c7 ♖a7 17.♖xd6 ♘e5 18.♖xf6± **(მ.თხელიძე(საქართველო)-ზბიგნევ სილვიკი (პოლონეთი)** სენიორთა მსოფლიო მეათე ჩემპიონატი. 2000 წ. იხ. ცხრილი 32).

**5.♗c4 e6**

5...♘c6 6.♘f3 a6 7.0-0 ♘f6 8.♗g5 ♘g4

**9.♕b3 ♘ge5 10.♘xe5 ♘xe5 11.♗d5 h6 12.f4 hxg5 13.fxe5 e6 14.♗xb7 ♗xb7 15.♕xb7± (მ.თხელიძე(საქართველო)-ტ. სტოკი(ინგლისი),** ჩელენჯერ-ტურნირი, დიდი ბრიტანეთი, ჰასტინგსი 1997/98 წელი. იხ. ცხრილი 27).

**6.♘f3 a6 7.0-0 ♕c7 8.♕e2 ♘f6 9.♗f4 ♗e7 10.♖ac1 0-0 11.♖fd1 ♘c6 12.e5 dxe5 13.♘xe5 ♘xe5 14.♗xe5 ♕a5 15.♗d3 ♖e8 16.a3 ♘d5**



**17.♗xh7+**

პარტიის გადამწყვეტი მომენტია. მე ადრეც აღვნიშნე **თხელიძე-ბერაძის** პარტიის კომენტარში, რომ სულ ვოცნებობდი მსოფლიოს ულამაზესი კომბინაციების: **რეტი-ტარტაკოვერის** (1910წ.), **რეტი-ალიოხინის** (1925წ.) და **ლასკერი-ბაუერის** (1889წ.) პარტიებში განხორციელებული **რეტის, ალიოხინის** და **ლასკერის** მიერ, მეც რომ მეთამაშა. პირველი ორი კომბინაციის მაგვარი უკვე ჩავატარე (მე-14 და 26-ე პარტიები). დღეს კი მეძლეოდა შესაძლებლობა მესამე - **ლასკერის** ორი კუს შეწირვის ანალოგიური, უფრო რთული, **„შპილმანის** რეალური შეწირვის" განხორციელებისა მომავალში ბუნდოვანი შედეგებით. ბევრი ვიფიქრე, ეს ხომ ყველაზე რთული, იშვიათი შეწირვაა, ცხოვრებაში ერთხელ შეიძლება შეგხვდეს და ჩემს თავს ვუთხარი: „თუ ამ შეწირვაზე არ წავალ, შენი, როგორც მოჭადრაკის პატივისცემას დავკარგავ!"

**17...♔xh7 18.♕h5+ ♔g8 19.♗xg7 ♔xg7 20.♖d3 ♗f6 21.♖g3+ ♔f8 22.♘e4 ♕d8 23.♖f3 ♔e7 24.♘xf6 ♘xf6 25.♕h4 ♖f8 26.♕xf6+ ♔e8 27.♕f4 b5 28.♖fc3 ♗d7 29.♖d3 ♖c8 30.♖cd1 ♖c7 31.♕d6 ♕c8**



**32.h4 ♗c6 33.♖c3 ♖d7 34.♖xc6 ♕d8 35.♕xd7+ ♕xd7 36.♖xd7 ♔xd7 37.♖xa6 ♖b8 38.♖a7+ ♔e8 39.h5 ♔f8 40.g4**

შავები დანებდნენ.
(იხ. ცხრილი 28).

ეს პარტია შედგა 1998 წლის 18 ივლისს – ჩემი დაბადების 59-ე წლისთავზე! ყოჩაღ მერაბ! კარგი საჩუქარი მიუძღვენი შენს თავს! მესამე შესანიშნავი კომბინაციის განხორციელების სურვილიც შევისრულე!

## ბოლოსიტყვაობა

ამ წიგნით ჩემი ცხოვრება არ მთავრდება. ახლო მომავალში ვაპირებ საჭადრაკო წიგნების გამოცემას და მონაწილეობის მიღებას ჰასტინგსის საახალწლო ტურნირში და სენიორთა მსოფლიო ჩემპიონატებში. ცხოვრება გრძელდება.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. დავითაია, ზ. (2017). ინტერვიუ მერაბ თხელიძესთან. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, №46. (1200), გვ. 29.
2. თხელიძე, მ. (2018). 64 წელი ჭადრაკის სამყაროში. თბილისი: შპს „საქართველოს მაცნე“.
3. სიბაშვილი გ. (2020), 68 წელი ჭადრაკის სამყაროში. თბილისი: საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის „საზოგადოება ცოდნა“.


## სარჩევი